

ISSN 0206 — 569X



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

4 . 1987


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ქურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1987

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

●
თბილისი
ТБИЛИСИ

საქ. სსრ კ. პარკის
სსრ, სსრ. იცნაუბ.
ბიბლიოთეკა

ს ა რ რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ლ ე გ ი ა : ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრე-
ლიძე, მ. გველესიანი, ბ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი,
გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე),
თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкrellидзе
О. К., Гвелесиანი М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С.,
Надареишвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н.,
(зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

©

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სავაჭრობის სერია, 1987, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 3.9.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.87; შუკვ. № 2963; ანაწყობის
ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,8; სააღრიცხვო-
სავაჭრომცემლო თაბახი 7,7; სალ.-გატარება 10,3; უე 04677; ტირაჟი 900;

ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мещниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავი

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი	5
ბ. ბრეჰვაძე, ვ. ი. ლენინი სსრ კავშირში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსისა და ამოცანების შესახებ და მისი განხორციელების თავისებურებანი საქართველოში	13
დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის შესახებ	24
ი. რუხინაშვილი, სამეცნიერო გამოკვლევების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარების საკითხები საქართველოს სსრ-ში	29
რ. ჯაპახიშვილი, ვაკრობის განვითარება საბჭოთა საქართველოში	35
ა. სთაფანიშვილი, მევენახეობა საბჭოთა საქართველოში (1971—1985 წწ.)	43
რ. აბასაძე, ელექტროენერგეტიკის განვითარება საბჭოთა საქართველოში	51
რ. ცხადანი, სარწყავი მიწათმოქმედება კახეთის რაიონებში (1971—1975 წწ)	59
დ. შინგალია, მეზილეობა და მისი სანერგე მეურნეობა საქართველოში ომამდელ ხუთწლეულებში (1928—1937 წწ.)	69

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ი. ფუტარაძე, დიდი ოქტომბერი და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ლენინური პრინციპების დამკვიდრება	76
თ. ლილაშვილი, ჯ. ხატურანი, ეკონომიკის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი	86
ბ. თოდუა, „კრიზისოვანი სიტუაციის დიალექტიკის“ კრიტიკისათვის	93

რ ე ც ე ნ ზ ი ა, ი ნ ფ ო რ მ ა ტ ი ა, პ რ ო ნ ი ა

ახალი გამოკლევა დანაშაულობაზე საზოგადოებრივი აზრის შესახებ	102
სასარგებლო ნაშრომი	106
სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „სამართლებრივი სისტემა და გარდაქმნა“	109
ჟურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის 1987 წლის ნომრების შინაარსი	111

СО Д Е Р Ж А Н И Е

К 70-ЛЕТИЮ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ

ЭКОНОМИКА

70-ЛЕТИЕ ОКТЯБРЬСКОЙ РЕВОЛЮЦИИ	5
А. И. БРЕГВАДЗЕ, В. И. Ленин о сущности и задачах социалистической индустриализации в СССР и особенности ее осуществления в Грузии	13
Д. С. ДИАСАМИДЗЕ, О совершенствовании структуры агропромышленного комплекса Грузинской ССР	24
И. М. РУБИНШТЕИН, Вопросы развития опытно-экспериментальной базы научных исследований в Грузинской ССР	29
Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ, Развитие торговли в Советской Грузии	35
А. Д. СТЕПАНИШВИЛИ, Виноградарство в Советской Грузии (1971—1985 гг.)	43
Р. Б. АБЕСАДЗЕ, Развитие электроэнергетики в Советской Грузии	51
Р. А. ЦХАДАЯ, Орошаемое земледелие в районах Кахетии (1971—1975 гг.)	59
Д. Л. ШЕНГЕЛИЯ, Плодоводство и его питомниковое хозяйство в Грузии в довоенные пятилетки (1928—1937 гг.)	69

ПРАВО

Я. В. ПУТКАРАДЗЕ, Великий Октябрь и утверждение Ленинского принципа создания национального государства	76
Г. А. ЛИЛУАШВИЛИ, Д. Г. ХЕЦУРИАНИ, Важнейший законодательный акт перестройки экономики	86
Г. Г. ТОДРИЯ, К критике «Диалектики криминогенной ситуации»	93

РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Новое исследование общественного мнения о преступности	102
Нужная монография	106
Научно-теоретическая конференция «Правовая система и перестройка»	109
Содержание номеров за 1987 год	111

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი

საქართველოს სსრ ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად გრანდიოზული გარდაქმნების წინაშე დგას. შთაგონების უშრეტო წყარო ამ დიად საქმეში ყოველთვის იქნება მდიდარი ისტორიული გამოცდილება, რაც განუყრელად არის დაკავშირებული სოციალიზმის მშენებლობასთან ჩვენს ქვეყანაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „ჩვენი მიღწევები გრანდიოზული, წონადი და მნიშვნელოვანია. ისინი ახალი მიღწევების, საზოგადოების შემდგომი განვითარების მტკიცე საძირკველი და ბალაუარია“. საქართველოს კომუნისტური პარტია, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეგმებს სახავედა, ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილებასა და ყოველმხრივი დანაშრების შესაძლებლობებს. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მის განმტკიცებისათვის. ვ. ი. ლენინმა, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯერ კიდევ 1921 წლის მიჯნაზე დასახა ამ მხარეში სოციალისტური მშენებლობის ნათელი პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის უმთავრეს ტაქტიკურ მიმართულებას და მისი მოქმედების საფუძველს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში თანამიმდევრულად განხორციელდეს ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაცია, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებით მოხდეს ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაცია.

რესპუბლიკის ეკონომიკის ღრმა ანალიზის საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასახა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის ფართო და სწრაფი განვითარების გზები. იგი ითვალისწინებდა მძიმე ინდუსტრიის შექმნას და მის უპირატესად განვითარებას. ეს უნდა განხორციელებულიყო უწინარესად ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შრომის გეგმაზომიერი დანაწილების საფუძველზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას, თითოეული რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დაჩქარებას, სახალხომეურნეობრივ აღმავლობას სსრ კავშირის ერთიან მეურნეობრივ სისტემაში. სოციალიზმის უპირატესობათა სრულად გამოყენებამ და მშრომელთა მასების თავდადებულმა შრომამ უ-

რუნველყვეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ლენინური გეგმის წარმატებით განხორციელება.

პირველი ხუთწლეულების მანძილზე რევოლუციამდელი წვრილი და ნახევრადკუთხედული სახელოსნოების ნაცვლად საქართველოში შეიქმნა ინდუსტრიული მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები — ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, სამთოქიმიია, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, საშენ მასალათა მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა (ღვინის, ჩაის, კონსერვის, პურფუნთუშეულისა და სხვ.).

ვითარდება წიაღისეულის ახალი სახეების მოპოვება, გაიზარდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა მანგანუმის, ქვანახშირისა და მოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგები. ვითარდება სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი. ამ წლებში რესპუბლიკაში აშენდა 815 სამრეწველო ობიექტი, წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული რაიონები. ქუთაისი გადაიქცა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრად.

რაიონებსა და სამრეწველო ცენტრებში შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, გაფართოდა საკურორტო ქსელი. ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებასთან ერთად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში. სწრაფად ვითარდება სახალხო მეურნეობა და კულტურა აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში ვადიდდა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობა. აღიზარდა მრეწველობის მრავალი დარგის ნაციონალური კადრები. შრომითი გმირობით მთელ ქვეყანაში თავი ისახელა მრავალმა ქართველმა სტახანოველმა.

1940 წლისათვის საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1928 წელთან შედარებით — 8,2-ჯერ ვადიდდა, ხოლო 1913 წელთან შედარებით — 10,2-ჯერ. საქართველოს სსრ უმოკლეს მანძილზე გადაიქცა ინდუსტრიულ რესპუბლიკად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო გაჩანაგებული სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის უდიდეს ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მიწის ნაციონალიზაცია, რითაც მშრომელ გლეხობას მიწით სარგებლობის ფართო ასპარეზი მიეცა.

მაგრამ დაქუცმაცებულ, წვრილგლეხურ მეურნეობათა ბატონობის პირობებში შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის მოკლე დროში აღდგენა და, რაც მთავარია, მისი შემდგომი განვითარება, მიწათმოქმედებაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და საერთოდ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებში გავრთიანებით შესაძლებელი გახდა მანქანურ წარმოებაზე დამყარებული მიწათმოქმედების შექმნა. სოფლის მეურნეობრივი შრომა მეემართებოდა მექანიზაციის გზით.

ამავე პერიოდში, საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების რამდენიმე ათეული საბჭოთა მეურნეობა, სადაც უახლესი

ტექნიკისა და მოწინავე აგროწესების საფუძველზე ოქნებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

კოლმეურნეობრივმა წყობილებამ ქართველი გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. საქართველოს სოფელში გაჩნდა კლუბები, რადიო, სკოლები, საბავშვო ბაგები, კოლმეურნეობის მრავალი მუშაკი წარჩინებული და სახელმწიფოებრივი ადამიანი გახდა.

ქართველმა ხალხმა რესპუბლიკის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებათა შესაბამისად უზრუნველყო სოფლის მეურნეობის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილება და გეგმაზომიერი განვითარება. საბჭოთა საქართველოში ფართო მასშტაბით განვითარდა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო და სხვ.), რაც ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის დაუმრეტელი წყარო გახდა.

დიდი ირიგაციულ სამუშაოთა გატარების შედეგად სოფლის მეურნეობას შეემატა ათიათასობით ჰექტარი ნოყიერი და მაღალმოსავლიანი მიწა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას.

მოპოვებულ წარმატებათა შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა 1940 წლისათვის იძლეოდა 2,5-ჯერ მეტ მთლიან პროდუქციას, მათ შორის 3,7-ჯერ მეტ მემცენარეობის პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საქართველო, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკები, სოციალისტური ინდუსტრიის და მოწინავე სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა.

შეიქმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ძირეულ ეკონომიკურ გარდაქმნათა საფუძველზე ქართველმა ხალხმა მიიღწია მნიშვნელოვან წარმატებებს კულტურული მშენებლობის დარგში, ძირითადად დამთავრა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებს გზა გაუხსნა ცოდნისაკენ. შეიქმნა სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელი. 1941 წ. დასაწყისში დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს დაექვემდებარა. მოკლე დროში ომის ყაიდაზე გარდაიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

მიუხედავად მუშათა დიდი ნაწილის ფრონტზე წასვლისა, საწარმოებში მოვიდა ათასობით ქალი, ახალგაზრდობა, პენსიაზე გასული მუშები, შრომითი რეზერვების სისტემის კვალიფიკური მუშები, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ და წარმატებით სძლევენ ომით გამოწვეულ დაბრკოლებებს. ფართოდ გაიშალა საწარმოებში ახალმოსული მუშების მომზადება კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; წარმოების სრულყოფაში დიდი წვლილი შეჰქონდათ რაციონალიზატორ-გამომგონებლებს. მრეწველობის მრავალი დარგის საწარმოების მშრომელები აღწევდნენ საუკეთესო მაჩვენებლებს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში. სწრაფად იზრდებოდა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებში ჩაბმულ მუშათა როდენობა.

სსრ კავშირის
 სსრ. ინესპუბ.



მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის სტრუქტურაში. გაიზარდა სამხედრო მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი, ხოლო შემცირდა ზოგიერთი სხვა დარგისა. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს გაგზავნა დიდიძალი საბრძოლო იარაღი, სურსათი და ტანსაცმელი.

ომის წლებში მიმდინარეობდა ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობაც. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის მიმდინდესტრიის მნიშვნელოვანი კერის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყება 1944 წელს.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს გლეხობის ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში ნათესი ფართობი კი არ შემცირებულა, არამედ გადიდდა კიდევ. გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა, წარმატებები იქნა მოპოვებული პირუტყვის სულადობის ზრდის საქმეში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე ომის წინ.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სოფლის მშრომელთა საპატიო ამოცანას წარმოადგენდა მრავალწლიან ნარგავთა ფართობების შენარჩუნება და მოსავლიანობის გადიდება. შენარჩუნებულ იქნა და რამდენადმე გაიზარდა კიდევ ჩაის, ვენახის ფართობი, მაგრამ ომის წლებში მუშახელის და წარმოების საშუალებათა ნაკლებობის გამო რამდენადმე შემცირდა ჩაისა და ყურძნის მოსავალი.

რესპუბლიკის განსაზოგადოებელი მეცხოველეობა ომის წლებშიც აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ომის წლებში რესპუბლიკის მეცხოველეობას 620 ათას სულზე მეტი პირუტყვი შეემატა, მარტო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 120 ათასი სულით, ცხვრისა და თხისა — 500 ათასი სულით!

მიუხედავად სამამულო ომით გამოწვეული სიძნელებისა, საგრძნობლად განმტკიცდა კოლმეურნეობების ეკონომიკა, გადიდდა კოლმეურნეობათა გაჩუქოვანი ფონდების ოდენობა. კოლმეურნეობები გაცილებით მეტ საქონელურ პროდუქციას იძლეოდნენ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სურსათით ფრონტისა და ზურგის შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

საქართველოს მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ წითელი არმიის მეომრებისათვის თბილი ტანსაცმლის, საჩუქრების შეგროვებასა და გაგზავნაში. მოსახლეობამ ნებაყოფლობით შეაგროვა ფულადი თანხები და ფასეულობა სატანკო კოლონების, ავიაციკადრილიების, წყალქვეშა ნავისა და სხვა საბრძოლო იარაღის ასაგებად, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გაზრდისათვის.

საბჭოთა ხალხმა ძლევა მოსილად დაამთავრა რა დიდი სამამულო ომი, სკკპ ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენას და შემდგომ განვითარებას. მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. თითქმის ერთ წელიწადში საქართველოს მრეწველობამ შესძლო

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქცია, თბ., გვ. 448-470.

სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე მთლიანად გადასვლა, ხოლო 1947 წლისათვის რესპუბლიკის მრეწველობამ გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს. რსფსრ და სხვა მოძმე რესპუბლიკების დახმარებით, ადგილობრივ მშრომელთა გარჯით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წწ. ხუთწლიანი გემა წარმატებით შესრულდა.

ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება მრეწველობის ახალი თვისებრივი ზრდით. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტროენერგეტიკული, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მსხვილი სამშენებლო ინდუსტრიის, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი, განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა და სხვ. რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. მრეწველობის ბევრმა დარგმა საერთო საკავშირო მნიშვნელობა მოიპოვა.

მრეწველობაში მოპოვებული წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა მასზე გაწეული კაპიტალდაბანდების ზრდის გარეშე, რომლის მოცულობა წლითიწლით მატულობს, მაგალითად 1985 წელს კაპიტალდაბანდება შეადგენდა — 2474 მლნ მანეთს ანუ 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე მთელ IV ხუთწლედში.

მრეწველობის ახალი დარგების საქართვებისათვის მრავალი ათასი მუშა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი კვალიფიკაციას იმაღლებდა ჩვენი ქვეყნის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში.

1985 წელს მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1970 წელთან შედარებით შეადგენდა 253%-ს, 1975 წელთან შედარებით 183%-ს, ხოლო 1980 წელთან შედარებით 130%-ს.

თუ 1940 წელს რესპუბლიკა დღეში აწარმოებდა 2 მლნ კვტ საათ ელექტროენერგიას, 1985 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა — 39,5 მლნ კვტ საათი, შესაბამისად ლითონმჭრელ დაზგებს 2 და 8,5 ცალს, სამშენებლო აგურს 250 და 843 ათასს, პირველადი დამუშავების ბაზის ჩაის 30 და 385 ტონას, ტყავის ფეხსაცმელს 24 და 47 ათას წყვილს და ა. შ.

პროდუქციის მატების სულ უფრო დიდი ნაწილი მოდის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში, მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ იყო სათანადო სისრულით გამოყენებული. სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა (1953 წლის სექტემბერი) დასახა სათანადო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის, ნედლეულით მრეწველობისა და სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის. დღის წესრიგში დადგა წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, შრომის ანაზღაურების უფრო პროგრესული ფორმების დანერგვის საკითხი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ. ფართოდ გაიშალა მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მატერიალური სტიმულირების გაძლიერების, დაგეგმვის სრულყოფის, დამზადების ფასების

გადიდების და მისი ზონალური და ქვეზონალური დიფერენციაციის, განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მყოფ მეურნეობათა ობიექტური პირობების გამოთანაბრების, პირად დამხმარე მეურნეობებთან კავშირის გაძლიერებისა და სხვა.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა სათანადო შედეგი გამოიღო. 1965 წლის შემდეგ განსაკუთრებით მაღალი ტემპებით გაიზარდა კადაბანდებები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, გაიზარდა მისი ხვედრითი წონა კადაბანდებათა საერთო მოცულობაში. 1983 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების მიერ გაწეულმა კადაბანდებებმა 511 მლნ. მანეთი შეადგინა, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება 1965 წლის დონეს. ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდების მოცულობა 4,3-ჯერ, ფონდშიყარაღება 3,1-ჯერ, ხოლო ფონდღურუნველყოფა 2,7-ჯერ გაიზარდა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, თუმცა შრომის ფონდშიყარაღების დონით ჩვენ კვლავ ჩამოვრჩებით საკავშირო მაჩვენებელს, რასაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ზოგიერთი თავისებურება განაპირობებს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მიმართულებით ჩატარებულმა მუშაობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპების გადიდებაში. 1965—1985 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (შესაღარის ფასებში) ორჯერ გაიზარდა, მათ შორის მემცენარეობის პროდუქცია 2,3-ჯერ, ხოლო მეცხოველეობისა — 1,5-ჯერ. ამავე პერიოდში ბევრად გაიზარდა ხარისხობრივი ჩაის ფოთლის (3,1-ჯერ), ყურძნის (3,0-ჯერ), ხილის (4,6-ჯერ), ციტრუსების (10-ჯერ), ხორცის (2,4-ჯერ), რძის (2-ჯერ), დამზადება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განაწილებითი ურთიერთობები კოლმეურნეობებში, ამაღლდა მშრომელთა შრომის ანაზღაურების დონე, უფრო ობიექტური გახდა თანაფარდობა მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის.

სოფლად საწარმოო ძალების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ახალი ფორმების გამოყენების საკითხი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციასა და აგროსამრეწველო ინტეგრაციას და მის ბაზაზე წარმოების კონცენტრაციის შემდგომ ზრდას და სპეციალიზაციის გაღრმავებას. თუ 1970 წელს საქართველოს სსრ-ში იყო 139 სამეურნეობათაშორისო საწარმო და ორგანიზაცია, 1985 წლისათვის მათი რიცხვი 396-მდე გაიზარდა, ხოლო მათში მონაწილე მეურნეობათა რიცხვი შესაბამისად 2387-დან გაიზარდა 7056-მდე.

სულ უფრო მეტად ფართოვდება სოფლის მეურნეობის კავშირი მრეწველობის, საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებთან, შესაბამისად ხდება აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება და განვითარება. ეს თავის მხრივ მოითხოვდა სოფლის მეურნეობის მართვისა და დაგეგმვისადმი ახლებურ მიდგომას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბაშის ექსპერიმენტს, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი კომპლექსურად მიუღვა სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებს. საქართველოს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა რესპუბლიკების გამოცდილება დაედო საფუძვლად სკკპ ცენ-

ტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების (ჩაპოების) შექმნის შესახებ. მოგვიანებით (1985 წ.) აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი ორგანოები — აგროსამრეწველო კომიტეტების სახით შეიქმნა რესპუბლიკისა და კავშირის დონეზე.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით სწევენ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით დასახულ ამოცანებს, რათა სათანადო წვლილი შეიტანონ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. ამასთან დააკმაყოფილონ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნებიანი აუცილებელი სასურსათო პროდუქტებით.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად დიდად განვითარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა რკინიგზის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ქსელი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები შედიან მსოფლიოს მრავალ ნავსადგურში, ვითარდება საბავირო და მილსადენი ტრანსპორტი. ექსპლოატაციაში გადაეცა დიდუბე-თემქისა და სამგორ-ვარკეთილის მეტროპოლიტენის ახალი ხაზები. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა საგზაო მშენებლობაში. ფართოდ გატარდა ქალაქებისა და სოფლების ტელეფონიზაცია, რადიოფიკაცია, სწრაფად ვითარდება ტელევიზია. თბილისში, საკურორტო ზონებში და სხვა ქალაქებში მუშაობს ავტომატური სატელეფონო სადგურები. მნიშვნელოვნად გადიდა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, ამაღლდა მომსახურების დონე. თუმცა მომსახურების სფეროსათვის დამახასიათებელი ბევრი ნაკლი ბოლომდე ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი.

ეროვნული შემოსავლის ზრდის კვალობაზე იზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მარტო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული დახმარება და შეღავათები 1985 წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 5-ჯერ და მეტად.

მთელი რიგი კატეგორიის მუშაებს მოემატათ ხელფასი, გაუდიდათ პენსიის ოდენობა. მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველზე გაიზარდა რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა, მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა და არსებითად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. უფრო მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს მათი ცხოვრების პირობები.

კიდევ უფრო მეტად გაიუმჯობესეს საბინაო პირობები ქალაქისა და სოფლის მეცხოვრებლებმა. 1971—1985 წლების განმავლობაში აშენდა 34617 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ ხნის მანძილზე 2862 ათასმა კაცმა მიიღო საცხოვრებელი ფართობი ან გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული მიღწევების საფუძველზე კიდევ უფრო მეტად აყვავდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ქართული კულტურა.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი და 5 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. 1985 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 19 უმაღლესი და 91 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. 1940 წელთან შედარებით მომზადდა 5-ჯერ მეტი უმაღლესი კვალი-

ფიკაციისა და 2-ჯერ მეტი საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საკითხებს. 1940 წელს შედარებით ექიმების რაოდენობა გაიზარდა 6-ჯერ, ხოლო საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 4-ჯერ და მეტად.

ფართოდ ვითარდება საკურორტო მეურნეობა, ტურიზმი და მასობრივი ფიზკულტურა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპები, ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნებოდა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი თუ უკეთ ავამოქმედებდით ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა რეზერვს და უფრო სრულად გამოვიყენებდით სოციალისტური წყობილების შესაძლებლობებსა და უპირატესობებს.

ბოლო წლებში წარმოშობილი სიძნელეები ღრმად არის გაანალიზებული და განზოგადებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წ. იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში. როგორც პლენუმზე აღინიშნა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაიყარა მოძრაობის ტემპები, დაკროვდა სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები, თავი იჩინა კრიზისულმა მოვლენებმა, დაისადგურა ინერცია, კონსერვატიულმა განწყობილებამ. შესუსტდა კონტროლი საზოგადოებრივი დოვლათის გამოყენებისადმი, შექმნა ისეთი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, თითქო იგი „არავისი“ არ არის, უფასოა, ხშირად იგი გამოიყენებოდა როგორც არაშრომითი შემოსავლის წყარო. არასწორი წარმოდგენა შეიქმნა კოლპერაცულ საკუთრებაზე, როგორც რაღაც „მეორეხარისხოვანზე“, უპერსპექტივოზე.

არადამაკმაყოფილებელი იყო მდგომარეობა ეკონომიკის მართვის მექანიზმის სფეროში. გეგვა მოიცავდა ძალიან ბევრ წვრილმანს. სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს და ღირებულების კანონს უპირობებდნენ სოციალიზმს, იგნორირებული იყო ეკონომიკური ინსტრუმენტები, რაც ამუხრუჭებდა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სკკპ XXVII ყრილობამ, იანვრის და ივნისის (1987 წ.) პლენუმებმა ქვეყნის გარდაქმნის ფართო პროგრამა დასახა. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს — ეკონომიკას, პოლიტიკას, მეცნიერებასა და კულტურას, ჩვენი ცხოვრების ზნობრივ მხარეს. გარდაქმნა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის დემოკრატიზაციის სფეროს — საჯაროობას, არჩევითობას, კრიტიკის თავისუფლებას. იზრდება საწარმოთა დამოუკიდებლობა, რაც სათანადოდ არის ასახული სსრ კავშირის კანონში სოციალისტური საწარმოს შესახებ, ფართოვდება ადამიანთა უფლებები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში. გარდაქმნის უპირველესი სფერო მაინც არის ეკონომიკა, აქედან უნდა დაიწყოს ქვეყნის საერთო წინსვლა. პირველი შედეგები უკვე ხელშესახებია, ამას ნათლად მოწმობს XII ხუთწლიდის პირველი წლის შედეგები. მნიშვნელოვნად დაჩქარდა ჩვენი ეკონომიკის, მისი წამყვანი დარგების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპები, რაც მომავალი, კიდევ უფრო დაჩქარებული ზრდის საიმედო გარანტიაა.

ალექსანდრე გრეხვაძე

3. ი. ლენინი სსრ კავშირში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის
არსისა და ამოცანების შესახებ და მისი განხორციელების
თავისებურებანი საქართველოში

ვ. ი. ლენინი, როდესაც განსაზღვრავდა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გეგმას, არაერთგზის აღნიშნავდა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციის აუცილებელი მატერიალური ბაზა, მრავალ-მილიონიანი ფლეხთა მასების სოციალისტურ რეღესებზე გადაყვანა, კაპიტალიზტური სამყაროსაგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და თავდაცვის გაძლიერება შეუძლია მოგვიტანოს მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, ამიტომ პარტიას სოციალიზმის მშენებლობის განხორციელების უპირველეს ამოცანად მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებით განვითარება მიაჩნდა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმის შემუშავებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თეორიულ დებულებათა გათვალისწინებას მსხვილი მანქანური მრეწველობის, როგორც სოციალიზმის მატერიალური ბაზის როლის შესახებ. ფრ. ენგელსი ჯერ კიდევ 1847 წელს „კომუნისმის პრინციპებში“ აღნიშნავდა, რომ მსხვილი მრეწველობის გარეშე შეუძლებელია პროლეტარული რევოლუცია და სოციალიზმი¹.

მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლები კომუნისტური საზოგადოების მომავალს წარმოიდგენდნენ ისეთ საზოგადოებად, რომელსაც ახასიათებს საწარმოო ძალების გიგანტური განვითარება, მძლავრი ტექნიკური პროგრესი, ყველა საზოგადოებრივი წარმოების არნახული ზრდა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნები². კ. მარქსი თავის კლასიკურ ნაშრომში „კაპიტალი“ წერდა: „...რეალური ბაზისი იმ უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმისათვის, რომლის ძირითადი პრინციპი თვითიული ინდივიდის სრული და თავისუფალი განვითარებაა“³.

ვ. ი. ლენინმა საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ღრმად შესწავლის საფუძველზე მარქსისტული მოძღვრება კიდევ უფრო მეტად განავითარა, შემოქმედებით გაამდიდრა იგი, დაამუშავა ეკონომიკურად ჩამორჩენილი რუსეთის მოწინავე სოციალისტურ ქვეყნად გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა. ვ. ი. ლენინი ამ პროგრამაში

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, с. 326—329.

² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 35.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 746.

უპირატესობას ანიჭებდა ელექტროფიკაციას, მსხვილ მრეწველობას და, პირველ რიგში, მძიმე ინდუსტრიის შექმნასა და განმტკიცებას. „თუ მძიმე მრეწველობა ვერ ვისხენით, თუ იგი ვერ აღვადგინეთ, ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაგებთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უამისოდ კი ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, საერთოდ დავიღუპებით“⁴.

მძიმე ინდუსტრია, გვასწავლის ვ. ი. ლენინი, ეკუთვნის ტრანსპორტთან, ბანკებთან, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიასთან ერთად ეკონომიკურ ბრძანებულ სიმადლეს, რომელთა დაუფლების გარეშე მუშათა კლასს არ ძალუძს ხანგრძლივი დროის მანძილზე თავის ხელში ეპყრას ძალაუფლება. გამოიყენებს რა პოლიტიკურ ძალაუფლებას როგორც თავის უმთავრეს იარაღს, მუშათა კლასი უნდა გაძლიერდეს ეკონომიკურად და ამ ბრძანებულ სიმადლეთა დახმარებით მიადწიოს შევიწროებას და კაპიტალისტური ელემენტების მთლიან ლიკვიდაციას — მთელი ეკონომიკის სოციალისტურ გარდაქმნას. „პროლეტარიატის ძირითადი და ფრიალ არსებითი ინტერესია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი რკპ (ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციაზე, — მსხვილი მრეწველობის აღდგენა და მასში მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნა, მაშინ განამტკიცებს იგი თავის დიქტატურას, მაშინ იგი, მიუხედავად ყოველგვარი პოლიტიკური და სამხედრო სიძნელისა, უეჭველად ბოლომდე მიიყვანს თავის დიქტატურას“⁵.

სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში, სადაც გაიმარჯვა პროლეტარულმა დიქტატურამ, ვ. ი. ლენინი გადაწყვეტს როლს აკუთვნებს მსხვილ, მძიმე მრეწველობას. „რესურსების განსამტკიცებლად, სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ნამდვილი და ერთადერთი ბაზა ერთია და მხოლოდ ერთი — ესაა მსხვილი მრეწველობა“⁶.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამა ითვალისწინებდა თავდაცვის ძლიერების განმტკიცებას, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალიზმის მშენებლობისათვის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობდნენ საბჭოთა ქვეყნის წინსვლის შესაჩერებლად. საბჭოთა სახელმწიფო იძულებული იყო განუწყვეტლივ ეზრუნა თავისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. ვ. ი. ლენინი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო იყო უცხო კაპიტალის მოზიდვა კონცესიებისა და სესხების სახით. ყოველივე ამას შეეძლო ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მსხვილი ინდუსტრიის ამაღლება, საზღვარგარეთიდან ახალი ტექნიკის შემოტანა, ახალი, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გამოყენება და ბოლოს მშვიდობიანი თანაარსებობის კურსის გატარება საბჭოთა სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“⁷.

მსხვილი მრეწველობის განვითარება განამტკიცებდა პროლეტარულ დიქტატურას, საბჭოთა წყობილებას, იგი ხელს უწყობდა მუშათა კლასის ზრდას და კონსოლიდაციას. ემყარებოდა რა ეკონომიკის მოწინავე და წამყვან

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 504.

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 523.

6 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 519.

7 История социалистической экономики СССР, т. III, М., 1977, с. 86, 87.

დაარს, მუშათა კლასი სოციალიზმის მშენებლობაში ხელმძღვანელობდა მთელ მშრომელებს.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმაში დიდი ადგილი ეკავა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის საკითხებს. „ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში — წერდა ვ. ი. ლენინი, — მას შემდეგ, რაც გადაჭრილია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა და იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება მთავარსა და ძირითადში ამოცანა: ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა, — პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ შრომის ნაყოფიერების გადიდება, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი — მისი უმაღლესი ორგანიზაცია“⁸.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის პირობებისა და გზების საკითხებზე. იგი ახალი წყობის გამარჯვებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნევდა მძიმე ინდუსტრიაში შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას. „შრომის ნაყოფიერების გადიდება — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობის, რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას“⁹.

მსხვილ ინდუსტრიას, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ახასიათებდა განსაკუთრებული თავისებურება. ვ. ი. ლენინი ამ დებულებას ხსნის, როცა იგი ამბობს მსხვილი წარმოების ორგანიზაციული და დისციპლინებული როლის შესახებ, რომ წარმოების ორგანიზაცია წინასწარ შედგენილი გეგმით „ვითარდება მსხვილ მანქანური ინდუსტრიიდან“¹⁰. ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისას პარტია ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინის ამ მითითებებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ახალი საწარმოო ურთიერთობის ფორმირებისათვის.

პარტიის პროგრამაში, რომელიც მიიღო VIII ყრილობამ (1919 წ. მარტი), მითითებული იყო ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორიცაა ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველმხრივი ამაღლება და ყველა სამეურნეო მოღვაწეობის გაერთიანება საერთოსახელმწიფოებრივ გეგმაში. პარტია ზრუნავდა რა წვრილი და კუსტარული მრეწველობის აღდგენისათვის, კერ კიდევ მაშინ მიზნად ისახავდა წარმოების ამ ჩამორეჩენილი ფორმის უმტკივნეულოდ გადაყვანას უფრო მაღალ, მსხვილ, მანქანურ ინდუსტრიაზე.

რკპ(ბ) IX ყრილობის (1920 წ. მარტი-აპრილი) გადაწყვეტილებაში ხაზგასმული იყო ერთიანი გეგმის სამეურნეო შედგენისა და ელექტროენერჯის ფართოდ გამოყენების აუცილებლობა. ვ. ი. ლენინი ელექტროფიკაციის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ცნობილია, რომ მან გოელროს გეგმას პარტიის მეორე პროგრამა უწოდა. ამიტომ ყრილობამ განსაზღვრა აგრეთვე ელექტროფიკაციის გეგმის დამუშავების ძირითადი მიმართულება.

⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 302.

⁹ იქვე, გვ. 303.

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 620.

სამოქალაქო ომის დამთავრების პირობებში შეუძლებელი იყო მსხვილი მრეწველობის განვითარება, ამისათვის საჭირო იყო სამრეწველო ცენტრებში პურის გარკვეული მარაგისა და სათბობ-საწვავის მსხვილი ბაზების არსებობა, საწარმოების ახალი განწყობილებებით აღჭურვა. და ა. შ. ამიტომ ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა.

ვ. ი. ლენინი არაერთგზის შენიშნავდა, რომ აუცილებელია „ხელი შევეწყუთ წვრილი მრეწველობის აღდგენას, რომელსაც არ სჭირდება მანქანები, არ სჭირდება ნედლეულის, სათბობის, სურსათის არც სახელმწიფო და არც სხვა დიდი მარაგი, — რომელსაც ახლავე შეუძლია გაუწიოს ერთგვარი დანხარება გლეხის მეურნეობას და აამაღლოს მისი საწარმოო ძალები“¹¹.

პარტიას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა დიდი სიძნელებების გადალახვა დასჭირდებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წანამძღვარი პირობების შექმნისათვის. ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელება მოითხოვდა პარტიის რიგებისა და მშრომელთა ფართო მასების იდეოლოგიურ მომზადებას.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარება წვრილგლეხურ რუსეთში შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მშრომელი გლეხობის მხარდაჭერით, მუშათა კლასისა და გლეხთა ძირითადი მასის კავშირის განმტკიცებით. მხოლოდ ამის შედეგად, ამბობდა ვ. ი. ლენინი პარტიის XI ყრილობაზე, დადგება წინსვლის ისეთი დრო, რომელზედაც ახლა ფიქრიც კი შეუძლებელია¹².

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ვ. ი. ლენინი უკავშირებდა ყველაზე რთულ და ძნელ ამოცანას — წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანას სოციალისტურ საწყისებზე. მსხვილი მრეწველობის განვითარება ქმნიდა სათანადო პირობებს გლეხობისათვის ეკონომიკური და ტექნიკური დანხარებისათვის, უზრუნველყოფდა კოოპერაციული წყობის მატერიალურ ბაზას. განსაზღვრავდა რა გლეხობის ძირითადი მასის სოციალიზმთან დაახლოების გზებს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანას მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

სოციალიზმის მშენებლობის პირობებში მოსახლეობის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უშუალოდ დაკავშირებულია მსუბუქი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, თავის მხრივ, მსუბუქი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წარმატებანი კი დამოკიდებულია მიძიმე ინდუსტრიის განვითარების დონეზე. ამრიგად, მიძიმე ინდუსტრიის განვითარება თავისთავად წყვეტდა სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარების საკითხებსაც.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს ერთადერთ სწორ საშუალებას ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის დაძლევაში. მრეწველობის ორგანიზაცია ელექტრიფიკაციის ბაზაზე, ამბობდა ვ. ი. ლენინი, „...დააკავშირებს ქალაქსა და სოფელს, ბოლოს მოუღებს უთანხმოებას ქალაქსა და სოფელს შორის, შესაძლებლობას მოგვეცემს კულტურულად ავამაღლოთ სოფელი, დავამარცხოთ

11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 433.

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 315.

ჩამორჩენილობა. სიბნელე, სიღატაკე, ავადმყოფობა და გავლეურება თვით ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც¹³.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მანქანური წარმოების გეგმაზომიერი გადაადგილება მთელ ჩვენს ქვეყანაში; იგი ითვალისწინებდა ყველა აგრარული ჩამორჩენილი რაიონის მოწინავე, ინდუსტრიულ, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებას, რაც ქმნიდა სათანადო პირობებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის. მხოლოდ ინდუსტრიული განვითარებით შეიძლებოდა ლიკვიდაცია ცარიზმისაგან მიღებული ეკონომიკური ჩამორჩენილობისა, რომელიც განაპირობებდა ინდუსტრიულად შედარებით განვითარებული რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან განაპირა მხარის ფაქტურ უთანასწორობას. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ჩამორჩენილი ხალხების გადასვლა სოციალიზმში შესაძლებელია მხოლოდ ინდუსტრიალიზაციისა და ელექტრიფიკაციის, საბჭოთა ხალხის ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გზით. ამიტომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირში წარმოადგენდა ერთიან პროცესს და ატარებდა საერთო სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საკითხებს. მსხვილი ინდუსტრიისა და ელექტრიფიკაციის განვითარება მოითხოვდა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ხალხთა მასების მაღალ კულტურას. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1920 წლის დამლევს „შენიშვნებში ელექტრიფიკაციის შესახებ“ მოგვცა მეტად ლაკონიური განსაზღვრა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსის შესახებ. იგი წერდა:

“1. თანამედროვე ტექნიკა. 2. საწარმოო ძალების აღდგენა, მათი გადიდება. 3. ცენტრალიზაცია — maximum, 4. კომუნისმი = საბჭოთა ხელისუფლება + ელექტრიფიკაცია. 5. საერთო და ერთიანი გეგმა: ხალხის ყურადღებისა და ძალების ცენტრალიზაცია. 6. კულტურის (მშრომელთა კულტურის) ამაღლება. 7. მარტო წერა-კითხვის ცოდნა კი არა¹⁴. ამრიგად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უნდა განხორციელებულიყო მთელი საზოგადოების მიერ გეგმაზომიერების საწყისებზე, მოითხოვდა ყოველმხრივ განათლებულ და უნარიან მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსულ ადამიანებს, მაგრამ ამავე დროს, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, სამეურნეო მშენებლობაში უნდა გამოყენებულიყო ბურჟუაზიული სპეციალისტები. „ჩვენ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არ შეგვიძლია ვამეინოთ ხელისუფლებას, თუ კაპიტალისტური კულტურის ისეთი მემკვიდრეობა როგორც ინტელიგენციაა, არ იქნება გამოყენებული“¹⁵.

ვ. ი. ლენინი ხედავდა, რომ სსრ კავშირი, რომელიც დაეყრდნობოდა მსხვილი მანქანური ინდუსტრიის და ელექტრიფიკაციის ახალ ბაზას, უმოკლეს დროში დაიძვედა ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, დაეწეოდა და გაუსწრებდა კიდევ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს.


ვ. ი. ლენინმა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა დაამუშავა მთელ მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს არსებობის

13 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 402.

14 ვ. ი. ლენინი მძიმე მრეწველობის განვითარებისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ, თხ., 1958, გვ. 110.

15 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 255.

2. „მაენე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, № 4



შინაგანი და საერთაშორისო პირობების ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე, რომელიც შეესაბამებოდა კომუნისტური პარტიის ბრძოლას წინააღმდეგობაში სოციალიზმის გამარჯვების უახლოეს ამოცანებს და პერსპექტივებს. ვ. ი. ლენინმა ასხნა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი და აჩვენა მისი როლი სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაში. მან შეიმუშავა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა, ასევე მისი განხორციელების გზები და მეთოდები.

თუმცა კომუნისტური პარტია ყოველთვის ანიჭებდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამის განხორციელების აუცილებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება დაიწყო მაშინ, როდესაც შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის აღდგენა. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა საქვეყნოდ აღიარებულ იქნა როგორც პარტიის გენერალური ხაზი პარტიის XIV ყრილობაზე. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის აღებით დაიწყო სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ახალი, თვისებრივად უფრო მაღალი საფეხურის დასაწყისი. თუ აღდგენით პერიოდში შედარებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ახლა, რეკონსტრუქციის პერიოდში, წინა პლანზე დადგა მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარების ამოცანა. ასეთ პირობებში პარტიას უნდა შეემუშავებინა სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპის შესაბამისი სამეურნეო პოლიტიკა, უნდა დაესაზღვრა ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამისა და XIV ყრილობის დირექტივების განხორციელების კონკრეტული გზები. ვინაიდან ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია უნდა წარმართულიყო ჯერ კიდევ სრულიად გაუკვალავი გზით, პარტიის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი ახალი და რთული პრობლემები.

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წ. პლენუმმა (1926 წ. 6-9 აპრილი) ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა სსრ კავშირში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების კონკრეტული გზები¹⁶. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა არათანაბრად. სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მრეწველობისა და მოსახლეობის განუხრელად მზარდი მოთხოვნილება მისი დაბალი ტექნიკური ბაზის გამო. მრეწველობის ცალკე დარგებს შორის არსებობდა დისპროპორცია, რასაც შეეძლო გამოეწვია დაბრკოლება ინდუსტრიალიზაციის განხორციელების დაჩქარების საქმეში.

პლენუმის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გატარება „...წარმოადგენს იმ გადაწყვეტ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაჭრა განსაზღვრავს მთელი მეურნეობის ზრდას სოციალიზმის გამარჯვების გზაზე“¹⁷.

ამრიგად, პლენუმმა დააზუსტა პარტიის XIV ყრილობის დირექტივები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ და მიუთითა, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის ისეთი დარგების აუცილებლად განვითარებაზე, როგორცაა მე-

¹⁶ სკპ რეზოლუციებში..., ნაწ. II, გვ. 337.

¹⁷ იქვე, გვ. 338.

ტალღოვანი და სათბობი მრეწველობა, ელექტროენერგეტიკული, სამშენებლო მასალათა მრეწველობა და ტრანსპორტი. მაგრამ ახალ საწარმოთა მშენებლობა, ძველ საწარმოთა აღჭურვა თანამედროვე გაწყობილობებით დამოკიდებული იყო მრეწველობის განვითარების დაგროვების მოცულობაზე. ამრიგად, ინდუსტრიალიზაციის კურსის პრაქტიკული გატარება პირველ რიგში ემყარებოდა დაგროვების პრობლემას. თეორიულად ეს პრობლემა გადაწყვიტა ვ. ი. ლენინმა. პლენუმმა იხელმძღვანელა ვ. ი. ლენინის მითითებებით და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „არამწარმოებელი კლასების (ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის) ექსპროპრიაცია, ვალების გაუქმება, მრეწველობის, სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვაჭრობის შემოსავლისა და მთელი საკრედიტო სისტემის სახელმწიფოს ხელში თავმოყრა და სხვ. — თავისთავად იძლევა ქვეყნის შიგნით ისეთი დაგროვების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობისათვის ინდუსტრიის განვითარების აუცილებელ ტემპს“¹⁸. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პრინციპული მიზანდასახულობა დაგროვების წყაროების შესახებ ერთხელ კიდევ ამტკიცებდა, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია თავისი არსებით საფუძვლანად განსხვავდება ბურჟუაზიული ინდუსტრიალიზაციისაგან, რომელიც ხორციელდება უწინარეს ყოვლისა ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის, კოლონიური და დამოუკიდებელი ხალხების გაძარცვის, საკუთარა ქვეყნის გლეხთა მასების გალატაკებისა და მუშათა კლასის შევიწროების გზით. ფართოდ სარგებლობენ აგრეთვე გარედან სესხის მიღებითაც.

პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ხარჯები „ახალ მშენებლობის დარგში შეთანხმებული უნდა იქნას საერთო სამეურნეო გეგმასთან“¹⁹. მთელ ქვეყანაში უნდა გატარებულიყო მომჭირნეობის რეჟიმის სახელმწიფო აპარატის გამართვა და მათზე გაწეული ხარჯების შემცირება. პარტია ყურადღებას აქცევდა მრეწველობის ისეთი დარგის დაჩქარებით განვითარებას, რომელიც ყველაზე უფრო მეტად დამოკიდებული იყო კაპიტალისტურ სამყაროს მრეწველობასთან²⁰.

ამ ეტაპზე პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა სოფლის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მშრომელთა მატორიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პარტია ითვალისწინებდა, რომ ფასების მოგვარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული მტკიცე და ნორმალური ეკონომიკური კავშირი სოციალისტურ მრეწველობასა და წვრილგლეხურ მეურნეობას შორის. ფასებს შეეძლოთ როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების სტიმულირება, ასევე მისი შეფერხება²¹.

სამრეწველო საქონელს მომხმარებელი არ ყიდულობდა მისი მაღალი ფასის გამო, რომლებსაც განსაზღვრავდნენ საწარმოთა ხელმძღვანელები. მათ უნდოდათ მეტი მოგების მიღება და საბრუნავი კაპიტალის გადიდება. ყოველივე ამის უფლება მათ მოპოვებული ჰქონდათ მრეწველობის მართვის სის-

¹⁸ სკპ რეზოლუციებში..., ნაწ. II, გვ. 339.

¹⁹ იქვე, გვ. 340.

²⁰ სკპ რეზოლუციებში..., ნაწ. II, გვ. 339.

²¹ თურ. „Вопросы истории КПСС“, 1967, № 12, с. 68.

ტემის რეორგანიზაციის შედეგად (1921 წ.). პროდუქციის ფასების ზრდა საგრძნობლად აფერხებდა როგორც ინდუსტრიის მაღალი ტემპით განვითარებას, ისე სოფლის მეურნეობას. პარტიამ დროულად გაითვალისწინა შექმნილი ვითარება და პრინციპულად უარყო ოპოზიციონერთა მოთხოვნა სამრეწველო პროდუქციაზე ფასების კიდევ უფრო გადიდების შესახებ და იგი მალე პრაქტიკულად განხორციელდა — დაიკლო ფასებმა სამრეწველო საქონელზე²².

ვინაიდან სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარების მაღალი ტემპებით დაჩქარებაში მუშათა კლასის წამყვან როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, პარტიამ დასახა ღონისძიებები და განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მათ ფართოდ ჩაბმას წარმოების მართვის საქმეში, საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესებას, საკონტროლო კომისიების შექმნას და სხვ. დიდი ყურადღება დაეთმო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების ფართოდ დანერგვას.

ამრიგად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსი, მიღებული პარტიის XIV ყრილობის მიერ, გახდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გენერალური ხაზის საფუძველი. მაგრამ პარტიის მიერ მიღებული და მეცნიერთა და დასაბუთებული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სხვა ეკონომიკურ პრობლემათა პოლიტიკის შემუშავება მიმდინარეობდა ტროცკისტებთან და სხვა ოპორტუნისტებთან გააფთრებული ბრძოლის პირობებში²³. მათ შეხედულებებს არავითარი საერთო არ ჰქონდათ პარტიის მიერ აღებულ გენერალურ ხაზთან და პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის იდეებთან. ცნობილია, რომ პარტიის პრინციპული უთანხმოების ძირითადი საკითხი იყო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. ტროცკისტები უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

ტროცკისტულ-ზინოვიევიერმა ბლოკმა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ გეგმას დაუპირისპირა ე. წ. „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმა, რითაც ეჭვის ქვეშ აყენებდნენ პარტიის მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის თითქოს დაბალ ტემპებს. ბლოკი უარყოფდა გლეხური მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარების შესაძლებლობას და მოითხოვდა გლეხების დაბეგრას მაღალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, რომელიც უნდა მოხმარებოდა „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმების განხორციელებას. ასეთი პოლიტიკის გატარება პარტიას არ შეეძლო, ვინაიდან სოციალიზმის ამწეობა შეუძლებელი იქნებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთკავშირის გარეშე. უამისოდ ვერ იარსებებდა პროლეტარიატის დიქტატურა და თვით საბჭოთა ხელისუფლებაც. ამიტომ პარტიამ ტროცკისტულ პლატფორმას კაპიტულანტური უწოდა²⁴.

ამრიგად, ოპოზიციასთან მწვავე ბრძოლაში პარტიამ დაიცვა და შემოკ-

²² იქვე, გვ. 68.

²³ История Коммунистической партии Советского Союза, т. IV, кн. первая (1921—1924 гг.), М., 1970, с. 445.

²⁴ იქვ. «Вопросы истории КПСС», 1967, № 12, с. 65; В. И. Кузьмин. В борьбе за социалистическую реконструкцию 1926—1937, М., 1976, с. 19—20.

მედები თავად განავითარა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა²⁵.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საბჭოთა საქართველოსათვის, რადგან მხოლოდ ინდუსტრიული განვითარებით შეიძლება ლიკვიდაცია ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური ჩამორჩენილობისა, რომელიც განაპირობებდა ინდუსტრიულად განვითარებულ რესპუბლიკებთან საქართველოს ფაქტიურ უთანასწორობას.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პარტიის X ყრილობამ დასახა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ღონისძიება საბჭოთა რუსეთში შესაძლო ერთა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციას შესახებ. ამ საკითხებს სერიოზული ყურადღება დაეთმო აგრეთვე პარტიის XIV ყრილობაზე. „ჩვენ არ შეგვიძლია, — ამბობდა ი. სტალინი ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, — მთელი ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ საქავშირო მრეწველობის განვითარებას... ადგილების ინტერესებთან და სარგებლობასთან ცენტრის ინტერესებისა და სარგებლობის დაუკავშირებლად ჩვენ ვერ გადავწყვეტთ მშენებლობითი ინიციატივის ამოქმედების პრობლემას, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სამეურნეო აღმავლობის პრობლემას, ქვეყნის უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის პრობლემას“²⁶.

იმ მიზნით, რომ უფრო რაციონალურად განაწილებულიყო საწარმოო ძალები, აუცილებელი იყო ნაციონალურ რესპუბლიკებში სამრეწველო მშენებლობის გაფართოება, მსხვილი სამრეწველო კერების შექმნა, ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების გათვალისწინების ბაზაზე. ამ მხრივ საბჭოთა საქართველოს ყოველმხრივი განვითარების დიდი შესაძლებლობები გაჩნდა. წიაღისეულთა დიდი მარაგი, ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მრეწველობის ზოგიერთი დარგის მიღწეული ღონე და მუშათა კადრის არსებობა ქმნიდნენ შესაბამის პირობებს როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ინდუსტრიის ფართო განვითარებისათვის.

რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე პარტიის ღირებუტივების შესაბამისად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასახა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის ფართო და სწრაფი განვითარების გზები. იგი ითვალისწინებდა მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას, ელექტრომშენებლობის გაშლას, მსუბუქი და კვების მრეწველობის აღმავლობას, საშენ მასალათა წარმოების გადიდებას, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და ა. შ. ყოველივე ეს ითვალისწინებდა შრომის გეგმავალიზაციის დანაწილებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. შრომის ასეთი დანაწილება საშუალებას იძლეოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებს გამოეყენებინათ ადგილობრივი რესურსები უფრო ეფექტურად, ამავე დროს იგი ხელს შეუწყობდა წარმოებრივი მოღვაწეობის ურთიერთგაცვლის განხორციელებას და მის საფუძველზე თი-

²⁵ Ленинский план индустриализации и его осуществление, М., 1969, с. 81.

²⁶ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 347.

თოვული რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დაჩქარებას, სახალხო-მეურნეობრივ აღმავლობას სსრ კავშირის ერთიან მეურნეობრივ სისტემაში²⁷.

ეინაიდან საბჭოთა საქართველო უზრუნველყოფილი იყო მდიდარი სათბობი, ენერგეტიკული, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, მიზანშეწონილი იყო ამ დარგების განვითარება რესპუბლიკის ინდუსტრიული ბაზის განმტკიცებისათვის; ეს შექმნიდა სათანადო პირობებს ინდუსტრიული წარმოების სხვა დარგების, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. გასავალისწინებელი იყო ისიც, რომ საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის სახალხო მეურნეობის გაშლილი აღმავლობისათვის. ამრიგად, საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის მძლავრი განვითარება²⁸.

საბჭოთა საქართველო მდიდარია აგრეთვე წიაღისეული საბადოებით. განსაკუთრებით დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობით ხასიათდება მანგანუმის მოპოვება, მდიდარი საბადოები აღმოჩნდა ბარიტის, დიატომიტის, საშენი მასალების, მათეორებელი თიხებისა და სხვ. ყოველივე ეს დიდ პერსპექტივებს სახედა მოპოვებელი და დამმუშავებელი ინდუსტრიული წარმოების განვითარებისათვის, რაც წარმოადგენს საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მანგანუმის მოპოვებას, ფეროშენადნობთა წარმოების განვითარებას, ბარიტის, მათეორებელი თიხების, საშენი მასალებისა და ზოგიერთი სხვა რესურსების მოპოვება-დამმუშავებას დიდი საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ საქართველო თავისი ხელსაყრელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გამო სსრ კავშირში ერთ-ერთი უნიკალური რაიონია, სადაც შესაძლებელია სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარება, აგრეთვე მეხილეობის, მევენახეობის, მებაღეობისა და სხვა ძვირფასი სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის წარმოების გადიდება, რაც ქმნიდა შესაბამის სანედლეულო ბაზას კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრიული განვითარებისათვის. ჩაისა და ხილბოსტნეულის კონსერვის მრეწველობას საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა.

რესპუბლიკის კვებისა და მსუბუქი მრეწველობის შემდგომი ინდუსტრიული განვითარება, აგრეთვე ტრანსპორტის აღმავლობა მოითხოვდა სათანადო სახეობათა ლითონდამმუშავებელი ინდუსტრიის, კერძოდ, შესაბამის ჩარხმშენებლობის და მანქანათმშენებლობის შექმნა-განვითარებას²⁹, რაც წარმოადგენდა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვან თავისებურებას.

²⁷ IV съезд Компартии Грузии, стенографический отчет, 1925, გვ. 41, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 263.

²⁸ А. Л. Гуння, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961, გვ. 157; ი. ბ ა ჯ ა ძ ე, საქართველოს სსრ მრეწველობა 1921—1941 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საშრობის ინსტიტუტის ფონდი, ეფ. № 213, გვ. 58.

²⁹ ი. ბ ა ჯ ა ძ ე, დასაბ. ნაშრ., გვ. 61.

როდესაც საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებას, ისინი უდიდეს მხარდაჭერას ნახულობდნენ სათანადო სახსრების გამოყოფით, განწყობილობების მოწოდებისა და კვალიფიციური კადრების მომზადებით სსრ კავშირის, კერძოდ, რუსეთისა და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკების მხრივ. მაგრამ ყოველივე ეს არ იქნებოდა საკმარისი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ინდუსტრიული განვითარებისათვის, რომელიც მოითხოვდა დიდად კაპიტალურ დაბანდებას. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დიდი მუშაობა განახორციელეს ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდანვე კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებისათვის სახსრების დასაგროვებლად დამატებითი წყაროების გამოხაზვისათვის.

როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელებას ხელს უშლიდნენ პარტიის, მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები, ყველა ჯურის ოპორტუნისტები და მათ შორის ნაციონალ-უკლონისტებიც, რომლებიც თავიანთ გამოსვლებსა და წერილებში „ამტკიცებდნენ“ თითქოს საქართველოში არ არსებობს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ხელსაყრელი პირობები, თავს ესხმოდნენ სოციალისტური მშენებლობის ლენინურ გეგმას, მაშინ როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ კურსი აიღო რესპუბლიკაში მძიმე მრეწველობის განვითარების განუხრელ აღმავლობაზე. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით დასძლია ტროცკისტულ-ზინოვიევიური ოპოზიციის, მემარჯვენე ოპორტუნისტთა ძირგამომთხრელი წინააღმდეგობა და წარმატებით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკა.

А. И. БРЕГВАДЗЕ

В. И. ЛЕНИН О СУЩНОСТИ И ЗАДАЧАХ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ ИНДУСТРИАЛИЗАЦИИ В СССР И ОСОБЕННОСТИ ЕЕ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ В ГРУЗИИ

В. И. Ленин на основе использования преимуществ социализма теоретически обосновал, доказал и наметил программу создания крупной машинной индустрии, от решения которой зависели политические, социально-экономические проблемы построения социализма в нашей стране. В этой связи освещаются особенности осуществления индустриализации в Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებაში

Д. С. ДИАСАМИДЗЕ

О СОВЕРШЕНСТВОВАНИИ СТРУКТУРЫ
АГРОПРОМЫШЛЕННОГО КОМПЛЕКСА ГРУЗИНСКОЙ ССР

Одной из важнейших характеристик АПК является его структура. Чем она совершеннее, тем выше его экономическая эффективность.

Агропромышленный комплекс имеет многомерную структуру. В экономической литературе различают отраслевую, функциональную, продуктовую, региональную, социально-экономическую структуру. Это обуславливает сложность управления структурными процессами АПК.

Чтобы иметь реальное представление о структуре АПК, необходимо соблюдать некоторые методологические требования для его определения. В первую очередь следует правильно выбрать систему показателей. Очень часто используется показатель валовой продукции, что не дает правильного представления о нем, поскольку содержит повторный счет продукции. Так, например, по официальным данным ЦСУ ГССР, за 1985 год удельный вес сельского хозяйства в АПК по валовой продукции составлял 39,2%, а по таким показателям, как производственные основные фонды и численность занятых, — 69—70%. Поэтому вместо валовой продукции за основу целесообразно брать конечную или чистую продукцию. Структура АПК, исчисленная по конечной и чистой продукции, почти совпадает со структурой исчислений по показателям основных фондов и численности занятых.

Для определения структуры АПК необходимо также правильно определить его отраслевой состав.

Часто неправомерно упускают из виду такие обслуживающие его отрасли, как транспорт и связь, ремонт сельскохозяйственных машин, агрохимическое и мелиоративное обслуживание.

И наконец, необходимо учесть также влияние механизма цен, перераспределяющего определенную часть стоимости между отраслями АПК, в частности, между сельским хозяйством, с одной стороны, и перерабатывающей промышленностью и сферой реализации — с другой.

О структуре АПК прежде всего можно судить по той ее продукции, которая выходит за ее пределы. В натуральной форме она состоит непосредственно из сельскохозяйственных продуктов, которые в свежем виде поступают в потребление. Это приблизительно одна пятая часть всей продукции АПК. Остальная часть — это продукты переработки, в которой подавляющую часть (63%) занимают продукты пищевой промышленности.

Но эти данные не дают полного представления об отраслевой структуре АПК, поскольку здесь не фигурируют все отрасли комплекса, а именно те, которые создают не конечную, а промежуточную продукцию.

Учитывая и эти отрасли, структура АПК республики за 1985 г. по данным ЦСУ ГССР представляется в таком виде: отрасли, обеспечи-

вающие АПК средствами производства, занимают 7—8%, сельское хозяйство — 10%, отрасли, перерабатывающие сельскохозяйственное сырье, — 10—15%, а сфера, обеспечивающая реализацию продукции АПК, — приблизительно 8—10%.

Как видно из этих данных, агропромышленный комплекс республики находится в процессе становления, формирования, поскольку, если его сравнить с индустриально развитыми странами, пока еще велик в нем удельный вес перерабатывающих и обслуживающих отраслей. Но рассматривая эти данные в динамике, можно заметить положительную тенденцию: уменьшается удельный вес сельского хозяйства, несмотря на его абсолютный рост, и увеличивается удельный вес отраслей, т. е. III блока.

Региональными особенностями структуры АПК республики, если их сравнить с общесоюзными показателями, является то, что в нем большой удельный вес занимает сельское хозяйство, чем в целом по Союзу. Сельское хозяйство является одной из ведущих отраслей экономики республики. На его развитие решающее влияние оказывают особенности природных условий данного региона и большой спрос на такие южные и субтропические культуры, как чай, цитрусовые, виноград, плодовые, табак, эфиромасличные культуры. Следует отметить, что в Грузии производится 93,6% сортового чайного листа и 93,8% цитрусовых от общесоюзного производства. Специализацию сельского хозяйства определяют многолетние культуры, продукция которых составляет 55,7% валовой продукции сельского хозяйства республики. Дальнейшее углубление специализации с приоритетным развитием этих отраслей определяют и более высокие темпы роста сельскохозяйственного производства Грузии, чем в целом по стране. От развития этих отраслей и зависит вклад республики в продовольственный фонд страны, ее место в общесоюзном разделении труда.

С развитием сельского хозяйства республики непосредственно связано развитие пищевой промышленности. И эта отрасль в структуре АПК республики представлена более высоким удельным весом, чем в целом по стране. Особенности местного сельскохозяйственного производства обусловили формирование многоотраслевой структуры пищевой промышленности, но ведущее место в нем занимает переработка винограда (30,1%), и чайная промышленность (23,4%). Одна третья часть пищевых продуктов вывозится за пределы республики. Вместе с тем некоторые отрасли пищевой промышленности Грузии развиты слабо. Это — мясо-молочная, мукольно-крупяная, маслобойно-жировая и некоторые др. Подавляющая часть этих продуктов завозится из других республик. Такой обмен продуктами питания обусловлен объективными природно-климатическими условиями и в перспективе будет все более развиваться.

Несмотря на то, что пищевая промышленность в Грузии растет опережающими темпами по сравнению с сельским хозяйством (за последние 25 лет эти темпы были в три раза, за последние 15 — в два раза выше), у нас все еще не хватает мощностей для переработки плодов, цитрусовых, овощей, зеленого чайного листа. Необходимо производственные мощности привести в соответствие с объемом сырья. При этом учесть, что все более увеличивается перерабатывающая часть сельскохозяйственной продукции, и что предприятия пищевой промышленности должны иметь резервные мощности для «пикового периода». Немаловажную роль имеет правильное размещение перерабатывающих предприятий. Они, в основном, строились в городах или

районных центрах, что стало причиной возрастания радиуса перевозки сырья и готовой продукции, увеличения их потерь.

По указанию вышестоящих органов перерабатывающие предприятия максимально должны приблизиться к колхозам и совхозам, так, чтобы каждый административный район имел развитую перерабатывающую промышленность.

С этой точки зрения большого внимания заслуживает вопрос об агропромышленной интеграции на микроуровне. Мы имеем в виду создание в колхозах и совхозах подсобных промышленных предприятий, которые производят для хозяйства средства производства или же перерабатывают сельскохозяйственное сырье. Их удельный вес в валовой продукции совхозов достиг значительного уровня и составляет 25,3%, тогда как в колхозах он все еще остается низким и составляет 8,6%. Своевременная переработка скоропортящейся продукции на местах в условиях нашего региона имеет особое значение. Поэтому в структуре подсобных промышленных предприятий опережающими темпами должны расти перерабатывающие предприятия. К сожалению, темпы их роста в колхозах отстают и по удельному весу ко всей продукции подсобных предприятий составляют 29,8%, а в совхозах — 68,5%.

В целом удельный вес подсобных промышленных предприятий колхозов и совхозов во всей перерабатывающей промышленности и промышленности, производящей средства производства для агропромышленного комплекса республики, невелик, но полученный от них экономический эффект довольно высок.

На агропромышленную интеграцию на уровне предприятий определенное влияние оказывает социальная структура сельского хозяйства республики. Поэтому она более интенсивно развивается в тех отраслях, где общественный сектор в структуре сельского хозяйства занимает большее место. Например, в чаеводстве, где удельный вес личных хозяйств граждан не превышает 7—8%, широкое распространение получило создание микрофабрик, непосредственно в колхозах и совхозах, для первичной переработки зеленого чайного листа. Их число уже составляет несколько десятков. Создание таких маломощных фабрик (с переработкой 1500 т зеленого чайного листа в год) вблизи от чайных плантаций обеспечивает ритмичность процесса сбора чая, и тем самым устраняет огрубение чайного листа, что отрицательно сказывается на качестве продукции. Строительство таких фабрик обходится дешево (их сметная стоимость 200—250 тыс. рублей), что значительно уменьшает удельные капиталовложения в этой отрасли промышленности.

Интеграция на уровне предприятий в республике осуществляется и другим путем, путем объединения сельскохозяйственных и промышленных предприятий и создания своеобразных комбинатов. Но такой путь интеграции пока что не дает должного эффекта, поскольку процесс слияния идет медленно, долго сохраняя традиционные формы организации и оплаты труда, учета и отчетности, а также психологию самостоятельности.

Агропромышленную интеграцию на микроуровне можно оценить как положительную тенденцию на данном этапе. Она означает не только рост производительных сил, но и развитие производственных отношений на селе, расширяет сферу обобществления труда и производства, совершенствует межотраслевые производственно-экономические связи, способствует планомерности и пропорциональности в развитии агропромышленного комплекса нашей страны.

Интеграция на микроуровне ускоряет процесс формирования продуктивных подкомплексов в профилирующих отраслях АПК республики, целью которых становится увеличение конечной продукции, доходящей до потребителя. На передний план выдвигается конечная цель, а производство промежуточной продукции становится лишь средством для достижения этой цели. Более четкое выделение продуктовых подкомплексов в структуре АПК позволит лучше определить пропорции между взаимосвязанными отраслями, быстро обнаружить диспропорцию, преодолеть ведомственно-отраслевой подход в планировании и управлении АПК.

Для формирования рациональной структуры АПК республики необходимо более интенсивно развивать обслуживающие отрасли, обеспечивающие доведение продукции до потребителя.

В сельском хозяйстве республики большой удельный вес занимает производство быстропортящихся продуктов. В расчете на душу населения здесь производится в 3—4 раза больше фруктов, значительно больше овощей, чем в целом по Союзу. Быстропортящимися являются зеленый чайный лист и цитрусовые, которые составляют почти одну треть всей валовой продукции сельского хозяйства. Поэтому в республике особенно остро ощущается необходимость ускоренного развития отраслей III блока. Должное внимание следует обратить на их правильное размещение и концентрацию. Овоще-фруктовые хранилища не должны быть слишком громоздкими. Это способствует увеличению числа нерациональных перевозок, и ведет к порче продукции в большом количестве. Хранилища и базы в основном должны быть размещены в местах производства продукции, а не в местах их потребления.

Совершенствование структуры АПК непосредственно связано с совершенствованием механизма его управления, с экономическими условиями хозяйствования в отдельных его отраслях и регионах.

Длительное время уровень рентабельности в сельском хозяйстве был значительно ниже по сравнению с отраслями, перерабатывающими сельскохозяйственное сырье и, особенно, со сферой реализации продукции. Это было результатом механизма хозяйствования, построенного, в основном, на отраслевом принципе, недостаточно учитывавшем конечные интересы комплекса. Но в последние годы в результате проведенных мероприятий в области ценообразования, планирования, совершенствования организационной структуры управления АПК и др. положение существенно меняется. В результате в 1983—1985 гг., в среднем, уровень рентабельности в сельском хозяйстве республики по сравнению с средним уровнем 1981—1982 гг. вырос на 40—50%.

Но вопрос выравнивания условий хозяйствования не менее актуально стоит и внутри сельского хозяйства, особенно в Грузии, где зональные условия производства, особенно в вертикальном направлении из-за горного рельефа территории резко отличаются друг от друга. Климатические условия большей части горных районов республики исключают или крайне ограничивают возможности возделывания там интенсивных многолетних и субтропических культур, которые отличаются сравнительно высокой доходностью, а в животноводстве пока еще преобладают экстенсивный тип производства. Поэтому для хозяйства этого региона характерны низкий уровень экономических показателей по сравнению с низменными районами.

В условиях социалистического хозяйствования выход из такого положения осуществляется планомерно, обычно путем внутризональной дифференциации государственных закупочных цен. Но в нашей

республике, в условиях горного земледелия, это мероприятие не могло дать положительного эффекта, поскольку производство относительно высокорентабельных субтропических и южных культур локализовано у нас в низменных районах, поэтому созданные в этих отраслях дифференциальные доходы перераспределить в пользу отстающих хозяйств горного региона с помощью цен было невозможно.

Проблема выравнивания объективных экономических условий хозяйствования в республике была решена самостоятельным путем, а именно, путем введения нового элемента хозяйственного механизма в виде рентных платежей, используемых в качестве инструмента перераспределения рентных доходов.

Эти платежи были введены в 1970 году на такие доходные культуры как зеленый чайный лист, виноград, плодовые, цитрусовые, табак и лавровый лист. Рентные доходы выплачивают колхозы, совхозы, а также личные подсобные хозяйства граждан в виде денежных ставок на каждую тонну сдаваемой продукции с учетом уровня рентабельности. Чем выше рентабельность, тем выше ставка платежей. Так, например, ставка на одну тонну зеленого чайного листа колеблется от 40 до 170 рублей, на одну тонну плодовых от 30 до 50 рублей и т. д. За последние 15 лет общая сумма рентных платежей выросла почти в четыре раза и ежегодная сумма ныне составляет около 40 млн. рублей, т. е. приблизительно, 7—8% от всего чистого дохода сельского хозяйства республики. За этот период убыточным и низкорентабельным хозяйствам было выдано свыше 300 млн. рублей, в соответствии с объемом реализованной ими продукции.

Мероприятия по обеспечению более равных условий воспроизводства в масштабе всей страны получили развитие в документах майского (1982 г.) Пленума ЦК КПСС, впервые установивших в нашей практике условия применения более совершенного механизма повышения закупочных цен, в виде надбавок к ценам на продукцию, которая производится в хозяйствах с неблагоприятными условиями производства.

В результате внутриреспубликанского перераспределения рентных доходов и совершенствования ценообразования вообще число убыточных хозяйств в республике резко сократилось (с 28% их общего количества до 4,2%) и тем самым создались более равные условия хозяйствования в основной сфере агропромышленного комплекса — в сельском хозяйстве.

Представлена отделом экономических проблем АПК Института экономики и права АН СССР

ილია რუხინაშვილი

სამეცნიერო გამოკვლევების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის ბანკითარების საკითხები საქართველოს სსრ-ში

რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის რადიკალური და-
ჩქარება ორგანულად დაკავშირებული სამეცნიერო გამოკვლევებისა და და-
მუშავებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნასთან. საცდელ-ექს-
პერიმენტულ წარმოებაში მოწოდება და ზუსტდება ტექნიკური, ექსპლოატა-
ციური და ეკონომიკური პარამეტრები, გაანგარიშებები და გადაწყვეტილე-
ბები; ხორციელდება საცდელი ნიმუშების შემუშავება და გამოცდა, იქმნება
სპეციალიზებული მოწყობილობანი.

ერთმანეთისაგან განარჩევენ საცდელი წარმოების ორ სახეს: პირველი—
სამეცნიერო ექსპერიმენტის მომსახურება, სამეცნიერო ქვედანაყოფების
შეკვრების შესრულება, პროდუქციის გამოშვება, რომლებიც ამთავრებენ
სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს. მეორე სახე დაკავშირებულია წარმოების
კონკრეტული პირობების შესაბამისად ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნას-
თან.

საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა ხასიათდება რიგი ეკონომიკური თავი-
სებურებებით: მისთვის დამახასიათებელია მიზნის გაორება, რადგანაც ეს ის
რგოლია, რომელიც აკავშირებს მეცნიერებასა და წარმოებას. ამის შესაბამი-
სად საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის ორგანიზაციული სტრუქტურა ხასიათ-
დება ფორმის მრავალფეროვნებით და მართვის სპეციფიურობით.

მეცნიერების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა საქართველოს სსრ-ში ჩა-
მორჩება თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ორ-
განიზაციების საერთო რაოდენობაში 1978 წ. საცდელ-საწარმოო ბაზა გააჩნ-
დათ ორგანიზაციების 34,9%; 1983 წ. — 35%, ხოლო 1985 წ. — 29,7%.
საცდელ-საწარმოო ბაზათა საერთო რაოდენობაში საკავშირო და რესპუბლი-
კური დაქვემდებარებების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების საცდე-
ლი საწარმოო ბაზები შეადგენენ: 1978 წ. — 92,3%; 1983 წ. — 79% და
1985 წ. — 72,2%; მათ შორის იმ საცდელ-საწარმოო ბაზათა ხედილითი
წილი, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებიან 1978 წ. შეადგენ-
და 25,9%, 1983 წ. — 42,8% და 1985 წ. — 43,1%. ამ ბაზებში მომუშავე-
თა რიცხოვნება შესაბამისად შეადგენდა: 1978 წ. — 91,8%, 1983 და 1985 წ.
— 81,5% მათი საერთო რიცხოვნებიდან. 1978-1985 წ. მოხდა რესპუბლიკის
სამეცნიერო დაწესებულებათა საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების რიცხვის
შემცირება, ამასთან ბაზათა რაოდენობა შემცირდა 36,5%-ით, ხოლო მათში
მომუშავეთა რიცხოვნება კი გაიზარდა მხოლოდ 2,5%-ით.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ყველა დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას. ძალზე არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. 19 უმაღლეს სასწავლებლებიდან მხოლოდ 3 გააჩნია საცდელ-საწარმოო ბაზა. 1973 წ. უმაღლეს სასწავლებლებზე მოდიოდა საცდელ-ექსპერიმენტული წარმოების 7,7% და მათში მომუშავეების 9,6%; შესაბამისად 1983 წ. — 6,6% და 9,9%, ხოლო 1985 წ. — 10,0% და 9,0%.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია მეცნიერებათა აკადემიის საცდელ-საწარმოო ბაზა. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებზე 1978 წ. მოდიოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო დაწესებულებების ყველა საცდელი საწარმოო ბაზების 7,6%, 1983 წ. — 8,0% და 1985 წ. — 7,7%; მომუშავეთა რიცხოვნება მათში 1985 წლისათვის შეადგენდა 3,5%.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური ინსტიტუტების დამუშაებათა დანერგვის შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მდგომარეობს სწორედ ამ რგოლის სისუსტეში, რადგანაც მასზე ბევრადაა დამოკიდებული პრინციპულად ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მხოლოდ რამოდენიმე ინსტიტუტს გააჩნია მცირე სიდიდით საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა. არსებობს მხოლოდ ერთი სამეცნიერო-ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიურო. ის გარემოება, რომ არ არსებობს საკონსტრუქტორო და საწარმოო ქვედანაყოფები აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში აფერხებს ამ მეტად პერსპექტიული დარგის — ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

საკონსტრუქტორო ბაზის განმტკიცება უნდა მიმდინარეობდეს საცდელი წარმოების სიმძლავრეთა წინმსწრები გაფართოების პირობებში. ეს უკანასკნელი მიზანშეწონილია განხორციელდეს იმ სამინისტროებისა და უწყებების სახსრებით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აკადემიის ინსტიტუტების გამოკვლევებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მეორე გზას წარმოადგენს ტექნიკური პროფილის აკადემიური სამეცნიერო დაწესებულებებისათვის საცდელი-ექსპერიმენტული ბაზების სახით ზოგიერთი მცირე ზომის სამრეწველო საწარმოების გადაცემა, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო ტექნიკური დონე.

საცდელი ნიმუშების პირველი სამრეწველო სერიების გამოშვებისათვის და სერიული წარმოებისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება სამრეწველო საწარმოებს. 1985 წელს საქართველოს სსრ-ში ფუნქციონირებდა 106 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს წარმოების მართვის გაუმჯობესებას და ახალი ტექნიკის დანერგვის დაჩქარებას. ამასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც იწვევს დამუშავებათა და ახალი ტექნიკის გამოცდის ვადის გახანგრძლივებას არის ბევრ საწარმოში ექსპერიმენტული სამუშაოებისა და ლაბორატორიების უქონლობა. უფრო მეტიც, 1981-1985 წწ. საცდელ-ექსპერიმენტული ქვედანაყოფების რიცხვი სამრეწველო საწარმოებში შემცირდა 48%-ით, ხოლო მათში მომუშავეთა რიცხვი — 40,7%-ით.

საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების უქონლობა ახალი ტექნიკის ათვისების ვადებს ზრდის 2-3 წლით, ხოლო ტექნოლოგიური პროცესის დასრულების სამუშაოები კიდევ უფრო ახანგრძლივებენ ამ პერიოდს.

სერიოზული წარმოების მსგავსად საცდელი წარმოებებიც ყოველი თვის და დეკადის ბოლოს უნდა ადგენდნენ სტატისტიკურ ანგარიშებს. საცდელი საწარმოების შესახებ არსებული დებულებების თანახმად ექსპერიმენტული სამუშაოების მოცულობა ითვლება რეალიზებული პროდუქციის მოცულობად. მაგრამ სამინისტროები და უწყებები საცდელ წარმოებას უყურებენ როგორც ჩვეულებრივ ქარხნებს, რომლებისთვისაც ძირითადად წარმოადგენს სასაქონლო პროდუქცია.

დღეისათვის არსებული საცდელ-ექსპერიმენტული წარმოების შესახებ ტიპიური მეთოდური მითითებები საჭიროებს სრულყოფას. დავეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების არსებული სისტემის ნაკლოვანებები:

— სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის საბოლოო შედეგებში სუსტი დაინტერესება; პროდუქციის ხარისხის გათვალისწინების შეუძლებლობა; საცდელი წარმოების არასაკმარისი აღრიცხვის სპეციფიკა შეფასებით მაჩვენებლებში.

საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოს ეგეგმება: სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაცია, მოგება, თვითღირებულება, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები და სხვა. საგეგმო მაჩვენებელთა ასეთი შემადგენლობა არ აინტერესებს მათ მეცნიერების მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილებაში. აუცილებელია საცდელი საწარმოებისა და ციკლის „გამოკვლევა-წარმოება“ მონათესავე რგოლებს დაუწესდეს გამჭოლი მაჩვენებლები.

საცდელ-ექსპერიმენტული წარმოების ძირითად საგეგმო და შეფასებით მაჩვენებლებს მიეკუთვნება: სამუშაოთა ნომენკლატურა, თითოეული საცდელი ნიმუშის ჩაბარების ვადის ჩვენებით; სახალხო-მეურნეობრივი ეკონომიკური ეფექტი; საცდელი სამუშაოების ჩატარების შრომატევადობა; დამუშავების ტექნიკური დონე.

სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეული უნდა იქნეს ეფექტი, რომელიც გარანტირებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის მიერ და შეთანხმებულია ახალი ტექნიკის მომხმარებლებთან. მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს შექმნილი საცდელი ნიმუშების ხარისხის ატესტაცია, როგორც ტექნიკური დამუშავების ატესტაციის დამამთავრებელი ეტაპი.

საცდელ-საწარმოო ბაზის საქმიანობის ძირითადი შეფასებითი მაჩვენებელი უნდა გახდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების სამეცნიერო გამოკვლევების უზრუნველყოფის სამუშაოთა მოცულობა.

საცდელ-ექსპერიმენტულ წარმოებაში, საცდელი სამუშაოების გვერდით უშვებენ ადრე ათვისებულ ახალ პროდუქციას წარმოიქმნება მათი ცალ-ცალკე დაგეგმვის აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის გეგმა უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: პირველი — რომელიც მიეკუთვნება საცდელ სამუშაოებს, როგორც შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევების გეგმის უშუალო გაგრძელება და მეორე — როგორც პროდუქციის სერიული გამოშვების გეგმის ნაწილი. ამ გეგმის თავისებურება

იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაიანგარიშება სიმძლავრეთა დატვირთვაზე გეგმურა საცდელი სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს.

უნდა გამარტივდეს ფონდების გამოყოფის წესი საცდელი საწარმოებისათვის მომარაგების ტერიტორიული ორგანიზაციებისა და სამინისტროების საქმარათველოთა განსაკუთრებული რეზერვის ხარჯზე.

თუ გავითვალისწინებთ საცდელ-ექსპერიმენტული წარმოების თანამშრომელთა შრომის სპეციფიკას, მათი საქმიანობის შემოქმედებით, კვლევით ხასიათს, შეიძლება დაისვას საკითხი ამ წარმოებათა მუშაკების შრომის ანაზღაურების განსაკუთრებულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ, რომელიც ასახავს მათ მიერ შესრულებული საცდელი სამუშაოების სიანხეს და სირთულეს. მიზანშეწონილია დადგინდეს საცდელი საწარმოების წახალისების წესი საცდელი სამუშაოების მოცულობისა და სირთულის ნორმატივების შესაბამისად და მათი შესრულების ვადების შემცირებისა და ხარისხის მიხედვით.

დღეისათვის სულ უფრო იზრდება დანახარჯთა წილი (მეცნიერების საერთო დანახარჯებიდან) საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარებისათვის. სამეცნიერო დაწესებულებების ეფექტიანობის ამაღლებისათვის დანახარჯთა მატების ტემპი, რომელიც დაკავშირებულია მათი თანამედროვე მოწყობილობებითა და საცდელი დანადგარებით აღჭურვასთან, მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს სამეცნიერო გამოკვლევებზე გაწეულ მთლიან დანახარჯებს.

აუცილებელია დადგინდეს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში გაწეული დანახარჯებისა და მეცნიერებისათვის ახალი ობიექტების მშენებლობის, ასევე საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების მშენებლობის ნორმატივები. საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარების სიმძლავრის ზრდა წინ უნდა უსწრებდეს მრეწველობის სიმძლავრის ზრდას. ამისათვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების მშენებლობაზე ყოველწლიურად გაწეული კაპიტალური დაბანდებები, ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, უნდა შეადგენდეს ძირითადი საწარმოო ფონდების განვითარებისათვის დაგეგმილი კაპიტალდაბანდებების წლიური მოცულობის 3-5%¹.

ფიქრობთ, რომ საცდელი წარმოებისათვის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებების მოცულობა ყოველწლიურად და ხუთწლეულებს მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს სტრატეგიული მონაცემებიდან გამომდინარე ცალკეული დარგების განვითარების ტემპებისა და მეცნიერების სფეროების სპეციფიკის გათვალისწინებით ახალი პროდუქციის მომხმარებლის მონაწილეობით².

საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის მწყობრში დროულად შეყვანისათვის აუცილებელია მათი მშენებლობის სტიმულირება. ძირითადი სამეცნიერო ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების დროს პრემიების გაცემისას უნდა გავითვალისწინოთ საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების მწყობრში შეყვანის აუცილებლობაც.

¹ Научные центры Академии наук Украинской ССР (опыт и перспективы) — Киев, 1986, с. 174—175.

² Грошев В. П. Народно-хозяйственный научный комплекс. М., 1985, с. 181.

მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ უნდა მიუახლოვდეს მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დონეს, არამედ კიდევაც უნდა უსწრებდეს მას.

სამეცნიერო საქმიანობის ინტენსიფიკაციისათვის მიზანშეწონილია შემუშავდეს რესპუბლიკის გაერთიანებების (საწარმოების) და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ექსპერიმენტული, საკონსტრუქტორო და საცდელ-საწარმოო ბაზების განვითარების რესპუბლიკური პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ბაზების რეკონსტრუქციისა და აღჭურვის დონე.

აუცილებელია ჩავატაროთ საქართველოს სსრ საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის არსებული მდგომარეობის ანალიზი და დავსახოთ მისი მართვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები იმისათვის, რათა უზრუნველყოთ სამეცნიერო გამოკვლევებიდან და საკონსტრუქტორო დამუშავებებიდან საცდელ სამუშაოებზე გადასვლა.

„გამოკვლევა — წარმოების“ ციკლის ორგანიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით (რომელიც წარმოადგენს ერთიან პროცესს) — მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, მრეწველობისა და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზისა და საწარმოო აპარატის სრულყოფა ხანგრძლივ პერსპექტივაში უნდა დაეყვებოდებაროს მის ინტეგრაციას, საქართველოს სსრ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსის ერთიან მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში შერწყმას.

მეცნიერების ექსპერიმენტული ბაზის დაჩქარებული განვითარების ამოცანების გადაჭრა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს, რომელთა გამოყენებისაგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი ვლინდება როგორც მეცნიერების სფეროში, ისე მატერიალური წარმოების სფეროში. ამ ეფექტის შეფასება ძალზე გართულებულია, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თვით ექსპერიმენტისათვის საჭირო მოწყობილობა გამოკვლევებისა და ექსპერიმენტული გამოცდის ჩატარების დროს განიცდის ხანგრძლივ ექსპლუატაციას. ამ დროის განმავლობაში მათზე გამოიკვლევა მრავალი სახის ობიექტი. საინჟინერო მრეწველობის გამოცდილება მოწმობს საინფორმაციო-ეკონომიკური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობაზე, ანუ — დასამუშავებელი დანადგარის ინფორმაციულ-ეკონომიკური მაჩვენებლები ედრება ანალოგის მახასიათებლებს (საბაზო ვარიანტს). ეფექტის შეფასებისადმი ასეთ მიდგომის დროს ერთმანეთს ედრება ინფორმაციის ნამატი და ის დანახარჯები, რომლებმაც ეს ნამატი გამოიწვია.

სამეცნიერო გამოკვლევების ავტომატიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების ეკონომიკური ეფექტის ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. ამავე დროს მეცნიერებაში ავტომატიზებული სისტემის დანერგვა დაკავშირებულია სულ უფრო მზარდ კაპიტალდამანდებებთან. ცხადია, რომ ყველა სახის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გამოკვლევათა ავტომატიზაციის სისტემების შექმნასა და ფუნქციონირებასთან გამოსყიდულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე დროში. მაგრამ ეკონომიკური ეფექტის შუალედის საკითხი მეცნიერებაში ავტომატიზაციის გამოყენებისას ძალზე

³ Бешелев С. Д. Интенсификация научных исследований. М., Машиностроение. 1983, с. 150—154.

რთულია იმის გამო, რომ საჭიროა ინფორმაციული და ხარისხობრივი ხასიათის შედეგების შედარება მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებთან, გამოკვლევათა ავტომატიზაციის ეფექტურობის შეფასების სირთულე და სიახლე განაპირობებს მის ნაკლებ მეთოდოლოგიურ დამუშავებას.

სამეცნიერო გამოკვლევების ავტომატიზაციის სახალხო მეთოდოლოგიური ეფექტი შეიძლება მიღებულ იქნეს ეკონომიკათა ჯამის მიხედვით, რომელიც შედეგადაა:

1) გამოკვლევათა ორგანიზაციის ორგანიზაცია და ექსპერიმენტის რიცხვის შემცირება; 2) გამოკვლევათა ობიექტების შენარჩუნება კრიტიკული გადაწყვეტილებების დროს; 3) პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის დანახარჯთა შემცირება⁵.

რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარება დაკავშირებულია აპარატურისა და მოწყობილობების გაქირავების პუნქტების შექმნასა და განმტკიცებასთან; ასევე კოლექტიური სარგებლობის ცენტრების ორგანიზაციასთან. იმასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო დაწესებულებების მოთხოვნილება ხელსაწყოებზე და მოწყობილობებზე სათანადოდ ვერ კმაყოფილდება, მიზანშეწონილი იქნებოდა დავეცვა საკითხი სამეცნიერო მოწყობილობის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში ნაცვალების პრინციპების საფუძველზე გადაცემის შესახებ. რესპუბლიკის რეგიონებში სამეცნიერო ანგარიშზე სამეცნიერო მოწყობილობათა პარკების, სამეცნიერო გამოზომობათა ცენტრების, დარგთა შორის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის რესპუბლიკური ცენტრის ფილიალის შექმნა საქართველოს სსრ სამეცნიერო საწარმოო კომპლექსის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას მოგვცემდა.

И. М. РУБИНШТЕИН

ВОПРОСЫ РАЗВИТИЯ ОПЫТНО-ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ БАЗЫ НАУЧНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ В ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В свете требований радикального ускорения научно-технического прогресса проанализировано состояние и намечены пути развития опытно-экспериментальной базы научных исследований и разработок в республике. Внесены предложения по совершенствованию планирования, оценки деятельности и стимулированию с учетом специфики опытных производств. Показана необходимость опережающего роста мощностей опытно-экспериментальной базы науки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

⁵ Методические указания по анализу экономической эффективности автоматизированных систем научных исследований (АСНИ); М., ГКНТ СССР, 1981.

რეზუმი ჯანსახიზმლო

მეგრების განვითარება საბოტოთა საქართველოში

საბოტოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ვაჭრობის განვითარება არნახულ წარმატებებს მიაღწია. ეს პირდაპირი შედეგია იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც პარტია და მთავრობა იჩენენ სახალხო მეურნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისადმი.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული. პირველი მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის პერიოდში, საქონლური მიმოქცევა მთლიანად მოიშალა, ქვეყანაში გაბატონდა სპეკულაცია და ქაოსი.

საბოტოთა მთავრობამ პირველი დღეებიდანვე დაიწყო ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მიზნად ისახავდა, პირველ ყოვლისა, წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადობას. გატარდა მიწის, ბანკების, რკინიგზებისა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია, განხორციელდა რიგი ღონისძიებები საშინაო ვაჭრობის სფეროშიც, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მიმოქცევის სფეროდან კერძო კაპიტალის თანდათანობით გამოდევნისა და მისი განსაზოგადობისათვის.

საქართველოში მიმოქცევის სფეროს განსაზოგადობის პროცესი, „ვენის“ პრინციპით, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ამასთან, იგი საქონელგამტარი რგოლების მიხედვით ერთნაირი როდი იყო. იმ დროისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საბითუმო რგოლის დაუფლებას ენიჭებოდა. უკვე 1925-1926 სამეურნეო წელს რესპუბლიკაში განსაზოგადობული სექტორის წილად მოდიოდა საბითუმო საქონელბრუნვის 93%. საცალო ვაჭრობაში კი ამ დროისათვის არსებითი მნიშვნელობა ჯერ კიდევ კერძო ვაჭრობას ჰქონდა (55,8%). ამ სფეროში გადამწყვეტი უპირატესობა მოპოვებული იქნა 1929 წ. (67,4%), ხოლო 1932 წ. განსაზოგადობული სექტორის წილად მოდიოდა საცალო საქონელბრუნვის 98,1%. ამავე წლის მაისში მთავრობის გადაწყვეტილებით აიკრძალა კერძო სავაჭრო საწარმოთა გახსნა, ხოლო წლის ბოლოსთვის საქართველოში საქონელბრუნვის განსაზოგადობის პროცესი მთლიანად დამთავრდა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ განამტკიცა ვაჭრობის სასაქონლო ბაზა და ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელბრუნვის განვითარებისათვის. 1928-1932 წწ. რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა 15,8 მლნ მანეთიდან 83,2 მლნ მანეთამდე გაიზარდა. 1932 წელს რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა საცალო ვაჭრობის 6640 და საზოგადოებრივი კვების 1113 საწარმო.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ წარმოშვა საბჭოთა ვაჭრობის ახალი ფორმა — საკოლმეურნეო ვაჭრობა. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და სკკპ (ბ) ცკ 1932 წლის მაისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ჯერ პუ-რით, ხოლო შემდეგ ხორციელ საკოლმეურნეო ვაჭრობა.

ამ დროისათვის როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე საქართველოშიც ძირითად სავაჭრო სისტემას სამომხმარებლო კოოპერაცია წარმოადგენდა. მისი ხვედრიწილი 1931 წ. რესპუბლიკის განსაზოგადოებული სექტორის საქონელ-ბრუნვაში 73,3% შეადგენდა.

სურსათის რესურსების უკმარისობის გამო 1929 წლიდან შემოღებულ იქნა მომარაგების საბარათო სისტემა. გარდა ამისა, ამავე წლიდან შემოღებულ იქნა კომერციული ვაჭრობა, როგორც მოსახლეობის საქონლით მომარაგების დამატებითი ფორმა.

ეკონომიკის წინსვლის კვალობაზე ქვეყანაში სასაქონლო რესურსების ზრდამ, აგრეთვე, მიმოქცევის სფეროში განხორციელებულმა ორგანიზაციულ-ხასიათის ღონისძიებებმა მოამზადეს სათანადო პირობები მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასასვლელად.

სკკპ (ბ) ცკ 1934 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად 1935 წ. გაუქმდა სურსათით, ხოლო 1936 წ. სამრეწველო საქონლით ნორმირებული მომარაგება. განხორციელდა მტკიცე სახელმწიფო საცალო ფასებით გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქონელბრუნვა. 1932-1937 წწ. იგი 3-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ამასთან, უფრო სწრაფად იზრდებოდა სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა, რომლის ხვედრიწილი მთლიან საცალო ბრუნვაში 30-დან 67%-მდე ამაღლდა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფამ, რაც გამოიხატა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქმიანობის სფეროების გამიჯვნით. 1935 წ. სექტემბრიდან, საღირებუთ-ვო ორგანოების გადაწყვეტილებით სამომხმარებლო კოოპერაციას დაევალო სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება და სოფლის მეურნეობის პრო-დუქტების დამზადება. სახელმწიფო ვაჭრობას კი დაეკისრა ქალაქის მოსახ-ლეობის სავაჭრო მომსახურება. ამასთან დაკავშირებით, ცეკავშირის საქალა-ქო სავაჭრო ქსელი გადაეცა სახელმწიფო ვაჭრობას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი საქონელბრუნვა.

მესამე ხუთწლიდის პირველი მშვიდობიანი სამი წლის მანძილზე რეს-პუბლიკაში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ვაჭრობის განვი-თარებაში. 1937-1940 წწ. საცალო საქონელბრუნვა 29,5%-ით, ხოლო საზო-გადოებრივი კვების ბრუნვა 2,1-ჯერ გაიზარდა, რის გამოც მისი ხვედრიწილი მთლიან ბრუნვაში 10-დან 16%-მდე ამაღლდა.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფასწარმო-ქმნის სისტემის მიწესრიგებამ. 1939 წლამდე ბევრ საქონელზე არ არსებობ-და მტკიცე საბრეისკურანტო ფასები. ისინი თვით სავაჭრო ორგანიზაციების მიერ განისაზღვრებოდა, რაც იწვევდა ფასების დიდ სიჭრელეს. 1939 წლი-დან შემოღებულ იქნა მოხმარების საგნებზე ერთიანი მტკიცე სახელმწიფო ფასები, რომელიც დიფერენცირებული იყო ქვეყნის ტერიტორიული ზონე-ბის მიხედვით.

ვაჭრობის განვითარება უშუალოდ უკავშირდებოდა მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ომის წინ წესპუბლიკის სავაჭრო ქსელი

აერთიანებდა 7491 საწარმოს, 9,3%-ით მეტს, ვიდრე 1937 წელს. მნიშვნელოვან წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი კვების, ქსელის განვითარებაში, რომელთა რიცხვმა 1940 წ. შეადგინა 1777, მათ შორის ქალაქად — 1131 და სოფლად — 646.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები დადგა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების წინაშე დიდი სამამულო ომის პერიოდში. ომის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საქონელბრუნვა და სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა, რომელთა დიდი ნაწილი გამოიყენებოდა ფრონტის საჭიროებისათვის. ამასთან, ამ პერიოდში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით უშუალოდ საწარმოებთან შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებები („ორსები“) და სურსათომომარაგებელი ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში ომის დასასრულისათვის 55 აღმატებოდა. გარდა ამისა, ომის პერიოდში ორგანიზებულ იქნა სახელმწიფო კომერციული სავაჭრო ქსელი, სადაც ვაჭრობა ხორციელდებოდა ბარათების გარეშე, გაზრდილი ფასებით.

ომის პერიოდში ვაჭრობამ დიდი როლი შეასრულა არმიისა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში, რითაც დიდად შეუწყო ხელი ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებასა და მტერზე საბოლოო გამარჯვებას.

ომის შემდგომ პერიოდში ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა მოხმარების საგნებზე საბარათო სისტემის გაუქმებამ და გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლამ, რასაც თან სდევდა ქვეყანაში ფულის რეფორმის განხორციელება. ამ დროს საქონელბრუნვის ზრდა ხორციელდებოდა საქონელზე საცალო ფასების სისტემატური შემცირების პირობებში, რის შედეგადაც მოსახლეობის მყიდველუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა.

ომის შემდგომ პერიოდში ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — მე-4 ხუთწლიის ბოლოსათვის აღდგენილ და გადაპარბებულ იქნა სავაჭრო ქსელის ომამდელი დონე.

რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების მომდევნო პერიოდი ინტენსიური ზრდით ხასიათდება, რასაც განაპირობებდა მატერიალურ წარმოებასა და მშრომელთა რეალური შემოსავლების ზრდაში მიღწეული წარმატებები. თუ, 1940 წელთან შედარებით, 1950 წელს საცალო საქონელბრუნვა (უცვლელი ფასებით) 70%-ით გადაიზარდა, 1955 წ. ეს მაჩვენებელი 1,9-ჯერ, ხოლო 1960 წ. 2,9-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ერთ სულზე საცალო საქონელბრუნვა 1940 წ. 91 მანეთიდან 1950 წ. 182, ხოლო 1960 წ. 299 მანეთამდე გადიდდა.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა და ამ საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებამ. 1957 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ თვითონ განესაზღვროთ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა (საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრიწონის ჩვენებით) სავაჭრო სისტემების მიხედვით. მათ მიეცათ, აგრეთვე, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, მიმოქცევის ხარჯების, ხელფასის დონისა და საკუთრეო საქმიანობის ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის დამტკიცების უფლება, რასაც სათანადო პირობები შექმნა საქონელბრუნვის გაფართოების, ვაჭრობის მართვისა და სანეურნეო-საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს დადგენილებამ — „ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მისი პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა საქონელბრუნვის მოცულობა და გაუმჯობესდა მისი სტრუქტურა, საგრძნობლად განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დარგის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. კერძოდ, 1960-1980 წწ. რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვა 3,5-ჯერ, მათ შორის სახკეების ბრუნვა 3-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ამასთან, ხუთწლედების მიხედვით საქონელბრუნვის საშუალო წლიური ზრდის ტემპი განსხვავებული იყო. მე-7 ხუთწლედში იგი შეადგენდა 4,2, მე-8-ში — 8,7, მე-9-ში — 6,8 და მე-10-ში 5,3%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-7 ხუთწლედის ბოლომდე საქართველოს სსრ საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს. 1966-1967 წწ. ეს მაჩვენებლები თითქმის გათანაბრდა, ხოლო 1968 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში საქონელბრუნვა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალოდ კავშირში. 1970-1980 წწ. საცალო საქონელბრუნვა საშუალოდ კავშირში გაიზარდა 70%-ით, ჩვენს რესპუბლიკაში კი 79%-ით. მე-10 ხუთწლედში საცალო საქონელბრუნვა ჩვენს რესპუბლიკაში 34,8%-ით გადიდდა, კავშირის მასშტაბით კი მისი ზრდა 24% უდრიდა.

დადებით ძვრებთან ერთად, რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარებაში ფეხი მოიკიდა ნეგატიურმა მოვლენებმა, რის გამოც 70-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საქმიანობა არაერთხელ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების სპეციალური მსჯელობის საგანი. მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმი (1977 წ. იანვარი). პლენუმმა თავის დადგენილებაში სწორი, პრინციპული პარტიული შეფასება მისცა რესპუბლიკის ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შექმნილ მდგომარეობას და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების სფეროში მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დასამყარებლად.

1960-1980 წწ. რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვა 3,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სასაქონლო სტრუქტურა. მთლიან საქონელბრუნვაში არასასურსათო საქონლის ხვედრიწილი ამ პერიოდში 51,9-დან 55,8%-მდე ამაღლდა. არსებითი ხასიათის ძვრები მოხდა ცალკეული სასაქონლო ჯგუფების შიგნითაც. 1980 წელს, 1960 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მოსახლეობამ სავაჭრო ქსელიდან შეიძინა ხორცი და ძეხვეული 4,9-ჯერ მეტი, თევზი და ქაშაყი 3,3-ჯერ, ცხიმეული — 3,2-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები — 3,4-ჯერ კვერცხი — 10-ჯერ, საკონდიტრო ნაწარმი — 3,1-ჯერ, ხოლო ბოსტნეული და ხილკენკროვანი თითქმის 2-ჯერ მეტი და ა. შ.

არასასურსათო საქონლის ბრუნვაში საგრძნობლად გადიდდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ხვედრიწილი. 1960-1980 წწ. რესპუბლიკის მოსახლეობისათვის მიყიდვა

გადიდდა ტრიკოტაჟისა და წინდის ნაწარმის 4,4-ჯერ, ტანსაცმლისა და თეთრეულის 3,4-ჯერ, ფეხსაცმლის 2,5-ჯერ, ავეჯის 7,5-ჯერ, კულტსაქონლის 4,1-ჯერ და ა. შ.

გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი კვების განვითარებაში. 1960-1980 წწ. მისი საქონელბრუნვა 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. თუმცა მისი ზრდა კვლავ ჩამორჩებოდა საცალო საქონელბრუნვის ზრდას, რის გამოც რესპუბლიკის მთლიან საცალო საქონელბრუნვაში საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ხვედრიწილი 12,4%-დან 11%-მდე შემცირდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი კვების მთლიან ბრუნვაში საკუთარი პროდუქციის ხვედრიწონის გადიდებას. აღნიშნულ პერიოდში იგი 36,5%-დან 57,1%-მდე ამაღლდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. 1960-1980 წწ. საცალო ვაჭრობას საწარმოთა რაოდენობამ 32,8%-ით, ხოლო მალაზიების სავაჭრო ფართობი 2,2-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა 2,1-ჯერ, ხოლო მათი დასაჯდომი ადგილების რიცხვი 3-ჯერ გადიდდა.

სავაჭრო ქსელის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 7 იანვრის — „ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ და 1977 წლის 5 ივლისის — „ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — დადგენილებებმა, რომლებშიც ხაზგასმით იყო მითითებული ვაჭრობაში ტექნიკური აღჭურვილობის, შრომატევადი ოპერაციებისა და მძიმე ფიზიკურ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონის მკვეთრ ამაღლებაზე.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ვაჭრობის ტექნიკური აღჭურვილობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საწარმოთა სამაცივრო მეურნეობის გაუმჯობესებას, 1970-1980 წწ. საქართველოს სსრ სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, საწყობებშია და ბოსტნეულსაცავებში სამაცივრო მანქანების რაოდენობა 87%-ით, ხოლო სამაცივრო მოწყობილობათა რიცხვი 2,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გადიდდა სამაცივრო მანქანების სიმძლავრე, ტევადობა და გამოყენების ეფექტიანობა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მექანიკური, ტექნოლოგიური და თბური მოწყობილობით აღჭურვა, ამაღლდა ნედლეულის გადამუშავებისა და საქმლის მომზადების მექანიზაციის დონე, რამაც კეთილმოყოფელი გავლენა იქონია შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მომსახურების კულტურის ამაღლებაზე.

რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული მე-11 ხუთწლიდში. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 23,4%-ით გაიზარდა. 1985 წელს, 1980 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მოსახლეობას სავაჭრო ქსელიდან მიეცა ხორცი და ხორცპროდუქტები 23,8%-ით, თევზი და თევზპროდუქტები 19, ცხიმეული 8,1, რძე და რძის

პროდუქტები 17,5, კვერცი 19,1 საკონდიტრო ნაწარმი 22,6. ბოსტნეული 25,8 და ხილვენკროვანი 11,8%-ით მეტი.

მე-11 ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდა მოსახლეობისათვის არასასურსათო საქონლის მიყიდვა (25%). მათ შორის ქსოვილებისა — 1,6, ტანსაცმლისა და თეთრეულის — 24,7, ტრიკოტაჟის ნაწარმის — 8,1, ფეხსაცმელის — 28,2, კულტსაყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის — 36,6, ელექტროსაქონლის 30, ავეჯის 40%-ით, მსუბუქი ავტომანქანების 2,1-ჯერ და ა. შ.

გაქულ ხუთწლედში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდა საქონელბრუნვის სულადობრივი მაჩვენებელიც. თუ 1980 წელს იგი უდრიდა 856 მანეთს, 1985 წელს მან 1023 მანეთი შეადგინა, ე. ი. გაიზარდა 19,5%-ით. თუმცა მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა ჯერ კიდევ საგრძნობლად (12,4%-ით) ჩამორჩება ანალოგიურ საშუალო-საქავეშიო მაჩვენებელს (1168 მან.).

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქონელბრუნვის სტრუქტურაშიც. მთლიან საცალო საქონელბრუნვაში 1981-1985 წწ. არასასურსათო საქონლის ხვედრიწილი 3 პუნქტით ამაღლდა და 1985 წ. მან 59% შეადგინა. ხუთწლედში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა 16%-ით გაიზარდა, მათ შორის უფრო სწრაფად იზრდებოდა საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვა (19,2%), რის გამოც მისი ხვედრიწილი საზოგადოებრივი ბრუნვაში 57,1%-დან 58,7%-მდე ამაღლდა. ხუთწლედში რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ გამოშვებული კერძების რაოდენობა 765 მლნ-დან 869-მლნ მდე, ანუ 13,6%-ით გაიზარდა.

მე-11 ხუთწლედში გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა ამ ხნის მანძილზე 900 ერთეულით, ხოლო მალაზიების სავაჭრო ფართობი 79,7 ათასი კვადრატული მეტრით, ანუ 9,4%-ით გაიზარდა, რის გამოც ერთ მალაზიაზე სავაჭრო ფართობის მაჩვენებელი 73,1 კვ. მეტრიდან 75,8 კვ. მეტრამდე ამაღლდა.

ხუთწლედში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი 1000 ერთეულით, ხოლო დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 22,8%-ით გადიდა, რის გამოც ერთ საწარმოზე საშუალო დასაჯდომი ადგილების მაჩვენებელი 45-დან 47-5-მდე ამაღლდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა როგორც საცალო ვაჭრობის, ისე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა, რამაც კეთილმოყოფელი გავლენა იქონია სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებაზე და საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

რესპუბლიკაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვის საქმეში. თუმცა, ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. 1985 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში თვითმომსახურებით გაყიდული საქონლის ხვედრიწილი შეადგენდა მხოლოდ 53,3%, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი იყო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. აღსანიშნავია, რომ მე-11 ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი სულ 3,7%-ით გადიდა. ამ მხრივ მე-12 ხუთწლედის დავალების (65%) შესასრულებლად საჭირო იქნება როგორც ახალი

სავაჭრო საწარმოთა მშენებლობა, ისე არსებულის რეკონსტრუქცია-გადართობა.

სკკ XXVII ყრილობამ ახალი დიდი ამოცანები დასახა ვაჭრობის განვითარებაში. მე-12 ხუთწლედში რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ალეკოპოლიანი საამელების ბრუნვის გარეშე) 27,7%-ით გაიზარდება. ამასთან სავაჭრობლად მატულობს თითოეული პროცენტის წონადობა. თუ 1985 წელს რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვის ზრდის ერთი პროცენტი 53 მლნ მანეთს უდრიდა, 1990 წელს იგი 70 მილ. მანეთს მიაღწევს. ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული სახალხო მოხმარების საქონლის გაომშვების გადიდების, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვის, ვაჭრობასა და მოწვევლობას შორის ეკონომიკური კავშირების სრულყოფის მიმართულებით.

რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბევრადაა დამოკიდებული დარგის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაზე. ამ მხრივ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ივლისის დადგენილებას „სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“. იგი ითვალისწინებს სავაჭრო საწარმოთა თავისთავადობის გაფართოებას, თვითდაფინანსების საფუძველზე სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებას, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ახლა გადაწყვეტილი მნიშვნელობა ეძლევა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლას, ცენტრალიზებული წესით დაგეგმილ მაჩვენებელთა შემცირებასა და დაგეგმვაში სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის გაფართოებას, ეკონომიკური ნორმატივების როლის ამაღლებასა და მათ მუშაობაში ზედმეტი რეგლამენტაციის აღმოფხვრას. დასახულ ამოცანათა პრაქტიკული განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს ვაჭრობის შემდგომ განვითარებასა და პირადი მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ

РАЗВИТИЕ ТОРГОВЛИ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

За годы Советской власти в Грузии были достигнуты большие успехи в развитии торговли. На основе проведенных партией и правительством мероприятий за годы довоенных пятилеток успешно завершилось обобществление сферы товарного обращения, возникла и стала развиваться совершенно иная по содержанию отрасль народного хозяйства — советская торговля. Уже в предвоенном 1940 году в Грузинской ССР функционировало 7491 предприятие розничной торговли и 1777 предприятий общественного питания, товарооборот которых превышал 333 млн. рублей.

В годы войны торговля играла важную роль в снабжении армии и населения продовольствием. После окончания войны в республике за короткий срок был восстановлен довоенный уровень развития торговли, были проведены мероприятия по снижению розничных цен, разворачиванию товарооборота и повышению уровня жизни народа.

В деле развития торговли в республике особенно большие успехи были достигнуты после 70-х годов. В 1970—1985 гг. розничный товарооборот государственной и кооперативной торговли Грузинской ССР увеличился в 2,2 раза. Количество торговых предприятий в конце 11-ой пятилетки составляло 16,4 тыс., а число предприятий общественного питания 8,5 тыс., соответственно в 1,1 раза и 1,5 раза больше по сравнению с 1970 годом.

XXVII съезд КПСС наметил новые важные задачи развития торговли, практическое осуществление которых будет способствовать дальнейшему совершенствованию отрасли и повышению уровня жизни народа.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

არჩილ სებასტიანი

მეურნეობის საბჭოთა საკარტოვო (1971-1985 წწ.)

მერვე ხუთწლეულში სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებითი შესრულების შედეგად, ახალი, გაზრდილი ამოცანები იქნა დასახული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მათ შორის მევენახეობის განვითარების შესახებ მეცხრე ხუთწლეულში. თანახმად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმისა (1971-1975 წწ.) გაშენებული უნდა ყოფილიყო 20 ათასი ჰექტარი ახალი ფართობი.

მართალია ხუთწლედის პირველ ორ (1971-1972) წელს რესპუბლიკის მევენახეობაში შეიმჩნეოდა დიდი ჩამორჩენილობა, მაგრამ მომდევნო წლებში ეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქართველოს კომუნისტური პარტიის აქტივის კრებამ, რომელიც შედგა 1972 წ. ნოემბერში და რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში არსებული სოფლის მეურნეობის მდგომარეობა მთლიანად, — აღნიშნა, რომ მას ახასიათებდა რიგი შეუწყნარებელი ნაკლოვანი მხარეები. იგი განსაკუთრებით შეეხებოდა მევენახეობას. კერძოდ, ყურძნის დამზადების გეგმა 1972 წ. შესრულებული იქნა მხოლოდ 41,1%-ით. ვენახის მეჩხერიანობა არა თუ მცირდებოდა, პირიქით ზრდასაც კი განიცდიდა. განსაკუთრებით მაღალი იყო მეჩხერიანობის დონე თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, მცხეთისა და სხვა რაიონებში, რაც ბუნებრივად ხელს უწყობდა ყურძნის მოსავლიანობის შემცირებას.

აღნიშნულ აქტივზე გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ რიგ რაიონებში მოუვლელობის გამო სულ უფრო ნადგურდებოდა როგორც ძველი, ისე ახლად გაშენებული ვენახის ფართობები, შესაბამისი სამეურნეო ორგანოები კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. სწორედ ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ ზესტაფონის რაიონში მარტო 1962-1970 წწ. გაშენებული 280 ჰექტარი ვენახიდან დაიღუპა 200 ჰექტარი ფართობი. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ჩოხატაურსა და სხვა რაიონებში.

1972 წ. ბოლოსთვის საზოგადოებრივი ვენახის 70,4 ათას ჰექტარ ფართობზე მეჩხერიანობამ შეადგინა 22,8%. გაანგარიშება გვიჩვენებდა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახების მეჩხერიანობა პირობით ჰექტარზე ვადაყვანით ამ დროს 16 ათასამდე ჰექტარს აღწევდა, რის შედეგადაც დანაქარგები წელიწადში საშუალოდ 65,6 ათასი ტონა ყურძენი იყო, ეს კი ათეულ მილიონ მანეთს შეადგენდა. ამის შესახებ თავის დროზე სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობები დიდძალ სახსრებს, დროსა და შრომას უმიზნოდ კარგავდა წლების განმავლობაში გამეჩხერიანებული ვენახების დაშლამაგვისათვის. მაგალი-

თად, ნიადაგის დამუშავების, კულტივაციის, გოგირდის შეფრქვევის, შაბინის შესხურების, ყურძნის კრევის და სხვა სამუშაოს შესრულების დროს მათ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უხდებოდა ზედმეტი შრომის დახარჯვა.

ცნობილია, რომ მეცხრე ხუთწლედში, და განსაკუთრებით მის პირველ ორ წელს, რესპუბლიკაში შეიმჩნეოდა არახელსაყრელი კლიმატური პირობები. კერძოდ, სუსხიანი ზამთარი იყო 1971-1972 წლებში, ხოლო 1973 წ. გაზაფხულზე ნას მეორე სტიქიური მოვლენა — სეტყვაც დაერთო, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა ზვრებს; განსაკუთრებით დაზიანდა კახეთის ვენახები. ამ წლის ზაფხულში მოეწყო რესპუბლიკის ვენახების საერთო დათვალიერება, რომელმაც გამოავლინა რიგი უხეში დარღვევები. კერძოდ, ბევრ რაიონში აშკარად ირღვეოდა აგროვადებით გათვალისწინებული სამუშაოები და სხვა.

სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1975 წ. 7 ოქტომბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილებანი სეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალი მეთოდებისა და საწარმოო გამოცდილების ორგანიზაციის შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ სეტყვის საშიშ დრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების შედეგად დასაცავი ტერიტორიის ცალკეულ რაიონებში შეიმჩნეოდა ვენახების ნარგავებზე სეტყვის დამლუპველი გავლენის ერთგვარი შენელება. რამდენიმე წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ზარალი, რომელსაც აყენებს სეტყვა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, განსაკუთრებით კახეთის რაიონებში, ჯერ კიდევ ძალზე დიდი იყო და ათეული მილიონობით მანეთით განისაზღვრებოდა. მარტო 1968-1971 წწ., ნათქვამი იყო მასში — სეტყვამ დაზიანა 36 ათასი ჰექტარი ვენახი, ასევე დიდი იყო სეტყვის მიერ მიყენებული ზარალი 1974 წელს, როცა დანაკარგმა 61 ათას ტონაზე მეტი ყურძენი შეადგინა. აქვე მითითებული იყო აგრეთვე, რომ დასეტყვის შედეგად საზოგადოებრივი მეურნეობები ყოველწლიურად ზარალობენ 30 მილიონ მანეთამდე, ხოლო მეღვინეობის მრეწველობას ამის გამო აკლდება 80 მლნ მანეთის პროდუქცია.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით დაევალა: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მებალეობა-მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და რიგ შესაბამის სამეცნიერო ინსტიტუტებს, თავიანთი ძალებით გაეძლიერებინათ ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა და იმ ტექნიკურ საშუალებათა საწარმოო გამოცდები, რომლებიც რეკომენდირებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ და ამისათვის გაეთვალისწინებინათ შესაბამისი დამატებითი ღონისძიებანი. კერძოდ: ა) 1976 წლიდან უნდა დაწყებულიყო ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის ცდები ყველაზე სეტყვასაშიშ მდგომარეობაში მყოფ მეურნეობებში (ყვარლის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობაში და გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში).

ბ) ცდების მოწყობის მეცნიერულ-მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, მეზღვრობა-მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მევენახეობის აგროტექნიკის განყოფილებაში შეიქმნა სეტყვისაგან ვენახების დაცვის ტექნიკურ საშუალებათა საწარმოო გამოცდებისა და დანერგვის სექტორი.

გ) დაევალა საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოეყო ერთი ტონა კაპრონის მკედი, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაემზადებინა 40 ათასი კვადრატული მეტრი (4 ტონა) კაპრონის სეტყვის საწინააღმდეგო ბადე და სხვა.

ფარდა ამისა, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა რიგი პრაქტიკული ხასიათის ზომები, რათა დროულად აღმოფხვრილიყო მევენახეობაში არსებული ნაკლოვანებები: კერძოდ, გვალვის დაძლევის მიზნით, მობილიზებული იქნა დიდძალი ავტოცისტერნები, რომელთა საშუალებით დაიწყო ზვრების ფართო მორწყვა. დამონტაჟდა ახალ წყალსატუმბავი დანადგარები და მილებით წყალი შედიოდა ვენახებში. ყველა ამ ღონისძიებათა გატარებამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო და უკვე 1975 წ. ბოლოს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა 563 ათასი ტონა ყურძენი და დამზადდა სარეკორდო — 409 ათასი ტონა, უფრო მეტი ვიდრე ყველაზე მოსავლიან 1970 წ. 392 ათასი ტონისა.

დიდი ყურადღება დაეთმო მატერიალურ და მორალური წახალისების ღონისძიებათა გატარებას. დაწესებულ იქნა გარდამავალი დროშები, ვიშნელები, ფასიანი საჩუქრები. მეცხრე ხუთწლედის ბოლო წელს რთველი დიდი წარმატებით დაამთავრეს გურჯაანელმა მევენახეებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 81 136 ტ. ყურძენი. ამ საქმეში კი ერთობ დიდი იყო ამ რაიონის ჩუმლავის კოლმეურნეობის მევენახეთა წვლილი. მათ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 340 ტონა ყურძენისა, სახელმწიფოს ჩააბარეს 6 382 ტონა. ველისციხის კოლმეურნეობამ 5 361 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 3 978 ტონის ნაცვლად. შრომის საბჭოთა მეურნეობამ 6 500 ტონის ნაცვლად ჩააბარა 7 237 ტონა ყურძენი და ა. შ.

სიღნაღის რაიონმა ნაცვლად 24 485 ტონა ყურძენისა, სახელმწიფოს მიჰყიდა 30 535 ტონა. ახმეტის რაიონმა 26 307 ტონა, ნაცვლად 23 ათასი ტონისა.

1975 წ. 13 ნოემბერს ჩატარდა მევენახეთა და ღვინის მრეწველთა რესპუბლიკური თათბირი, რომელთაც შემდეგი სიტყვებით მიმართეს საქართველოს ყველა მევენახესა და ყურძენის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკს: „სკკპ XXV ყრილობის წინ, მძიმე კლიმატურ პირობებში, არნახული გვალვის პირობებში ჩვენ მოვიწყით რეკორდული მოსავალი — მოგვრიფეთ და სახელმწიფოს ჩააბარეთ 407 830 ტონა ყურძენი. მაგრამ მიღწეულს არ უნდა დაგვკრდეთ...“

საქართველოს მევენახეობას კარგი აწმყო და კიდევ უფრო უკეთესი მომავალი აქვს. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია ყურძენის წარმოების მკვეთრი გადიდება. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974

წლის მაისის პლენუმმა. საქმე ის არის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში გადაიყვანოთ მევენახეობა სამრეწველო, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე და ამასთანავე გავაორკეცოთ პროდუქციის გამოშვება. ჩვენ მევენახეები, შევძლებთ ამ ამოცანის განხორციელებას? რა თქმა უნდა. შევძლებთ: ამას ნათლად ადასტურებს ჩვენი წლებიდან დღეისათვის სასახელო წარმატებები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, მეტად არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში მოვიპოვეთ.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მაგრად უნდა ვიმუშაოთ, ყველას უნდა ვაჩვენოთ უნაგარო შრომის მაგალითი, რათა წარმატებით შევასრულოთ სამუშაოთა დიდი პროგრამა.

უახლოეს წლებში ჩვენ 35-40 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გავაშენოთ და მათი ფართობი საზოგადოებრივ მეურნეობებში 105 ათას ჰექტარამდე უნდა გავზარდოთ, რომელთაგან 80 ათასი სრულმოსავლიანი იქნება...

ქართველმა მევენახეებმა ახლო მომავალში ყურძნის წარმოება 800 000 ტონამდე უნდა გავზარდოთ, მაგრამ, დავიანგარიშეთ რა რეზერვები და შესაძლებლობანი, ეს ამოცანა მინიმალურად მივიჩნიეთ და ვიბრძოლებთ მისი მნიშვნელოვანი გადაჭარბებისათვის¹.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძე აღნიშნავდა, რომ მართალია ჩვენი რესპუბლიკა მევენახეობისა და მებაღეობის კლასიკურ ქვეყანადაა მიჩნეული, მაგრამ ეს დარგები დღემდე ჩვენში ერთობ ექსტენსიურად ვითარდება. „სამწუხაროდ ამ ბოლო წლებამდე რესპუბლიკის ბალ-ვენახების გაშენების დროს არ ითვალისწინებდნენ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას. ხშირად წინასწარ არც კი სწავლობდნენ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ჩვენი სოფლის მეურნეობის მაგისტრალური ხაზია და იგი ყოველწლიურად უნდა დავაჩქაროთ“².

მიუხედავად იმისა, რომ მეათე ხუთწლეულში დიდი მუშაობა გააჩაღეს რესპუბლიკის მევენახეებმა მოცემული დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, 1986 წლის დასაწყისიდანვე თავი იჩინა ყინვებმა. მართალია თებერვლამდე მეტად თბილ ამინდებს ჰქონდა ადგილი, რამაც ადრე გამოაღვიძა ვაზი, და დაჩქვეითა მისი ყინვაგამძლეობა, ამ წლის თებერვლიდან მკვეთრად დაეცა ტემპერატურა (მინუს 18-26 გრადუსამდე) და მან მნიშვნელოვნად დააზიანა მევენახეობის ძირითად რაიონებში ზერები. მართო გურჯაანის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, სავარეჯოს, წითელწყაროს, ფორის, ხაშურის, ყასპის, მცხეთის, მარნეულის, ბონისისა და ზოგიერთ სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 35 ათას ჰაზე მეტი მსხმოიარე ვენახი დააზიანა ყინვამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1976 წლის 1 აპრილს განიხილა რა მევენახეობის ასეთი კატასტროფული მდგომარეობა, დასახა საგანგებო ღონისძიებანი ყინვით დაზარალებული ვენახების აღდგენისა და მისი განვითარებისათვის. დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ შემოაღნიშნული რაიონების ხელმძღვანელობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად თითოეულ მეურნეობაში უნდა დააზუს-

1 ვაზ. „კომუნისტი“, 1979, № 226.

2 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 48.

ტოს ვენახების დაზიანების დონე ნაკვეთების მიხედვით და შემომუშაონ და განახორციელონ ვენახების აღდგენა-მოვლის კონკრეტული ღონისძიებანი შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად. თითოეულ რაიონში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელშიაც შევიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომელთაც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რათა დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოთ დაზიანებული ვენახების აღდგენის საშუალებები. ეს ოპერატიული შტაბი სწავლობდა აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთების მდგომარეობას და ყოველნაირად ეხმარებოდა მოსახლეობას ვენახის აღდგენის საქმეში.

დავევალა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს რათა მათ უზრუნველყოთ ყინვით დაზარალებული რაიონების სარწყავი სისტემა და კონკრეტული დაზიანება გაეწიათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის მოწესრიგებაში. როგორც გამოჩალისი, ნებადართულად იქნა ჩათვლილი დამატებითი მატერიალური სტიმულებების დაწესება, რათა რაც შეიძლება მალე აღდგენილიყო დაზიანებული ვენახები.

აღდგენილებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯილდოდებოდნენ სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანებით, ხოლო ბრიგადები, რგოლები და წარმოების მოწინავენი — ფასიანი სამახსოვრო საჩუქრებით, დიპლომებით და სხვა.

ყოველივე ამ ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელებამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ამხ. უ. ა. შევარდნაძე მიუთითებდა რომ „მევენახეობის დარგში შევძელით ნაწილობრივ გამოგვესწორებინა წლებიანდელი სუსხიანი ზამთრის გამო კახეთში შექმნილი მდგომარეობა და მეათე ხუთწლეულის პირველი წლის ამოცანა — მივცეთ საშობლოს 430 ათასი ტონა ყურძენი — ძალაში რჩება. უნდა გადავსინჯოთ ეს მიგნაც, რომელიც ხუთწლეულის დაძლევისათვის არის გათვალისწინებული და ახლავე დავსახოთ ამოცანა — გავადიდოთ ყურძნის დამზადება 1980 წელს 700 ათას ტონამდე“.

ვენახის მთლიანი ფართობი რესპუბლიკაში 126,1 ათასი ჰექტარიდან — 1975 წ. გაიზარდა 146,6 ათას ჰექტარამდე — 1980 წელს. თუ ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1971-1975 წწ. უდრიდა — 52,1 ცენტნერს, 1976-1980 წწ. მან 66,4 ცენტნერი შეადგინა, მთლიანი მოსავალი კი საშუალოდ ამავე პერიოდში გაიზარდა 428,7 ათასი ტონიდან — 717,5 ათას ტონამდე. ყურძნის სახმესყიდვა კი — 284,8 ათასი ტონიდან — 530,0 ათას ტონამდე.

დამახასიათებელია, რომ მეთერთმეტე ხუთწლეულის პირველ სამ-ოთხ წელში ვენახის ფართობი რესპუბლიკაში მეურნეობის ყველა კატეგორიაში თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ხუთწლეულის ბოლოს არახელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობების (უპირატესად სეტყვის) გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ რიგმა მევენახეებმა იწყეს ვენახის აჩეხვა და მის მაგიერ ბალჩეულბოსტნეულის (საზამთრო, პამიდორი, კიტრი) კულტურის გაშენება, ვენახის

3 გაზ. „კომუნისტი“, 1976, 25 ივლისი.

მთლიანი ფართობი შემცირდა 128,6 ათას ჰექტარამდე. თუმცა ვენახის მოსავლიანი ფართობი 111,5 ათასი ჰექტარიდან — 1980 წ. გაიზარდა 113,6 ათას ჰექტარამდე 1985 წელს. ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა კი 1976-1980 წწ. თუ უდრიდა 66,4 ცენტნერს, 1981-1985 წ. მან 66,6 ცენტნერი შეადგინა. მთლიანი მოსავალი კი საშუალოდ მეურნეობის ყველა კატეგორიაში 1976-1980 წწ. თუ უდრიდა 717,5 ათას ტონას, 1981-1985 წწ. იგი გაიზარდა 786,2 ათას ტონამდე. მისი სახშესყიდვა კი ამავე პერიოდში გადიდა საშუალოდ 530,3 ათასი ტონიდან 582,3 ათას ტონამდე. მომავალში დიდი ყურადღება დაეთმობა სეტყვის საწინააღმდეგოდ ვენახების გადახურულ ფართობებზე გადაყვანას. ასევე მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ე. წ. „მანჯავიძის ვახის ორმხრივი კეების გავრცელების მეთოდს“.

კვლავ გაგრძელდება ვახის სანერგეზე მევენახეობის განვითარება, მისი კონცენტრაციის გზით. სანერგე მეურნეობის საუღედების ნაკვეთებში ძირითადად შეიქმნება სტანდარტული ჯიშის მაღალმოსავლიანი კლონები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მევენახეობის განვითარების საქმეში მეტად ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. კერძოდ, ამ ინსტიტუტის მევენახეობის სელექცია-ჯიშთამცოდნეობის განყოფილებამ ექსპერიმენტულ ბაზაზე (ვაშლიჯვარი და ზურგოვანი) და დიღმის სასწავლო მეურნეობის საკოლექციო ვენახში შეისწავლა და გამოავლინა ძლიერ საადრეო სასუფრე ყურძნის ჯიშები. ისინი მაღალი ხარისხის ყურძენსა და საშუალოზე მეტ მოსავალს იძლევიან. ამასთან, ისინი კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს. ასეთ ჯიშებს მიეკუთვნებიან: **ქართული საადრეო**, რომლის თითო ძირის საშუალო მოსავალი 3-3,2 კილოგრამს აღემატება, ანუ ჰექტარზე გაანგარიშებით 105-110 ცენტნერს. **ხალილი** — რომელიც გავრცელებულია ინსტიტუტის საცდელ ექსპერიმენტულ ბაზაზე, დიღმის სასწავლო მეურნეობაში, ვარკეთილისა და შაუმთანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მისი მარცვლი რბილი ხორციანია და გემოვნებით სასიამოვნოა. ჰექტარზე საშუალოდ 130-140 ცენტნერის მომცემია.

მარსელის საადრეო — მისი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან სრულ მომწიფებამდე 107 დღეს უდრის. საჰექტარო მოსავალი 107-109 ცენტნერამდე აღწევს. ასევე ახალი, ინტენსიური ჯიშები იქნა გამოყვანილი მალენგრის საადრეოსა და პორტიუგეგერის სახით. ამ ჯიშების გავრცელება ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგებას საადრეო ყურძნით. ეს ჯიშები, როგორც მოკლე ვეგეტაციის მქონენი და ყინვისადმი საკმაოდ გამძლენი, უნდა გამოიყენონ საქართველოს მაღალმთიან რაიონებშიც, რათა ხელი შეუწყონ ამ ზონაში მევენახეობის განვითარებას.

დიდი ამოცანები იქნა დასახული მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის მეთორმეტე ხუთწლეულში. როგორც თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი აღნიშნავდა: „ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ რესპუბლიკისათვის სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგის აღმავლობის მიზნით, როგორც არის მევენახეობა. ახმეტის, საგარეჯოს, მარნეულის, მცხეთის, თერჯოლის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობაში დაბალია მოსავლიანობა. ვახის მოვლის კულტურის აღ-

მავლობასთან ერთად მაქსიმალურად უნდა გავადიდოთ სუფრისა და უნიკალური ჯიშების ფართობები... უალკოჰოლო მრეწველობის განვითარებას უკავშირდება პერსპექტივა, რომ რესპუბლიკა გადაიქცეს ფართო ასორტიმენტის სასმელების წარმოებისათვის საჭირო ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული კომპოზიციებისა და კონცენტრაციების დიდ მიმწოდებლად საკავშირო ბაზაზე. მაგრამ მუშაობა ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ გარდაქმნამ გავლენა არ მოახდინოს მევენახეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების, მთელი რესპუბლიკის ეკონომიკაზე⁴.

თუ ადრე მევენახეებსა და ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებს სხვადასხვა ინტერესები ჰქონდათ, კერძოდ მევენახეები დაინტერესებული იყვნენ ყურძნის მოსავლიანობის გაზრდით, ხარისხობრივ მაჩვენებლებს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ახლა, როდესაც საქართველოს სახვარომრეწვთან შეიქმნა ყურძნის წარმოებისა და გადამამუშავების მთავარი სამმართველო, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მევენახეობის დარგის პროფილის განსაზღვრაში. ამერიდან ყურძნის წარმოებასა და გადამამუშავებას გაუჩნდა ერთი პატრონი. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მევენახეობისა და ყურძნის გადამამუშავების პროდუქტთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

მეთორმეტე ხუთწლეულში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საზოგადოებრივ მეურნეობებში 12 500 ჰექტარ ფართობზე უპირატესად სასუფრე უნიკალურ და შამპანური მიმართულების ჯიშების გაშენებას. კერძოდ გაშენდება 6700 ჰექტარზე უნიკალური ჯიშები, სასუფრე ჯიშები ორი ათას ჰექტარზე, საშამპანე ჯიშები — 1600 ჰექტარზე და 2 ათას ჰექტარზე სხვა პერსპექტიული ჯიშები.

თუ 1985 წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში გაიყიდა ნედლად მოსახმარად მხოლოდ 30 ათასი ტონა ყურძენი, 1986 წელს მისი რაოდენობა გაიზარდა ორჯერ და მეტად, ხოლო ახალ ხუთწლეულში ყოველწლიურად მისი რაოდენობა საგრძნობლად გადიდება. ყურძნის ხანგრძლივი დროის გამოყენების მიზნით, დასახულია ამოცანა რაათა ახლო ხანში აშენდეს რესპუბლიკაში 900-1000 ტონამდე ყურძნის შესანახი საცავები, რომლის მოცულობა სულ უფრო გაიზრდება. საკუთრივ წითელწყაროს, გურჯაანის, მარნეულის, ბოლნისისა და მცხეთის რაიონებში. ამ ხუთწლეულში აშენდება 12 ათასი ტონის ტევადობის სამაცივრო მეურნეობა.

ლითობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზრდება, ყურძნის წვენი და არატრადიციული პროდუქტების წარმოება. კერძოდ მეთორმეტე ხუთწლეულში გამოშვებული იქნება 128 მილიონი პირობითი ჭილა ყურძნის წვენი, მილიონ 152 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო ღვინო, 4,5 მილიონი პირობითი ჭილა ცქრიალა ყურძნის წვენი, 2,4 მილიონი დეკალიტრი ყურძნის სხვადასხვა სახის უალკოჰოლო სასმელი, 740 ათას დეკალიტრი კონცენტრირებული ყურძნის წვენი, 250 ტონა ჩურჩხელა, ტკბილი კვერი და ფელამუში. გარდა ამისა

4 ვ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის საინგარიშო მოხსენება, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, უფრნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 2, გვ. 27.

4. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, № 4

ყურძნის წვენი გამოიყენება საკონდიტრო და უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად. სულ მეთორმეტე ხუთწლედში ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის გადასაიარაღებლად დაიხარჯება 77,5 მილიონი მანეთი.

А. Д. СТЕПАНИШВИЛИ

ВИНОГРАДАРСТВО В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ (1971—1985 гг.)

Резюме

На основе архивных документов, статистических материалов и фактических данных в труде проанализировано развитие виноградарства в Советской Грузии за 1971—1985 гг. Отмечено, что труженики республики за этот период провели большую работу для ликвидации имеющихся недостатков в развитии этой отрасли. Хотя общая площадь виноградников с 117,8 тыс. га за исследуемый период выросла только до 128,6 тыс. га, но зато валовая продукция винограда повысилась с 579 тыс. тонн до 911,6 тыс. тонн, а госзакупки — с 114,9 тыс. до 415,0 тыс. тонн.

XXVII съезд Компартии Грузии наметил большие задачи по развитию этой отрасли в двенадцатой пятилетке. Всего в этой пятилетке будет произведено 128 млн. условных банок виноградного сока, 152 тыс. декалитров безалкогольного вина и т. д.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

რამაზ აბაშიძე

ელექტროენერგეტიკის განვითარება საბჭოთა საქართველოში

XIX საუკუნის კაპიტალისტური მეურნეობის ენერგეტიკის საფუძველს წარმოადგენდა ორთქლის მანქანა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა კაპიტალიზმის განვითარებაში, მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებასთან ერთად ორთქლის ენერგეტიკა სულ უფრო და უფრო ამუხრუჭებდა საწარმოო ძალთა შემდგომ ზრდას. საწარმოო ძალთა შემდგომი დაჩქარებული განვითარება ახალ ენერგეტიკულ ბაზას მოითხოვდა.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა, რომლებიც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ორთქლის ენერგეტიკის მეფობის ხანაში, ისტორიული განვითარების მატერიალისტური გაგების საფუძველზე შეუდგომლად იწინასწარმეტყველეს ტექნიკური პროგრესის გზები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ელექტრობის დანერგვის აუცილებლობა. თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში ელექტრობის როლის ფართოდ გახსნა და დასაბუთება წილად ხვდა ვ. ი. ლენინს, რომელმაც შექმნა მწყობრი მოძღვრება ელექტროფიკაციის როგორც უკლასო საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

კაპიტალისტური ტექნიკის განვითარებამ, ხოლო შემდეგ სოციალიზმის გამარჯვებამ და სოციალისტური ეკონომიკის მიღწევებმა მთლიანად დაადასტურეს კ. მარქსის, ფრ. ენგელსის და ვ. ლენინის გენიალური მეცნიერული წინასწარმეტყველება. ელექტრობის ძლევამოსილმა მსვლელობამ მიგვიყვანა ტექნიკის ძირეულ ცვლილებებთან. XIX საუკუნის 80-იან წლებში აშენებულმა ელექტროსადგურებმა ისტორიულად უმოკლეს პერიოდში გაიარეს გზა ნახევრად კუსტარული დანადგარებიდან მსხვილ ცენტრალურ ელექტროსადგურებამდე.

საქართველოში პირველი ელექტროსადგური აიგო ილია ქავკავაძის თაოსნობით 1887 წელს, რომელიც თბილისის საადგილმამულო ბანკს, ქართული თეატრის შენობებსა და სასახლის ქუჩას ანათებდა. იგი 1895 წლამდე საქართველოში ერთადერთ ელექტროსადგურად დარჩა. 1896 წლიდან თბილისში შენდება რამდენიმე წვრილი ელექტროსადგური, მათ შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ელექტროსადგური, სადაც 10 კვტ სიმძლავრის გენერატორი მუშაობდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ელექტროსადგურები თბილისს გარდა სხვა ქალაქებშიც აშენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომის, სოხუმის, ბათუმის, გაგრის, ახალი ათონის, ახალქალაქისა და ცხინვალის ჰიდროელექტროსადგურები, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 45-445 კვტ ფარგლებში მერყობდა. ყველაზე უფრო მძლავრ სადგურს წარმოადგენდა თბილისის

ტრამვაის თბოელექტროსადგური, რომელიც ნახშირით მუშაობდა, მისი საერთო სიმძლავრე 1680 კვტ უდრიდა. იყო აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობის დიზელური ელექტროსადგური 660 კვტ სიმძლავრისა.

1913 წელს საქართველოში ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ დაახლოებით 9 ათას კვტ, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ 19,8 ათასი კვტ-სთ შეადგინა. 1913 წელს რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ერთ სულზე გამომუშავდა 14 კვტ-სთ ელექტროენერჯია, საქართველოში კი მხოლოდ 7,4 კვტ-სთ. პირველი მსოფლიო ომის წლებში და მენშევიკების ბატონობის დროს კი საქართველოში არც ერთი ახალი ელექტროსადგური არ აშენებულა.

უცხოელთა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ძალით დაიწყო ზრუნვა ელექტროენერჯის გამომუშავების სწრაფი ზრდისათვის. ვ. ი. ლენინი 1920 წლის 23 იანვარს წერილში გ. კრეიჯანოვსკისადმი პრინციპულ დებულებებს აყალიბებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო ცნობილ „გოელროს“ გეგმას.

„გოელროს“ გეგმა ითვალისწინებდა 10-15 წლის განმავლობაში 30 მსხვილი რაიონული ელექტროსადგურის აგებას 1750 ათასი კვტ საერთო სიმძლავრით. აღნიშნული გეგმა იმდენად გრანდიოზული იყო, რომ ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჰერბერტ უელსმა მას უტოპია, ხოლო ვ. ი. ლენინს „კრემლის მეოცნებე“ უწოდა. მაგრამ „გოელროს“ გეგმა 10 წელიწადში შესრულდა და უკვე 1933 წელს სსრ კავშირში რაიონული სადგურების სიმძლავრემ 26% -ით გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულს და 2105 ათასი კვტ შეადგინა.

„გოელროს“ გეგმა კავკასიაში ითვალისწინებდა ჰიდროენერგორესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. როგორც სეზონური, ისე მარეგულირებელი ელექტროსადგურების ფართო მშენებლობას. ამ მიზანდასახულობათა განხორციელების პირველი ნაბიჯი იყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 10 სექტემბერს. ზაქესის მშენებლობის დაწყება მაშინდელი პერიოდისათვის, სათანადო მატერიალური და ტექნიკური საშუალებების უქონლობის პირობებში, მეტად ვაბედული ნაბიჯი იყო. ეს იყო საქართველოს მუშათა კლასის უდიდესი რწმენის გამოხატულება იმ დიად საქმეში, რასაც იგი გლვებობასთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების ასაშენებლად.

1927 წლის 26 ივნისს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური საზეიმოდ გაიხსნა. სადგურის პირველი რივის სიმძლავრე 12800 კვტ იყო, რაც 1,6-ჯერ აღემატებოდა 1913 წელს საქართველოში ყველა არსებული ელექტროსადგურის სიმძლავრეს.

ზაქესის აშენებას დიდი პოლიტიკური და სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დასაბამი მისცა საქართველოში მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას.

ზაქესის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა სხვა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა. მაგ., 1923 წ. 29 ნოემბერს, ხოლო შემდეგ 1924 წლის 25 ივლისს დაიწყო სამუშაოები აბჰესის და აწჰესის ასაშენებლად. პირველი სადგური 1928 წელს, ხოლო მეორე 1937 წელს აშენდა.

1927 წლის ივნისში ზაქვის მშენებლობის დამთავრებისთანავე საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოში მძლავრი ელექტროსადგურის რიონჰესის მშენებლობას, რომლის საზეიმო გახსნა მოხდა 1934 წლის 30 ივლისს. რიონჰესის მშენებლობის დამთავრებით კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა საბჭოთა ჰიდრომშენებლობის პრაქტიკაში, ბევრი სიახლე შეიტანა და ახალი მიღწევებით გაამდიდრა იგი. რიონჰესის ნომინალური სიმძლავრე ამ დროისათვის 50 ათასი კვტ იყო. რიონჰესის მშენებლობა თავისი სიდიდითა და სირთულით ყველა სხვა მანამდე აგებული სადგურისაგან განსხვავდებოდა.

1930 წელს მუშაობა დაიწყო ზაქვის გასაფართოებლად, რომელიც დამთავრდა 1938 წელს. 1933 წელს დაიწყო სოხუმჰესის, ხოლო 1934 წელს ხრამჰესის მშენებლობა, იმავე წელს იწყება მზადება ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის ასაშენებლად. იგი საქართველოში პირველი რაიონული თბოელექტროსადგური იყო, რომელიც 1938 წელს უკვე სამრეწველო დენს იძლეოდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ომის წინა წლებში ელექტროენერგეტიკა მაღალი ტემპებით ვითარდებოდა. უკვე 1928 წელს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრემ 3,3-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებამ 2-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის შესაბამის მაჩვენებლებს, 1940 წელს შესაბამისად 22,5-ჯერ და 37,1-ჯერ. ელექტროენერგეტიკის განვითარების სწრაფ ტემპებზე მეტყველებს ისიც, რომ ელექტროენერგეტიკის ზრდის ტემპები უფრო მეტი იყო საქართველოში, ვიდრე სსრ კავშირში საშუალოდ. მაგ., 1940 წელს 1913 წელთან შედარებით სსრ კავშირში ელექტროსადგურთა სიმძლავრე 10-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 12-ჯერ გაიზარდა. საქართველოში კი შესაბამისად 22,5-ჯერ და 37-ჯერ.

ამასთან, ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეთა ზრდა საქართველოში ძირითადად ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის ხარჯზე ხდებოდა. მაგ., 1913 წელს თბოელექტროსადგურები ელექტროენერგიის 75% გამოიმუშავებდნენ, 1940 წელს მხოლოდ 46,4%.

ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდის კვალდაკვალ თანდათან იზრდებოდა ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვა და სიგრძე. თუ 1928 წლისათვის ჯერ კიდევ არ გვექონდა 210 კვოლტიანი გადამცემი ხაზი, 1932 წელს მისი სიგრძე უკვე 166,4 კმ, ხოლო 1940 წელს 368,3 კმ შეუდგენდა. პირველად 210 კვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი — ზაქსი-რიონჰესი — გაშვებულ იქნა 1932 წლის ივლისში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარება სწრაფი ტემპებით ხდებოდა, სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი დეფიციტური იყო, რაც მოითხოვდა ელექტროენერგეტიკის კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებას.

დიდი სამამულო ომის წლებში მოქმედებაში შევიდა მხოლოდ თბილისის თეცის 4 ათასი კვტ სიმძლავრის აგრეგატი 1941 წლის მეორე ნახევარში და ალაზანჰესი, სიმძლავრით 4800 კვტ, 1942 წლის თებერვალში.

ხრამის და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურებზე მუშაობა 1944 წელს განახლდა. ამავე წელს დაიწყო აგრეთვე ჩითახევქის მშენებლობა და მეორე აგრეგატის დამონტაჟება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში.

ჩრამპეს — 1-ის პირველი აგრეგატი 1947 წლის 22 დეკემბერს, ხოლო დანარჩენი ორი — 1949 წლის 2 მაისს ამუშავდა. მისი სიმძლავრე განისაზღვრება 112,5 ათასი კვტ. სოხუმპესი ამუშავდა 1948 წელს, 29,4 ათასი კვტ სიმძლავრით, ხოლო ჩითახევესი 1949 წლის დეკემბერში. სათანადო მომზადების შემდეგ 1946 წელს იწყება სამუშაოები სამგორის საირიგაციო-ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობისა, რომელიც 18 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ამ კომპლექსში შემავალმა სამმა (საცხენისის, მარტყოფის, თეთრიხევის) ჰიდროელექტროსადგურმა სამრეწველო დენი მშენებლობის დაწყებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1952 წელს მიიღვა, ხოლო მეოთხემ, სიონის ჰიდროელექტროსადგურმა — 1964 წელს.

1949 წელს დაიწყო შაორპესის, ხოლო 1950 წელს ტყიბულქესისა და ბეუუაჰესის მშენებლობა. შაორპესის პირველი აგრეგატი 1955 წელს ამუშავდა, ხოლო მეორე (სიმძლავრით 40 ათასი კვტ) 1959 წელს. ტყიბულქესი, 80 ათასი კვტ სიმძლავრით, მწყობრში ჩადა 1955 წელს.

1955 წელს ექსპლოატაციაში შევიდა გუმათჰესი-2 — 22,8 ათასი კვტ. სიმძლავრით, ხოლო 1958 წელს გუმათჰესი-1 — 14 ათასი კვტ სიმძლავრით, რომელთა მშენებლობა 1951 წელს დაიწყო.

1953 და 1954 წლებში იწყება ორი დიდი ჰიდროელექტროსადგურის: ლაჯანურჰესისა და ხრამპეს-2 მშენებლობა. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის აგება ახალი დიდმნიშვნელოვანი საფეხური იყო საქართველოსა და მთლიანად საბჭოთა კავშირის ჰიდროენერგეტიკის განვითარებაში. აღნიშნულ მშენებლობაზე აგებული მაღალი თაღოვანი კაშხალი სიხლეს წარმოადგენდა საბჭოთა ჰიდროტექნიკისათვის. იგი პირველი იყო სსრ კავშირში ქართველი ჰიდროტექნიკოსების მიერ დაპროექტებული და შესრულებული. ამით საბჭოთა ჰიდროტექნიკამ დიდი და გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა წინ მაღალი თაღოვანი კაშხალების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური 1960 წელს ამუშავდა. მისი სიმძლავრე ამ დროისათვის 112,5 ათას კვტ იყო.

ხრამპესი-2 მშენებლობა, რომელიც 1963 წელს დამთავრდა, ერთ-ერთი უდიდესი იყო საქართველოში. როგორც ლაჯანურჰესის, ისე ხრამპეს-2 მშენებლობამ დასაბამი მისცა საქართველოში გაცილებით უფრო ძლიერი ელექტროსადგურების მშენებლობის დასაწყისს.

1960 წლისათვის საქართველოს სსრ ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ შეადგინა 974 ათასი კვტ, ხოლო ელექტროენერჯის წარმოებამ — 3702 მლნ კვტ-სთ. ეს თითქმის 5,4-ჯერ და 5-ჯერ აღემატებოდა 1940 წლის შესაბამის მაჩვენებლებს. 1956-1960 წლებში რესპუბლიკაში პირველად გადაეცა საექსპლოატაციოდ 220 კილოვატიანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. 1960 წლისათვის ამაღლდა ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ცენტრალიზაციის დონე. მაგ., თუ 1940 წელს ელექტროენერჯის ცენტრალიზაციის კოეფიციენტი 92% უდრიდა, 1960 წელს მან 97% შეადგინა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ამ დროისათვის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზა კიდევ უფრო გაიზარდა, მიუხედავად ამისა, გამოუმუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას.

1960 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსში დეფიციტმა 214,4 მლნ კვტ-სთ შეადგინა, ეს მაშინ როცა აღნიშნულ წელს არ

შესრულებულა საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებები მრეწველობის მთელ რიგ მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფ ობიექტებზე. ყოველივე ეს მოითხოვდა ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა შემდგომ სწრაფ ზრდას. ამასთანავე, წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტროენერგიაზე მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის გზით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მშენებლობა, ჯერ ერთი, ძლიერ ძვირი ჯდებოდა და, მეორეც, მას დიდი დრო სჭირდებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირში იმ დროისათვის მიღწეული დონის მიხედვით, ისეთი სადგურების მშენებლობა, როგორც აქამდე საქართველოში გვხვდებოდა, არაეკონომიური იყო. ამიტომ მომწიფდა საკითხი საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ. ასეთ ელექტროსადგურებად მოგვევლინენ თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური და ენგურპესი.

თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მშენებლობა 1960 წელს დაიწყო. მისი პირველი აგრევატი 1963 წლის დეკემბერში აშუშავდა, ხოლო მერვე ბლოკი — 1972 წლის ოქტომბერში. ამ დროისათვის იგი მთელი სიმძლავრით მუშაობდა და მან 1250 ათასი კვტ შეადგინა.

თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მწყობრში შესვლამ მთლიანად შეცვალა თანაფარდობა ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამოიმუშავებაში. მაგ., თუ 1960 წლამდე ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი (60%) ჰიდროელექტროსადგურებში გამოიმუშავებოდა, 1966 წლიდან, პირიქით, თბოელექტროსადგურებმა მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავეს (53,8%). 1977 წელს თბოელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს მთელი წარმოებული ელექტროენერგიის 74%. თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის აგება სწორი კურსი იყო რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზის გაუმჯობესებისათვის.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1962 წელს დაიწყო. ენგურის ელექტროსადგურების კომპლექსი შედგება ერთი ძირითადი და ოთხი ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურისაგან. მათი საერთო სიმძლავრე 1640 ათასი კვტ შეადგენს, რაც 2,2-ჯერ აღემატება 1960 წელს არსებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს. იგი სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ გამოიმუშავეს 5460 მლნ კვტ-სთ ელექტროენერგიას. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ბეტონის 271,5 მეტრის სიმაღლის თალოვანი კაშხალი მდინარე ენგურის ხეობაში ქმნის წყალსაცავს საერთო მოცულობით 1100 მლნ მ³. ენგურპესი თავისი მაღალი თალოვანი კაშხალით უნიკალურ ნაგებობას წარმოადგენს. კომპლექსის ყველა ვარდნილპესი 1971-1972 წლებში დამთავრდა. ძირითადი ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრევატი გაშვებულ იქნა 1978 წლის ნოემბერში, უკანასკნელი, მეხუთე აგრევატი კი 1980 წლის დეკემბერში. 1986 წელს პირველი სამრეწველო დენი მისცა ქინვალის ჰიდროელექტროსადგურმა, რომლის მშენებლობა 1971 წელს დაიწყო. 1972 წელს დაიწყო ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სამი აგრევატი უკვე მუშაობს. 1978 წელს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მოქმედებაში შევიდა ერთი

ახალი ავრეგატი 110000 კვტ სიმძლავრით, ხოლო 1983 წელს ამუშავდა მეორე ავრეგატი, იმავე სიმძლავრის.

მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობის პარალელურად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობდა წვრილი ელექტროსადგურების მშენებლობაც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებში დაიწყო.

წვრილი სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობას არა მარტო დიდი კულტურული და პოლიტიკური, არამედ სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის აღდგენა, რაშიც ელექტროფიკაციას გადაწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. სოფლის ელექტროფიკაცია ამ პერიოდისათვის მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯზე შეუძლებელი იყო, მათი სიმცირისა და მშენებლობის ხანგრძლივობის გამო. წვრილი ელექტროსადგურის აგება შეიძლებოდა თითქმის ყველა რაიონში. პირველი ასეთი სადგურები ჩვენს რესპუბლიკაში იყო აბასთუმნის, ახალციხის, შოვის, ონის, წულუკიძის, ახალქალაქის, ჩითხავეის, ვანის და სხვ. ამჟამად მათი რიცხვი 200 აღემატება. დღეისათვის, რა თქმა უნდა სოფლის ელექტროფიკაცია უკვე მთელი ენერგეტიკული სისტემის ხარჯზე ხორციელდება და ანალოგიური სადგურების მშენებლობა მიზანშეწონილი აღარ არის.

1985 წლისათვის რესპუბლიკის ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ 4389 ათასი კვტ შეადგინა, ელექტროენერჯის გამომუშავებამ — 14421 მლნ კვტ-სთ, რაც 4,5-ჯერ და 3,9-ჯერ აღემატება 1960 წლის შესაბამის მაჩვენებლებს, ხოლო 1913 წლის მაჩვენებლებზე 485-6-ჯერ და 628,7-ჯერ მეტია.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდა. უწინარეს ყოვლისა კიდევ უფრო ამაღლა ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვა და გაიზარდა მაღალი ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე. მაგ., თუ 1960 წლისათვის ელექტროგადამცემი ხაზების მაქსიმალური ძაბვა 220 კვოლტს შეადგენდა, 1965 წლისათვის იგი 330, ხოლო 1985 წლისათვის — 500 კვოლტს უდრიდა. გაიზარდა ცალკეულ ელექტრომოწყობილობათა და ელექტროსადგურთა ერთეული სიმძლავრე. მაგ., თუ 1960 წელს თბოტურბინის მაქსიმალური სიმძლავრე 50 ათას კვტ უდრიდა, 1965 წელს იგი 150 ათასს, ხოლო 1985 წელს 160 ათას კვტ შეადგენდა. ჰიდროტურბინების მაქსიმალური სიმძლავრე 1960 წელს 38 ათასი, 1965 წელს — 56 ათასი, 1970 წელს — 73,3 ათასი, ხოლო 1985 წელს 240 ათასი კვტ იყო. შემცირდა პირობითი სათბობების ხვედრი გასავალი 1 კვტ ელექტროენერჯის გამომუშავებაზე, ამაღლა ელექტროენერჯის წარმოების ცენტრალიზაციის დონე. 1985 წელს ელექტროენერჯის წარმოების ცენტრალიზაციის კოეფიციენტი 99,8% შეადგინა.

მნიშვნელოვნად ამაღლა სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის დონე. წარმატებით გამოიყენება ელექტროენერჯია ტექნოლოგიურ პროცესებში.

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად დღეისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი

ნაკლოვანებშია. არასაკმარისია ელექტროენერგეტიკის, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი განვითარების დონე, რომელიც ელინდება: ელექტროენერგეტიკის ზრდის ჩამორჩენაში სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებისაგან, რომელიც ამუხრუჭებს საწარმოო პროცესთა ელექტროფიკაციას და ელექტროტექნიკური დარგების განვითარებას, განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავების განვითარებას; მოცემულ ეტაპზე ელექტროენერგეტიკის მწვავე დეფიციტში, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პიკურ და ბაზისურ ელექტროსადგურებს შორის არაოპტიმალური თანაფარდობის არსებობის გამო; დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაბალ დონეში: არ გამოიყენება ელექტროენერგეტიკის მისაღებად ენერჯის ახალი სახეობები და მიღების ახალი მეთოდები; დაბალია თბოაგროგატთა ერთეული მაქსიმალური სიმძლავრე, საჭვავებ დანადგართა მწარმოებლობა და ენერჯის მუშაობის პარამეტრები; მნიშვნელოვანია მცირე სიმძლავრის დაბალი წარმადობის ჰიდრო და თბოელექტროსადგურთა რაოდენობა; დაბალია ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების ტემპები; ახალი ტექნიკის ათვისებაზე გაწეული დანახარჯები მცირეა, ხოლო დანერგვის მასშტაბები ვიწრო, რაც აფერხებს დარგის ტექნიკური ბაზის თვისებრივ სრულყოფას და სხვ. ყველაფერი ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს დარგში შრომის ნაყოფიერების, კაპიტალდაბანდებათა და ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის შედარებით დაბალ და ელექტროენერჯის თვითღირებულების მაღალ დონეს.

რესპუბლიკის მრეწველობაში ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერჯის მოხმარება იზრდება ძლიერ ნელი ტემპით. მნიშვნელოვანი რაოდენობით ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგია გამოიყენება მხოლოდ ერთ ქვედარგში, სახელდობრ ელექტროფეროშენადნობთა წარმოებაში. ამასთან ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგია ძირითადად გამოიყენება მხოლოდ თერმოდინამიკურ პროცესებში, ხოლო მისი გამოყენების დონე ისეთ პროგრესულ პროცესებში, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ კარდინალურ ზრდას (როგორცაა ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური), ძლიერ დაბალია, არასაკმარისია ელექტროენერჯის მოხმარების დონე ძალურ პროცესებშიც, წარმოებისა და შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონის გამო.

საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის განვითარება მომავალში უნდა განხორციელდეს ბაზისურ ელექტროსადგურთა მშენებლობის უპირატესი განვითარების გზით. პარალელურად უნდა გაგრძელდეს რესპუბლიკის მდიდარი ჰიდროენერგორესურსების ათვისება, უმთავრესად მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯზე. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროენერჯის მისაღებად ქარისა და მზის ენერჯის გამოყენებას.

Р. Б. АБЕСАДЗЕ

РАЗВИТИЕ ЭЛЕКТРОЭНЕРГЕТИКИ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

Великие основоположники научного социализма К. Маркс и Ф. Энгельс, жившие и работавшие в период господства паровой энергетики, на основе материалистического понимания исторического раз-

ვითაც безошибочно предугадали пути технического прогресса на основе широкого внедрения электричества во все отрасли народного хозяйства. Научно обосновать и широко раскрыть роль электричества в жизни современного человечества выпало на долю В. И. Ленина, не только развилшего взгляды К. Маркса и Ф. Энгельса по этому вопросу, но и создавшего стройное учение об электрификации как материально-технической базе бесклассового общества.

Электроэнергетика, как отрасль промышленности, возникла приблизительно в 80-ых годах XIX века. По выработке электроэнергии царская Россия занимала 8-е место в мире. В 1913 году мощность всех электростанций России составляла чуть больше 1 млн. квт. ч. Еще хуже обстояло дело на окраинах Российской империи, в том числе и в Грузии. В 1913 году на душу населения в Российской империи вырабатывалось 14 квт. ч. электроэнергии, а в Грузии всего 7,4 квт. ч. В годы первой мировой войны и господства меньшевиков в Грузии не было построено ни одной электростанции.

После иностранной интервенции и гражданской войны Советское правительство первоочередное внимание уделило развитию электроэнергетики. В. И. Ленин в письме к Г. Кржижановскому от 23 января 1920 года сформулировал принципиальные положения по вопросам дальнейшего подъема экономики нашей страны, которые легли в основу известного плана «ГОЭЛРО».

План «ГОЭЛРО» предусматривал максимальное использование гидроэнергоресурсов в Закавказье, широкое строительство сезонных и регулирующих электростанций. Первым шагом в этом направлении было строительство Земо-Авчальской ГЭС, фундамент которой был заложен 10 сентября 1922 года, а торжественное открытие состоялось 27 июня 1927 года. Вслед за ней встали в строй Рионская, Храмская, Сухумская, Гагрская, Ткибульская, Ладжанурская ГЭС и такие флагманы энергетики Грузии как Ингурская ГЭС и Тбилисская ГРЭС и др.

В настоящее время строятся три мощных электростанции — Жинвальская ГЭС, Варციхе-ГЭС и Худони-ГЭС.

В 1985 году общая мощность электростанций Грузии составила 4389 тыс. квт, а выработка электроэнергии — 14421 млн. квт. ч., т.е. соответственно в 485, и 628,7 раза больше аналогичных показателей 1913 года. Можно сказать, что электроэнергетика Грузинской ССР по существу заново была создана за годы Советской власти. Однако достигнутый уровень все еще недостаточен. Развитие электроэнергетики республики значительно отстает от среднесоюзных показателей. Это касается как производства, так и потребления и в промышленности и в народном хозяйстве в целом.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

რუსულან ცხადია

სარწმუნო მიწათმოქმედება კახეთის
რაიონებში (1971-1975 წწ.)

ქ. მარქსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მელიორაციას. მისი დახასიათებით „მიწათმოქმედებაში ის ნივთიერებანი, რომლებიც ნიადაგის მელიორაციის მიზნითაა შეტანილი, ნაწილობრვ შედიან მცენარეულ პროდუქტში. როგორც პროდუქტის წარმომქმნელი ფაქტორები, მეორე მხრივ, მათი მოქმედება განაწილდება ხანგრძლივ პერიოდზე, მაგალითად, 4-5 წელიწადზე. ამიტომ მათი ერთი ნაწილი ნივთიერების სახით შედის პროდუქტში და ამით იმავე დროს პროდუქტზე გადააქვს თავისი ღირებულება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი თავისი ძველი სახმარი ფორმით რჩება და თავისი ღირებულების ფიქსირებასაც ამ ფორმაში ახდენს“¹.

საქართველოში მელიორაცია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებაში. ამიტომაც ვასაგებია ვ. ი. ლენინის მითითებანი საქართველოში გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზების შესახებ, კერძოდ ვ. ი. ლენინი ასკვნია „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყეთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“².

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე გაიშალა მუშაობა მელიორაციის, როგორც მორწყვითი ისე დაშრობითი მელიორაციის განვითარებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია. რომ „1. სოფლის მეურნეობაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას ძვირფას კულტურათა და მესაქონლეობის განვითარებისაკენ; 2. სოფლის მეურნეობის სრული აღორძინება და განვითარება მიღწეულ იქნას სწორად დაყენებული მელიორაციისა და ირიგაციის პირობებში“³, რის შედეგადაც თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ 95 ათას ჰექტარზე ფართობი ირწყევოდა, 1941 წლისათვის სარწყავი ფართობი გაიზარდა 242 ათას ჰექტარამდე, ე. ი. 2-ჯერ მეტად. დაშრობილი მიწების ფართობი ამავე

1 ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 196.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, 1952, თბ., გვ. 399.

3 საქართველოს კომპარტიის ყრილობები (ცნობარი), პროფ. გ. ქვანიას საერთო რედაქციით, თბ., 1985, გვ. 60.

პერიოდისათვის გადიდა 20 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლხეთის დაბლობზე მოდიოდა 8 ათასი ჰექტარი. ე. ი. მოკლე პერიოდში არსებითი ცვლილებები მოხდა ამ სფეროში. ამჟამად საქართველოს სსრ სარწყავი მიწების ფართობი შეადგენს 435,3 ათას ჰექტარს, მ. შ. სახნავი 206,4, აქედან ნათესები 196,0 ათასი, მრავალწლიანი ნარგავები 119,2, სათიბ-საძოვრები — 45,4, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა ნაკვეთები — 64,3 ათასი ჰა⁴.

ამასთან გაიზარდა დაშრობილი მიწების ფართობიც, რამაც 1985 წელს შეადგინა 119,5 ათასი ჰა, მათ შორის სახნავი — 59,3, აქედან ნათესი — 56,7 მრავალწლიანი ნარგავები — 20,2, სათიბ-საძოვრები — 20,2, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა ნაკვეთები — 11,4 ათასი ჰა⁵.

კახეთის რაიონებისათვის, რომლის უდიდესი ნაწილი ნალექების უკმარისობას განიცდის, ხელოვნური მორწყვა კულტურათა მოსავლიანობის გაზრდის აუცილებელი პირობაა. საქართველოს სარწყავ მიწათმოქმედებაში კახეთის რაიონები კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებენ.

1971 წელს საქართველოს სსრ სარწყავი მიწების 349 183 ჰა ფართობიდან კახეთის რაიონებზე მოდიოდა 74 211 ჰა. შესაბამისი მაჩვენებელი იყო: 1973 წელს 360 806 და 79 259 ჰა, 1975 წელს — 355 359 და 76 940 ჰა.

საინტერესოა საკვლევი რაიონების სარწყავი მიწების ხვედროვნა საქართველოს მიწების მიმართ. 1971 წ. კახეთის რაიონებზე მოდიოდა რესპუბლიკის სარწყავი მიწების 21,3%, 1973 წ. — 22,0, 1974 წ. — 22,3%, 1975 წ. — 21,7%.

მთლიანად კახეთის რაიონების მიმართ სარწყავი მიწები მაღალი ხვედროვნით იყო წარმოდგენილი სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში.

ცხადია, რომ რაც უფრო ნაკლებია სხვაობა სარწყავ მიწებსა და გამოყენებულ სარწყავ მიწებს შორის, იმდენად უკეთესადაა დაყენებული სარწყავი სისტემის მშენებლობის, ექსპლოატაციისა და მთელი სარწყავი მიწათმოქმედების საქმე. სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი სარწყავი მიწები შეადგენდა: 1971 წ. — 448 ჰა, 1973 წ. — 113 ჰა, 1975 წ. — 26 ჰა.

1971 წელს ნიადაგების დამარილიანებისა და დაჭაობების გამო არ გამოუყენებიათ საგარეჯოს რაიონში 126 ჰა, გურჯაანის რაიონში — 59 ჰა, ლაგოდეხის რაიონში — 9 ჰა, 1972 წ. — საგარეჯოს რაიონში — 89 ჰა, გურჯაანის რაიონში — 28 ჰა.

აღსანიშნავია, რომ ბევრ რაიონში, სადაც ნალექების მომიზეზებით დიდი რაოდენობით არ არის მორწყული მიწები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავ მიწებზე მოსავლიანობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ყველა მიწებიდან მიღებული მოსავლიანობის დონე. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი რეზერვები იააჩნიათ სარწყავი მიწების ეფექტური გამოყენებისათვის. მაგრამ ბევრი მათგანი არ ზრუნავს რწყვის სეზონისათვის, მეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო ქსელის წესრიგში მოყვანაზე, მუშა-ხელის საკმაო რაოდენობით გამოყოფაზე, რწყვის ჩატარების შესახებ სააღრიცხვო დოკუმენტების დროულად შედგენასა და მოწესრიგებაზე.

⁴ HX СССР в 1985 г., Т6., 1986, с. 97—98.

⁵ იქვე, გვ. 98.

1972 წელს კახეთის რაიონებში სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში გამოყენებული 77 639 ჰა მიწებიდან მოირწყო 49 286 ჰა. მეურნეობათაშორისო ქსელის მოუწყვრეგებლობის გამო არ მოირწყულა: გურჯაანის რაიონში — 200 ჰა; შიდასამეურნეო ქსელისა და ნაგებობის მოუწყვრეგებლობის გამო — საგარეჯოს რაიონში — 254 ჰა, ახმეტის — 114 ჰა, ლაგოდეხის 545 ჰა; სარწყავ წყაროებში წყლის უქმარისობის გამო ჰექტარობით ყვარელის — 2540, თელავის — 2196, ახმეტის — 1052, გურჯაანის — 1045, ლაგოდეხის — 919, სიღნაღის — 239; ჭარბი ატმოსფერული ნალექების მოსავლის მოტივით არ მოირწყულა საგარეჯოს რაიონის — 9593, გურჯაანის — 7486, ახმეტის 823, თელავის — 688, სიღნაღის — 415, ყვარელის — 244 ჰა.

სარწყავი მიწების არარაციონალურმა გამოყენებამ და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარებლობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საკვლევი რაიონის სოფლისმეურნეობრივი კულტურების მოსავლიანობაზე. მოირწყვისა და დაბალი მოსავლის მიღების საქმეში ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების ამ ფრიალ მნიშვნელოვანი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

ამ მხრივ საინტერესოა ენახოთ როგორი მდგომარეობაა 1973 წელს, როდესაც კახეთის რაიონებში სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იყო 79 146 ჰა, ანუ მთელი სარწყავი მიწების 99%. სხვადასხვა მიზეზების გამო გამოუყენებელი ფართობი შეადგენდა — საგარეჯოს — 64, წითელწყაროს — 24, სიღნაღის — 13 და ყვარელის რაიონში — 12 ჰას.

1973 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ირიგაციულად მომზადებული სარწყავი მიწებიდან მოირწყო 45 710 ჰა ანუ სარწყავი ფართობის 57%. აქედან შიდასამეურნეო და მეურნეობათაშორისო ქსელისა და ნაგებობების მოუწყვრეგებლობის გამო არ მოირწყო საგარეჯოს რაიონში — 723, გურჯაანის რაიონში — 1152, სიღნაღის რაიონში — 752, ყვარელში — 75, ლაგოდეხში — 93 ჰა. წყაროებში წყლის უქმარისობის გამო ვერ მოირწყეს აგრეთვე საგარეჯოს რაიონში — 200, გურჯაანის — 283; ლაგოდეხის — 940 ჰა; მოუშანდაცებლობის გამო — საგარეჯოს რაიონში — 878, გურჯაანის რაიონში — 162; ნალექების არასაკმარისი რაოდენობის გამო ჰექტარობით — საგარეჯოს რაიონში — 5132, გურჯაანის — 7252, სიღნაღის — 5223, წითელწყაროს — 606, თელავის — 3749, ახმეტის — 3149, ყვარლის — 2750, ლაგოდეხის — 143.

გარკვეული ცვლილებები მოხდა შემდგომ პერიოდში, კერძოდ 1975 წელს ირიგაციულად მომზადებული სარწყავი მიწის ფართობი შეადგენდა 76 940 ჰას, სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში გამოყენებული იყო 76 914 ჰა, 1975 წელს კახეთის რაიონებში გამოუყენებელი სარწყავი ფართობი მცირეა — 26 ჰა.

ამასთან ირიგაციულად მომზადებული 76 940 ჰექტარიდან, ფაქტურად მოირწყო 66 187 ჰა, არ მოირწყო 10 753 ჰა. მათ შორის მეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო ქსელის, ნაგებობების და ძალოვანი დანადგარების უწყსიერობის გამო — საგარეჯოს რაიონის — 441, გურჯაანის — 708, ახმეტის — 589 ჰა. რწყვის წყაროებში წყლის უქმარისობის გამო ჰექტარობით — საგარეჯოს — 134, გურჯაანის — 853, სიღნაღის — 297, თელავის — 2047, ახმეტის — 746, ყვარელის — 1768, ლაგოდეხის — 1580; ნალექების საკმაო

რაოდენობის გამო გურჯაანის რაიონის — 624, საგარეჯოს — 548, სიღნაღის — 109, წითელწყაროს — 144 ჰა.

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ირწყვებს. დიდია განსხვავება ფაქტიურად მორწყულ მიწასა და გამოყენებულ ფართობს შორის 1971-1975 წწ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1971 წ. მოურწყავი დარჩა 25 270 ჰა. 1972 წ. — 27 353, 1973 წ. — 33 436, 1974 წ. — 30 015, 1975 წ. — 10 727 ჰა.

მეტად დიდია მოურწყავი მიწის ფართობები ცალკეული რაიონების მიხედვით. სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მოურწყავთ ორგანიზაციული და ტექნიკური მიზეზებით.

რესპუბლიკაში მიწების ნაყოფიერების გადიდებისა და ამის საფუძველზე სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოების ზრდისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავი მიწების გონივრულად და მაღალეფექტიანად გამოყენებას.

სარწყავი მიწების აღრიცხვის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სარწყავი მიწების რაციონალურად გამოყენებას, სწორ თესობრუნვას, ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად განხორციელებას.

არ იყო მიღწეული დანახარჯების თვითანხლადება წყალსამეურნეო და სამეღიორაციო სამუშაოებისათვის როგორც მოსავლიანობის, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მთლიანი მოსავლის ოდენობის მიხედვით.

მაგალითად, 1973 წელს რესპუბლიკაში მარცვლეული და მარცვლეულბარკოსანი კულტურების (სიმინდის ჩათვლით) მთელი ნათესების ერთ ჰექტარზე მოსავლიანობამ შეადგინა 17,9 ცენტნერი, ხოლო სარწყავ მიწებზე — 20,2 ცენტნერი, სამემოდგომო ხორბლისა — შესაბამისად — 21,5 და 23 ცენტნერი, სამემოდგომო ქერისა — 19,2 და 20,7 ცენტნერი, სიმინდისა — 15,1 და 16,7 ცენტნერი, ბოსტნეულისა — 88 და 93 ცენტნერი, კარტოფილისა — 80 და 96 ცენტნერი, ხილისა — 31,8 და 49,2 ცენტნერი და ა. შ.

საკვლევი რეგიონის სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობების სარწყავ ფართობში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრავალწლიან კულტურებს. 1971 წ. მას ეკავა 18 500, 1973 წ. — 19 212, 1975 წ. — 20 780 ჰა. როგორც ვხედავთ, სარწყავი მიწები მრავალწლიანი კულტურებისთვის იზრდება, კერძოდ 1971 წელთან შედარებით გადიდდა 12%-ით.

მრავალწლიან ნარგავთა სარწყავი ფართობის უდიდესი ნაწილი მოდიოდა გურჯაანის რაიონზე: 1971 წ. — 4781, 1973 წ. — 4728, 1975 წ. — 4885. შესაბამის წლებში იგივე მონაცემები (ჰექტარობით) უდრიდა ყვარლის რაიონში — 2191, 1890, 2083; სიღნაღის რაიონში — 2167, 2239, 2144, საგარეჯოს რაიონში — 4339, 4298, 4863.

1971 წელთან შედარებით გაიზარდა მრავალწლიან ნარგავთა ფაქტიურად მორწყული ფართობი.

საკვლევი რაიონებიდან მრავალწლიანი კულტურების მორწყული ფართობით გამოირჩეოდა გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს და თელავის რაიონები.

1971 წელს შესაბამისი მაჩვენებლები უდრიდა გურჯაანის რაიონში — 4448, საგარეჯოს — 3775, სიღნაღის — 2123, თელავის — 1725 ჰა. 1975 წ. კი შესაბამისად — 4668, საგარეჯოს — 4726, სიღნაღის — 2063, თელავის — 2115 ჰა.

კახეთი საქართველოში მარცვლეულის მთავარი ბეღელია. მისი ხვედრი-წონა საქართველოს მარცვლეულის ნათეს ფართობში 30,3% შეადგენს.

მარცვლეულიდან ყველაზე დიდი ფართობი საშემოდგომო ხორბალს ეკავა; ითესება აგრეთვე საშემოდგომო ქერი, შვრია და სიმინდი. საერთოდ კახეთზე მოდის საშემოდგომო ხორბლის რესპუბლიკური ნათესების 50%-ზე მეტი.

1973 წ. საშემოდგომო ხორბლის ყველაზე დიდი ფართობებია წითელწყაროს რაიონში 18,2 ათ. ჰა, ანუ საერთო ნათესების 26%, მნიშვნელოვანი ფართობებია აგრეთვე სიღნაღის (14,5 ათ. ჰა), საგარეჯოს (10,8 ათ. ჰა) რაიონებში. გარე კახეთის 3 ადმინისტრაციულ რაიონზე კახეთის ხორბლის ნათესების 60%-ზე მეტი მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ხორბლის სტაბილური მაღალი მოსავლის მიღება დიდად არის დამოკიდებული ტენიანობის რეჟიმზე და საიმედო სარწყავი სისტემების შექმნას საჭიროებს.

მარცვლეული კულტურები მოიარყო 1971 წ. — 7070, 1972 წ. — 11,854, 1973 წ. — 9721, 1974 წ. — 1975 წ. — 12 939 ჰა. 1973 — 1974 წწ. ხორბლის ნათესი ფართობი შემცირდა, მაგრამ ამავე პერიოდში ამ კულტურის მთლიანი მოსავალი გაიზარდა. კახეთში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროგრესული პროცესი, როდესაც მოსავალი იზრდება არა ფართობის, არამედ მოსავლიანობის გაზრდის ხარჯზე.

საკვლევ რეგიონში ირწყვებოდა კარტოფილი და ბოსტნეულ-ბალჩეული 1971 წ. — 1474, 1973 წ. — 1765, 1975 წ. — 1765 ჰა.

სარწყავი და ამოშრობილი მიწების ფართობის გადიდების კვალდაკვალ საჭიროა სულ უფრო დიდი მოთხოვნილებანი წვუყუენოთ მათს სწორ გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ამ მიწების თითოეულ ჰექტარზე ვიღებდით უხვ მოსავალს. სარწყავ მიწებზე მოსავლიანობის დონე მეურნეობის უნარიანი გაძლოლის მთავარი კრიტერიუმია.

მელიორირებული ფართობის ყოველ ჰექტარზე სახსრების ხარჯვა შეადგენს მორწყვაზე 3-10 ათას მანეთს და ამოშრობაზე კი 500-1500-დან 1500-3000-მდე მანეთს. მელიორაციული სისტემის ექსპლოატაციის ხარჯები აღწევს ამოშრობილი მიწებისა — 30—50 მანეთს და მორწყულისა კი 70—100 მანეთს 1 ჰექტარზე⁶.

მაგრამ ეს ხარჯები მაშინ არის გამართლებული, თუ ამ მიწებზე მიიღება მაღალი, დამატებითი შემოსავალი.

მელიორაციის საკითხებზე მსჯელობის დროს ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ „კვლავინდებურად სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს სამელიორაციო სამსახურების მუშაობას. მეთერთმეტე ხუთწლეულში მელიორაციას 850 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება მოხმარდა, ხოლო პროდუქციის მატება, ისევე როგორც მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა

⁶ С. Л. Миркин, Водные мелиорации в СССР и пути их развития, изд. АН СССР, М., 1960, стр. 7.

მელიორირებულ მიწებზე საგეგმო მაჩვენებლებზე ნაკლები აღმოჩნდა, ხშირად ჩაპორჩება კაპიტალური დაბანდებების ათვისების ტემპი⁷.

ამასთან ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა დასძინა „უნდა დავაჩქაროთ შიგასამეურნეო სამელიორაციო სისტემების ბალანსზე აყვანა, თუმცა გავაძლიეროთ აღმოსავლეთ საქართველოში ბიციობი ნიადაგების გაუმლაშების ღონისძიებანი, გავაუმჯობესოთ წყალსამეურნეო ობიექტების დაგეგმარებისა და მშენებლობის ხარისხი“⁸.

იმ პერიოდში არ იყო მიღწეული დანახარჯების თვითანაზღაურება წყალსამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოებისათვის როგორც მოსავლიანობის, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მთლიანი მოსავლის ოდენობის მიხედვით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავ მიწებზე მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობა რომ არსებობს ამას მოწმობს არა მარტო უხვი მოსავლის ცალკეული ოსტატების, არამედ მთელი რაიონების გამოცდილება, მაგალითად 1975 წელს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში მარცვლეულისა და მარცვლეულ-ცერცვოვანი ნათესი ფართობების 1 ჰექტარზე მიღებულია ურწყავზე — 22,9 ცენტნერი, ხოლო სარწყავზე — 30,5 ცენტნერი. იმავე წელს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში შესაბამისად მიღებულია ერთ ჰექტარზე — 25,1 და 45,7 ცენტნერი ხორბალი. ე. ი. ერთ ჰექტარზე შემოდგომის ხორბლის მოსავალი სარწყავ ფართობზე მიღებულია 20,6 ცენტნერით მეტი ამავე კულტურების მთლიან ფართობთან შედარებით.

ამავე დროს საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ კახეთის სხვა რაიონების კოლმეურნეობებში მარცვლეულისა და მარცვლეულ-ცერცვოვანთა მოსავლიანობა სარწყავ და ურწყავ მიწებზე არსებითად ერთი და იგივეა. ასე, მაგალითად, საგარეჯოს რაიონში მთელ ნათესზე მიღებულია 18,5 ხოლო სარწყავზე — 20,2 ცენტნერი, შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა ცენტნერობით: გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში — 21,5 და 23,3, სიღნაღში — 19,8 და 18,9, თელავში — 20,2 და 20,8, ყვარელში — 18,1 და 20,9; ლაგოდეხში — 19,5 და 18,1.

ანალოგიური მდგომარეობაა შემოდგომის ხორბლის მოსავლიანობის მხრივაც. მთელ ნათეს ფართობზე საგარეჯოს კოლმეურნეობებში მიღებულია 19,2, ხოლო სარწყავზე — 20,8 ცენტნერი. შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა: გურჯაანში — 25,3 და 29,4; სიღნაღში — 22,0 და 21,8, თელავში — 20,0 და 18,9, ყვარელში — 19,0 და 21,2, ლაგოდეხში — 20,0 და 18,1.

მორწყვის ეფექტურობა კერძოდ მისი გავლენა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობაზე დაბალია, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებშიც. 1975 წელს მარცვლეული და მარცვლეულ-ცერცვოვანი კულტურების მთელ ფართობზე საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობებში მიღებულია 12 ცენტნერი, ხოლო სარწყავ მიწებზე 13,1 ცენტნერი. შესაბამისი მაჩვენებლები უდრიდა: გურჯაანის საბჭოთა მეურნეობებში 17,9 და 19,5, სიღნაღში — 19,9 და 21,3, თელავში — 17,1 და 19,1, ახმეტაში — 19,4 და 21,0, ყვარელში — 16,7 და 17,6, ლაგოდეხში — 16,0 და 19,0.

⁷ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“, 1986 წ. № 2, გვ. 28.

⁸ იქვე.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სახელმწიფო მეურნეობებშიც, როდესაც ანალიზს ვუკეთებთ კახეთის რაიონების მასალებს. საგარეჯოს რაიონში მთელ ნათესზე მიღებულია 11,6, ხოლო სარწყავზე — 11,1 ცენტერი, გურჯაანში — 14,3 და 16,9, სიღნაღში — 19,3 და 19,3, თელავში — 20,4 და 23,4, ყვარელში — 16,9 და 14,9, ლავოდებში — 29,8 და 26,7; ე. ი. ზოგიერთი რაიონის სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავზე უფრო ნაკლებია მიღებული მოსავალი ურწყავთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მოტანილი გვაქვს მხოლოდ ერთი წლის მასალები, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა წლებშიც თითქმის იგივე მდგომარეობაა, მაგალითად, 1974 წელს საგარეჯოს რაიონის სახელმწიფო მეურნეობებში მთელ ფართობზე მიღებულია მარცვლეული და მარცვლოვან-ცერცოვანი — 17,4, სარწყავზე — 20,8, გურჯაანში შესაბამისად 20,6 და 17,4, სიღნაღში — 27,4 და 18,6, თელავში — 28,5 და 22,4; ყვარელში — 12,8 და 19,4, ლავოდებში — 1,4 და 20,6.

ცნობილია, რომ მარცვლეულ კულტურებს შორის ბრინჯის შემდეგ ყველაზე მაღალი მოსავლიანია სიმინდი. ამასთანავე მორწყვა ფრიად ეფექტურია მესიმინდობაში, მაგრამ კახეთის რაიონების კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობათა მაგალითზე ეს უმრავლეს შემთხვევაში ფაქტობრივი მასალებით არ დასტურდება.

ცხრილი 1

სამარცვლე სიმინდის ნათესების მორწყვის ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში*

რაიონების დასახელება	სამარცვ. სიმინდის პექტორბ. მოსავლიანობა ც-ბით მეტი + ნაკლები —		შრომის დანაბრები კ/დ ერთ ცენტერზე კ/ს მეტი + ნაკლები —		ერთი ცენტერ პიროლუმ. თვითღირებულება მან. მეტი + ნაკლები —		სამარცვლე სიმინდის პექტორბ. მოსავლიანობა ც-ბით მეტი + ნაკლები —		შრომის დანაბრები კ/დ ერთ ცენტერზე კ/ს მეტი + ნაკლები —		ერთი ცენტერ პიროლუმ. თვითღირებულება მან-ით მეტი + ნაკლები —		სამარცვლე სიმინდის პექტორბ. მოსავლიანობა ც-ბით მეტი + ნაკლები —		შრომის დანაბრები კ/დ ერთ ცენტერზე კ/ს მეტი + ნაკლები —		ერთი ცენტერ პიროლუმ. თვითღირებულება მან. მეტი + ნაკლები —		
	საგარეჯო	+ 7,82	-3,39	-1,71	+6,21	-12,96	-9,41	+ 6,18	- 4,46	-3,46									
გურჯაანი	+ 5,69	-0,25	+ 0,61	+5,47	+ 0,61	-4,32	- 6,06	+ 3,0	-8,18										
სიღნაღი	- 8,36	+3,12	+6,38	-8,4	+ 3,88	+3,61	- 6,29	- 2,51	+0,51										
თელავი	+ 6,84	-6,04	-1,25	+7,8	- 3,15	-9,88	+ 8,0	-11,78	-6,13										
წითელწყარო	—	—	—	—	—	—	-16,39	+ 4,94	+2,3										
ყვარელი	+11,35	+0,27	-5,56	+4,8	- 0,36	-2,19	+ 2,2	+ 0,49	+0,1										
ლავოდები	3,43	-0,3	1,63	+4,6	- 4,05	-4,68	- 8,0	+ 0,7	-0,14										

უფრო დეტალური შესწავლისათვის სიმინდის წარმოების ეფექტურობაზე მსჯელობის დროს საინტერესოა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი (იხ. ცხრილი 1). ცხრილში მოტანილი მასალებიდან ირკვევა, რომ სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა სარწყავზე ურწყავთან შედარებით მეტია საგარეჯოს კოლმეურნეობებში ცენტნერობით: 1972 წ. — 7,8, 1973 წ. — 6,2, 1974 წ. — 6,2. შესაბამისი მაჩვენებლები შედგენდა გურჯაანში — 5,6,

* შედგენილია კოლმეურნეობათა შესაბამისი წლების წლიური ანგარიშგებათა მასალების საფუძველზე.

5,5 და 6,06; ე. ი. გურჯაანის კოლმეურნეობებში 1974 წელს სარწყავზე ურწყავთან შედარებით მოსავლიანობა 6,06 ცენტნერით ნაკლებია. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც სარწყავზე მოსავლიანობა ნაკლებია 8,3, 8,4 და 6,3 ცენტნერით.

ნაწილობრივ მაინც უკეთესი მდგომარეობაა თელავის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც მოსავლიანობა სარწყავზე მეტია ცენტნერობით: 1972 წ. — 6,8, 1973 წ. — 7,8 და 1974 წ. — 8,0. ყვარელის რაიონში შედარებით კარგი მდგომარეობაა 1972 წელს, რამდენადაც სარწყავზე 11,4 ცენტნერით მეტია მოსავლიანობა, მაგრამ ეს მაჩვენებელი შემდეგ მცირდება და შეადგენდა — 1973 წ. — 4,8, ხოლო 1974 წ. — 2,2 ცენტნერს. ლავოდების რაიონში შესაბამისი მაჩვენებლები უდრიდა — 3,4, 4,6 და (—8,0).

ამასთან ერთად შრომის დანახარჯები ერთ ცენტნერ პროდუქციაზე სარწყავზე ნაკლებია საგარეჯოს კოლმეურნეობებში, თელავის, ლავოდების კოლმეურნეობებში, მეორე მხრივ იგივე მაჩვენებელი სარწყავზე მეტია, ზოგიერთ წლებში, გურჯაანის, ყვარელის, სიღნაღის კოლმეურნეობებში, წითელწყაროში ამ მხრივ საერთოდ დაბალი მაჩვენებლებია. ერთი ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება ნაკლებია სარწყავზე — საგარეჯოში, გურჯაანში, ყვარელში, იგივე მაჩვენებელი სარწყავზე მეტია ურწყავთან შედარებით სიღნაღის, თელავის, ყვარელის, ლავოდების კოლმეურნეობებში, მხოლოდ ზოგიერთ წლებში. საერთოდ, როგორც მოსავლიანობის, ისე შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების მაჩვენებლები არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა შემოდგომის ხორბლის წარმოებაშიც.

როგორც მთლიანად მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების მოსავლიანობის ისე შემოდგომის ხორბლის მოსავლიანობაზე მოტანილი მაჩვენებლები უმთავრეს შემთხვევაში იმაზე მიუთითებს, რომ სარწყავი მიწები აოაა გამოყენებული რაციონალურად, რის გამოც დაბალია მორწყვის ეფექტურობაც.

1972 წლის მასალების მიხედვით საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში სარწყავზე ურწყავთან შედარებით მიღებულია შემოდგომის ხორბალი 9,3 ცენტნერით მეტი, ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომის პირდაპირი დანახარჯები ნაკლებია — 1,98 კ/დ; ხოლო პროდუქციის თვითღირებულება — 4,4 მანეთით (იხ. ცხრილი 2).

1973 წელს შემოდგომის ხორბლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 10,6 ცენტნერით აღემატებოდა ურწყავი ფართობის შესაბამის მაჩვენებელს. ამასთანავე შესაბამისად მოსავლიანობისა ნაკლები იყო შრომის პირდაპირი დანახარჯები ერთ ცენტნერ პროდუქციაზე, ანუ უფრო მაღალი იყო შრომის მწარმოებლობა და დაბალი იყო პროდუქციის თვითღირებულება.

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა 1974 წელს, როდესაც სარწყავზე ურწყავთან შედარებით ჰექტარობრივი მოსავლიანობა მართალია მეტია 3,7 ცენტნერით, მაგრამ წინა წლებთან შედარებით ეს განსხვავება თითქმის 3-ჯერ ნაკლებია, რის გამოც 2-ჯერზე მეტად შემცირდა განსხვავება შრომის პირდაპირი დანახარჯებისა ერთ ცენტნერ შემოდგომის ხორბალზე, ე. ი. გაიზარდა შრომის მწარმოებლობა, რაც მოხდა პროდუქციის თვითღირებულების 3,66 მანეთით შემცირების პირობებში.

შემოდგომის ხორბლის ნათესების მორწყვის ეფექტურობის მაჩვენებლები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში*

რაიონების დასახელება	სარწყავზე ურწყავთან შედარებით 1972 წელს			სარწყავზე ურწყავთან შედარებით 1973 წელს			სარწყავზე ურწყავთან შედარებით 1973 წელს		
	შემოდგომის ხორბალი პეტრობროვსკის მეთოდი + ნაკლები —	ფრომის პირდაპირი დანახარჯები ერთ ც. კს მეთოდი + ნაკლები —	ერთი ცენტნერი პროდუქციის თეოლოგიური მეთოდი + ნაკლები —	შემოდგომის ხორბალი პეტრობროვსკის მეთოდი + ნაკლები —	ფრომის პ/დ ერთი ცენტნერზე კს მეთოდი + ნაკლები —	ერთი ცენტნერი პროდუქციის თეოლოგიური მეთოდი + ნაკლები —	შემოდგომის ხორბალი პეტრობროვსკის მეთოდი + ნაკლები —	ფრომის პ/დ ერთი ცენტნერზე კს მეთოდი + ნაკლები —	ერთი ცენტნერი პროდუქციის თეოლოგიური მეთოდი + ნაკლები —
საგარეჯო	+ 9,8	- 1,98	-4,4	+ 10,61	-2,42	-2,83	+ 3,7	-1,01	-3,66
გურჯაანი	+ 1,94	- 0,91	-2,7	+ 7,0	-0,27	-2,04	-4,6	-2,29	-1,8
თელავი	+ 0,35	- 0,47	-2,56	- 2,7	+0,44	+0,48	-0,68	+0,7	-0,52
წითელწყარო	+ 7,0	+ 10,68	+ 3,7	1,15	+1,52	-0,33	-5,22	+1,93	-1,65
ყვარელი	+ 6,86	- 1,63	-3,08	+ 4,8	-0,92	-2,88	—	—	—
ლაგოდეხი	+ 21,86	+ 1,18	-2,4	+ 7,2	-1,61	-3,0	+2,8	+9,3	+1,9
სიღნაღი	+ 0,35	- 0,47	-2,56	- 2,7	+0,44	+0,48	-0,68	+0,7	-0,52

ცურჯაანისა და სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში სარწყავზე ურწყავთან შედარებით შემოდგომის ხორბალი მიღებულია უმნიშვნელოდ მეტი ან ნაკლები რაოდენობით, რის გამოც დიდად არ შემცირებულა შრომის პირდაპირი დანახარჯები ერთ ცენტნერ პროდუქციაზე და არც თვითღირებულება შემცირებულა მნიშვნელოვნად, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტად შემცირდა ვიდრე შრომითი პირდაპირი დანახარჯები. ე. ი. ჯერ კიდევ მთლიანად არაა მიღწეული რეზერვების ამოქმედება, თანაც იმ დროს როდესაც ამის შესაძლებლობა მართალია მეტნაკლებად, მაგრამ მინც ყველა რაიონში არსებობს.

* * *

მელიორაციის როლისა და მნიშვნელობის, აგრეთვე არსებული რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების ასპექტში საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მხოლოდ მელიორირებულ მიწებზე მიღებული მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა მიწათმოქმედების პროდუქციის საერთო მოცულობაში 42%-ს შეადგენს, ეს არც თუ დაბალია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სარწყავი და დაშრობილი მიწების რეალურ შესაძლებლობას, მათი ხვედრითი წილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო მოსავალში უფრო მაღალი უნდა იყოს⁹.

ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ჯერ-

* შედგენილია კოლმეურნეობათა შესაბამისი წლების წლიურ ანგარიშგებათა მასალების საფუძველზე.

⁹ გ. გაღელაია, სასურსათო პროგრამა და მიწების მელიორაციის საკითხები საქართველოში, თბ., 1983, გვ. 17.

ჯერობით ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში მორწყვის შედეგად ყველაზე კარგი მაჩვენებლები გვაქვს მეჩაიეობაში, ხოლო ყველაზე ცუდი მარცვლეულის მეურნეობასა და მებოსტნეობაში, რის შედეგადაც ყოველწლიურად ვკარგავთ 150 ათას ტონამდე მარცვლეულს, 35 ათას ტონამდე ბოსტნეულს და სხვა პროდუქტებს.

მელიორირებულ მიწებზე არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის, სპეციალისტების შეხედულებათა გათვალისწინებით, აუცილებელია თესვის ვადებისა და ნათესების სიმჭიდროვის ზუსტად დაცვა, კონდიციური თესლის გამოყენება, სასუქების შეტანა რეკომენდებული რაოდენობით, ნათესებისა და მრავალწლიან ნარგავთა დროზე და ხარისხიანად მორწყვა, დაშრობილი მიწებიდან ზედმეტი წყლის ამოქაჩვის ღონისძიებათა ჩატარება, რაც სამწუხაროდ ხშირად არაა დაცული.

ამასთან რწყვის ეფექტურობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვის რეჟიმს. „რწყვა მით უფრო საჭიროა, რაც უფრო მშრალია მიწა, იგი მით უფრო მაღალ ეფექტს იძლევა, რაც ნაკლებ სიღრმეზე გავრცელებული მცენარის ფესვთა სისტემა (მაგალითად, ბოსტნეული). ეს შედეგია იმისა, რომ ნიადაგის ზედა ფენა შედარებით ადრე შრება და მოკლევადიანი მცენარე ადრე იწყებს ჭკნობას, ვიდრე ღრმა ფესვიანი მცენარე, რომელიც ღრმა ფენების ტენით სარგებლობს“¹⁰.

ამჟამად სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლის ვითარებაში, ყველა შესაძლებლობა არსებობს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის; იგი მიღწეული უნდა იქნას მორწყვის, ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების, მექანიზაციის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, მატერიალური დაინტერესების ბერკეტების სრულად გამოყენების გზით.

Р. А. ЦХАДАЯ

ОРОШАЕМОЕ ЗЕМЛЕДЕЛИЕ В РАЙОНАХ КАХЕТИИ (1971—1975 гг.)

Резюме

Изучено развитие орошаемого земледелия в районах Кахетии за 1971—1975 гг. Проанализированы вопросы влияния его на производство сельскохозяйственной продукции, вообще на экономические показатели и экономику колхозов и совхозов данного региона.

Указано на большое значение интенсивного и рационального использования орошаемых земель. Приведено множество примеров для иллюстрации низкой урожайности в ряде совхозов и колхозов. Главная причина — недостаточное внимание орошению и комплексному проведению агротехнических мероприятий в общественных хозяйствах.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტლის ინსტიტუტის სოციალური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

¹⁰ ე. ნაკაიძე, შიდასამეურნეო სარწყავი სისტემების ექსპლოატაციისა და წყალსარგებლობის საკითხები, თბ., 1981, გვ. 24—25.

დალი შენგელია

მეხილეობა და მისი სანერგე მეურნეობა
საპარტიველოში ომამდე ხუთწლეულებში (1928-1937 წწ.)

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში თანდათანობით მზადდებოდა პირობები მეხილეობის მძლავრი სანერგე მეურნეობის შექმნისათვის.

ოცდაათიან წლებში სოფლის მეურნეობაში დაისვა საკითხი სპეციალიზაციის ფართოდ დანერგვის შესახებ. საქართველოს რიგ რაიონებსა და მიკრორაიონებში სოფლის მეურნეობის კულტურათა გაშენება მწარმოებლურ ძალთა გადაადგილების სოციალისტური პრინციპის მიხედვით ხდებოდა. 1930 წელს ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა მასში შემავალ რესპუბლიკებში ჩამოეყალიბებინათ და გაეფართოვებინათ მრეწველური მეხილეობა-მეზოსტნეობის სპეციალური კოლმეურნეობები. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ეს მეურნეობები განსაკუთრებით უნდა გაფართოებულყო ქალაქების შემოგარენის განსაზოგადოებულ სექტორში, რის გამოც აუცილებელი იყო მოემზადებინათ მეხილე-მეზოსტნეთა მაღალკვალიფიციური კადრები¹. ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, კოლმეურნეობების მოთხოვნითა და მშრომელი გლეხობის ფართო მხარდაჭერით, იქმნებოდა მათთვის უფრო ხელსაყრელი მეხილეობის მეურნეობები.

მეხილეობის სანერგე მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა პირველივე ხუთწლეულში (1928-1932 წწ.). პირველი ხუთწლიანი გეგმით, პირველ რიგში, დაისვა საკითხი არსებული სანერგე მეურნეობების აღდგენა-განვითარებისა, და ახალი სანერგე მეურნეობების შექმნის თაობაზე. ამავე დროისათვის შეიქმნა მეხილეობის მიმართულების საბჭოთა მეურნეობები, ხოლო კოლმეურნეობებში მკვეთრად გაიზარდა ხეხილის ბაღების ფართობები. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, სანერგეები იმგვარად უნდა მოწყობილიყო, რომ სათანადო მასალით უზრუნველყო როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კერძო სექტორი; ამასთან ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მოსახლეობისათვის ჯიშინი ნერგების მიწოდებას, სანერგეებისა და სათესლე მეურნეობების მოწყობას და სხვ. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ტრესტის მეხილეობის 3 მეურნეობას: შერეთის, გობორისა და სკრისას, რადგან ისინი უშუალოდ მეხილეობის ძირითად მწარმოებელ რაიონებში მდებარეობდნენ, ხოლო ბეთანია-

¹ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1473, ან. 1, საქმე 113, ფ. 3.

აქურისის და ყარაიაზის მეხილეობის შერწყმული მეურნეობები დამხმარე ხასიათს ატარებდა.

ახლად ჩამოყალიბებულ მეურნეობებში შედარებით ნელი ტემპით მაგრამ მაინც საგრძნობლად გაიზარდა ხეხილისათვის განკუთვნილი ფართობი. ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის მეურნეობათა დარგობრივი განვითარება— რეორგანიზაციის შედეგად ეს მაჩვენებელი თითქმის ერთიორად გადიდდა. გაიზარდა ხეხილის სანერგე მეურნეობებისა და ახალი ბაღების ფართობები, ამოღდა მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი. ერთიორად გადიდდა პროდუქციის გამოშვებაც, მაგალითად, თუ 1926-1927 წლებში საქართველოში გამოყვანილ იქნა 600 000 ცალი საძირე, 1928-1929 წწ. მისი წარმოება უკვე 775.000 ცალამდე გაიზარდა. შესაბამისად გადიდდა დამყვანი ნერგის გამოშვება და ეს მაჩვენებელი 1928-1929 წლებში 100 000 ცალს უღრიადა².

აღნიშნული სანერგეები მაინც ვერ აკმაყოფილებდა ხეხილის ბაღების ფართოდ გაშენების შედეგად გაზრდილ მოთხოვნილებას. საქართველოში ხეხილის სანერგეების მტკიცე ბაზის შექმნაში საყურადღებო ნაბიჯი გადაიდგა 1931 წელს. კერძოდ, ამ წელს სოფელ ბებნისში (ქარელის რაიონი) 200 ჰექტარზე მოეწყო სპეციალური ხეხილის სანერგე საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობაში ყოველწლიურად გამოყავდათ უმთავრესად თესლოვანი კულტურების 130-150 ათასი ცალი ნაყენი³.

ხეხილის სანერგე საბჭოთა მეურნეობებთან ერთად 1931 წლიდან კოლმეურნეობებში იქმნებოდა სანერგეების ბაზა. ყოველწლიურად ხეხილის სარგავ მასალაზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდებოდა, რის გამოც აუცილებელი გახდა მეხილეობის ყველა რაიონში საკოლმეურნეო სანერგეების მოწყობა. სანერგეების ქსელის გაფართოების აუცილებლობა განაპირობებდა იმანაც, რომ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში დაიგეგმა ბაღების გაშენება, თანაც გორის, თბილისისა და ქარელის რაიონებში თავმოყრილი ცენტრალური სანერგეებიდან სარგავი მასალის გადატანა სხვა რაიონებში დიდი მანძილის გამო ძნელი იყო. სარგავი მასალის დიდ მანძილზე გადატანა იწვევდა როგორც სარგავი მასალის თვითღირებულების ზრდას, ისე გზაში ამ მასალის დაზიანებას. ამგვარად, სანერგის ბაზამ საბჭოთა მეურნეობებიდან, საიდანაც 1934 წლამდე კოლმეურნეობები თითქმის მთლიანად მარაგდებოდნენ სარგავი მასალით, გადინაცვლა თვით კოლმეურნეობებში. ამგვარად, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ხეხილის სანერგეების გაშენებით სანერგე მეურნეობის მტკიცე ბაზა შეიქმნა. ხეხილის სანერგეების ქსელის გაფართოებასთან ერთად დაიხვეწა ხეხილის ასორტიმენტი, მეურნეობები დაეუფლნენ მაღალ აგროტექნიკას, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა სარგავი მასალის გამოყვანის ხარისხიც.

დიდი ყურადღება მიექცა კულტურული ხილეულის თესლით მომარაგების საკითხს, რაც სელექციონერთა ძირითადი საქმე იყო. 1932 წელს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებისა და რესპუბლიკისათვის მასიური სელექციის საწარმოებლად დამზადდა სხვადასხვა ხილეულის თესლი, კერძოდ,

² ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამსახურებრივი სარგებლობის ფონდი № 107, გვ. 14.

³ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამსახურებრივი სარგებლობის ფონდი № 107, გვ. 17.

სხვადასხვა ჯიშის 150 კგ თესლი და ა. შ. აქედან „შამპანური რენეტის“, „ორღენური რენეტის“, „კანდილ სინაპის“, „ზამთრის თეთრი“, „კალვილის“, „სემერენკოს რენეტის“, „თეთრი როზმარინის“, „სამეფო კალვილის“, „ბელ-ფლორისა“ და სხვა ჯიშის თესლი. დიდი მოთხოვნილება იყო მსხლის ისეთი ჯიშების თესლზე, როგორიცაა „ვილიამისი“, „ბერგბოსკი“, „კიურე“, „სენ-ჟერმენი“, „ზამთრის დეჰანი“, „ბერე არდანპონი“, „პანკრასანი“ და სხვ.

ბლის ჯიშებიდან დიდი მოთხოვნილება იყო „იტალიური ვენგერკის“, „მწვანე ლენკოტის“, „ანა შპოტის“, „ატმისებურის“, „ერიკის ჩამიჩებურის“ და სხვათა თესლზე. ქერმებიდან კი — „ლოყაწითელის“, „ამბროზიას“, „ანანასურის“, „მილანურისა“. ალუბლებიდან: „დედოფალი ვეგენიას“, „ანა დოლურის“, „პორტენზიისა“ და სხვა ჯიშების თესლზე.

1932 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობამ განსაკუთრებით გაამაზვილა ყურადღება სოფლის მეურნეობის ისეთ საკითხებზე, როგორც იყო: კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, სპეციალიზაციის გაღრმავება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კოლმეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობის ღონის ამაღლება და სხვ. ამასთან, ყრილობამ განიხილა მეხილეობის განვითარების პრობლემები. ამ მიმართულებით ცენტრალურ კომიტეტს დაევალა განეხორციელებინა მეხილეობა-მევენახეობის იანვითარების ტემპების კიდევ უფრო ამაღლების, სანერგე მეურნეობების დაჩქარებული ტემპით შექმნის, მეზამთრისა და მეციტრუსეობის განვითარების მაღალი ღონის უზრუნველყოფისა და სხვა ღონისძიებები.

1932 წლიდან მოეწყო სპეციალური სანერგეები ყინვის ამტანი მიჩურინის ჯიშის ნაყენების გამოსაყვანად. ასეთი სანერგეები მოეწყო კერძოდ, ყაზბეგის რაიონსა და ბებნისის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც შესაბამისად გამოყვანილ იქნა 3000 და 11 000 ცალი მიჩურინის ჯიშის ნაყენები. ამ ნაყენების გამოსაყვანად საჭირო კვირტი შემოიზიდეს ქალაქ მიჩურინსკიდან⁴.

1933 წელს სსრ კავშირის „მეხილეობისა და მებოსტნეობის კავშირმა“ საზღვარგარეთიდან, კერძოდ ფლორიდიდან შემოიტანა გრეიდრუტის ნერგები. 1934 წელს კი ხილისა და ციტრუსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სანერგე მასალა შემოიტანეს იტალიიდან, ალჟირიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან და სხვ.⁵

ხილკენკროვანების ფართო წარმოების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მექანიზაციისა და სხვა აგროლონისძიებათა წარმოებაში ფართოდ დანერგვას. ამიტომაც ოდესის (1932 წ.) სრულიად საკავშირო კონფერენციაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამაზვილდა მექანიზაციისა და აგროლონისძიებათა ფართოდ დანერგვა-განვითარების საკითხებზე, რომლის სრულყოფილად გადაწყვეტა მეორე ხუთწლეულში უნდა განხორციელებულიყო.

მეორე ხუთწლეულის დასაწყისისათვის ჩვენში მნიშვნელოვნად მრავლდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განთქმული ჯიშებიც, რომელნიც შესანიშნავად ეგუებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. ამ მიმართულებით ქართველმა მეხილე-სპეციალისტებმა დიდი

4 საქართველოს სოციალისტური მეურნეობა, 1941, № 4, გვ. 53.

5 საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 288, ს. 3145, ანაწ. 1, ფ. 45.

მუშაობა გასწიეს. ოდესის კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნეს მეხილეობაში ჩვენი და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის მიღწევები. ამ დარგში გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება — სპეციალისტები რეგულარულად გაეგზავნათ მივლინებით როგორც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, ისე საზღვარგარეთ.

მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ხეხილის ბაღების შეწამვლის და ამ მიმართებით სათანადო აგროღონისძიებათა ზუსტად დაცვისა და გატარებისათვის. ხეხილის ბაღებში გავრცელებული მავნებლებისა და სხვადასხვა დაავადებათა მოსპობა მთელ რიგ სიმწვლეებთან იყო დაკავშირებული.

საჭირო იყო არა მარტო არსებული ტექნიკური აღჭურვილობის ფართოდ გამოყენება, არამედ ახალი ტიპის მანქანა-იარაღების შექმნა, უფრო ეფექტური ქიმიური პრეპარატების მიღება და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ მხრივ მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავდა. სოფლის მეურნეობა მარაგდებოდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით. შხამქიმიკატებისათვის, რამდენადაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, გამოიყო დიდი კაპიტალური დაბანდებანი. უკვე მეორე ხუთწლედის დამდევისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მთლიანად შეიქმნა 8471 ჰა ხეხილის ბაღი, ხილი 1934 წლისათვის — 33200 ჰა, აქედან საქართველოს სსრ-ში ამავე წლისათვის — 15 000 ჰა, მათ შორის ძველი ბაღი — 11 000 ჰა, ახალი — 4000 ჰა.

სანერგე მეურნეობების განვითარებისათვის სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც ტარდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება, რომელიც საქართველოს სსრ მიწსახკომმა შეიმუშავა, იყო კონკურსი „საუკეთესო ბაღსა“ და „ხეხილის სანერგეზე“. კონკურსი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მასშტაბით ტარდებოდა და მასში მონაწილეობა შეეძლო როგორც განსაზოგადოებული, ისე პირადი სექტორის წარმომადგენლებს. კონკურსში მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი მოსავლის რაოდენობის, ხარისხის, ბაღების გასხვლის, წამლობის, მექანიზაციის დანერგვის, ხეხილის დარგვა-გახარების და სხვა სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულების შესახებ. კონკურსზე სულ 100 ჯილდო-პრემია დაწესდა, აქედან პირველი ხარისხის — 15, მეორე — 30 და მესამე — 55, პირველი ხარისხის ჯილდოდ დაწესებული იყო 300 მანეთი, 40 კგ შაბიამანი, სასხურებელი აპარატი და ათი მანეთის ღირებულების მებაღეობის შესახებ ლიტერატურა. სტიმულირების აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობდა მეხილეობის შემდგომ განვითარებას.

1934 წლისათვის როგორც რესპუბლიკის განსაზოგადოებულ, ისე პირადი სარგებლობის სექტორში მიღებულ იქნა საკმაოდ მაღალი მოსავალი და სახელმწიფომ შეისყიდა 16,1 ათასი ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, აქედან კურკოვანი — 2,2 ათასი ტონა და თესლოვანი — 13,9 ათასი ტონა⁶.

გადაჭარბებით იქნა შესრულებული, აგრეთვე ხმელი ხილის დამზადების ღებამაც, კერძოდ, 100 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიერ შესყიდულ იქნა 107,8 ტონა ხმელი ხილი⁷.

⁶ ЦГАОРСС, ф. 660, оп. Т, д. 3650, л. 31.

⁷ Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сб., Т. Т6., 1967, с. 347.

⁸ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 660, ანაწ. 1, საქ. 4892, ფ. 40.

ხეხილის ფართობის ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა სანერგეების ფართობის გადიდებასაც. კერძოდ, 1934 წელს სანერგე პლანტაციებს ეკავა 42,56 ჰექტარი, ხოლო 1935 წელს — 75,5 ჰექტარი⁹. საბჭოთა მეურნეობები თავის სანერგეებში გამოყვანილი ნამყენი მასალით დიდ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეების პირად მეურნეობებს. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობათა შორის ხეხილის სანერგეების ფართობის განაწილების შესახებ ნათულ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები:

ხეხილის სანერგე მეურნეობის განვითარება საქართველოს სსრ (1921-1937 წწ.)¹⁰ ცხრილი 1

წლები	რაოდენობა	სანერგეების ფართობი ჰექტარობით		სულ
		მეურნეობები	კოლმეურნეობები	
1921	2	3	—	3
1928	2	5	—	5
1931	7	55	4	59
1933	12	90	74	164
1935	27	94	118	212
1937	38	59	248	307

ხეხილის ნარგავთა ფართობი საბჭოთა მეურნეობებში 1937 წ. მკვეთრად შემცირდა, რაც გამოწვეული იყო 1936 წ. საკ. კპ(ბ) ცკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე: „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების ნაწილის, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციათა მეურნეობის ლევიდაციის, საბჭოთა მეურნეობიდან და სხვა მეურნეობიდან ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამის ხარჯზე კოლმეურნეობათა მიწების გადიდების შესახებ“. 1937 წ. საბჭოთა მეურნეობათა საერთო ფართობი თუმცა შემცირებულია, კოლმეურნეობებისათვის მისი ერთი ნაწილის გადაცემის გამო, მაგრამ ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი ფაქტორია, კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის შემდგომი განმტკიცების, მიწათსარგებლობის გაფართოებისა და მათი შემოსავლიანობის ზრდის საქმეში.

მეხილეობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. ივნისის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება — სახელმწიფო სანერგე სასელექციო სადგურებისა და მეურნეობების შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „როგორც წესი, თვითეულ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, გამოჩაყლისის სახით დაუშვას ერთი სასელექციო სადგურის მიერ ორი-სამი ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურება მხოლოდ იმ შემ-

⁹ სამტრედიის საუწყებო არქივი, ფ. 1, საქ. 1203, ფ. 5.

¹⁰ ალ. ბუჩუკური, მეხილეობა საქართველოში, თბ., 1940, გვ. 15, იხ. აგრეთვე საქართველოს მეხილეობა, ტ. 1, გვ. 498.

თხვევაში, თუ ნათი ჰავისა და ნიადაგის პირობები ერთმანეთს ემსგავსება¹¹. პლენუმმა სასელექციო სამუშაოების ფართოდ გაშლის, ჯიშთა შერჩევისა და გამოყვანის საქმეში მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად დააწესა სხვადასხვა სახის წინახალისებელი ჯილდო — პრემიები, რაც სტიმულირების მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა.

როგორც ახალი ბაღების გაშენების, ისე ძველის აღდგენის სამუშაოთა წარმოების უზრუნველსაყოფად კვლავინდებურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასარგავი მასალის ფართოდ წარმოებას (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ხეხილის ნერგის წარმოება კულტურების მიხედვით საქართველოს სსრ-ში 1935-1937 წწ.¹²

კულტურების დასახელება	1935 წ.		1937 წ.	
	აბს. ათასობით	%	აბს. ათასობით	%
ვაშლი	280	52,3	280	39,3
მსხალი	60	11,2	76	10,7
კომში	1	0,2	2	0,3
სულ თესლოვანები	341	63,7	358	50,3
ატამი	36	6,7	84	11,8
გარგარი	1	0,2	20	2,8
ქლიავი	12	2,3	41	5,8
ბალი	22	4,1	22	3,1
ალუბალი	9	1,7	9	1,2
სულ კურკოვანები	80	15,0	176	24,7
ნუში	22	4,1	54	7,6
ლელეი	12	2,3	17	2,4
ბროწეულა	34	6,3	36	5,1
ხურმა	1	0,2	6	0,8
სულ მშრალი სუბტროპიკები	69	12,9	113	15,9
თხილი	44	8,2	64	9,0
კაკალი	1	0,2	1	0,1
სულ კაკლოვანები	45	8,4	65	9,1
სულ	535	100,0	712	100,0

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ნერგის წარმოება გაიზარდა. ასე მაგალითად, 1937 წელს 1935 წელთან შედარებით მეტნაკლები ზომით გაიზარდა თესლოვანების, კურკოვანების, მშრალი სუბტროპიკებისა, თუ კაკლოვანი კულტურების ნერგის წარმოება. აბსოლუტურ მაჩვენებლებში ყოველგვარი ნერგის წარმოებამ 1935 წლის 535 ათასის ნაცვლად 1937 წელს 712 ათასი შეადგინა.

გამოყვანილი ნერგის საერთო რაოდენობაში განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო თესლოვანები. ასე, მაგალითად, 1935 წ. მან გამოყვანილი ნერგების საერთო რაოდენობის 63,7; ხოლო 1937 წ. 50,3 პროცენტი შეადგინა. ხოლო თესლოვანებში ვაშლის ნერგის ხვედრითი წილი შესაბამისად 82,1 და 78,2 პროცენტს უდრიდა.

¹¹ სკვ ყრილობების, კონფერენციების და ცკ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, მეშვიდე გამოცემა, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 412.

¹² საქ. სსრ ორბესა, ტ. 660, ანაწ. I, საქ. 6024, ტ. 84.

ნერგის წარმოება განსაკუთრებით გაფართოვდა განსაზოგადოებულ სექტორში, წარმოების რაციონალურად გაძლიერების მიზნით მეხილეობის ძირითად რაიონებში ვადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ადგილობრივი სანერგე მეურნეობების იმ აგროტექნიკურ დონეზე მოწყობა-გაფართოებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას. ამ ტიპის სანერგე მეურნეობების გაფართოება ძირითადად უნდა მომხდარიყო არსებული სანერგე მეურნეობების ბაზაზე, რომელთაც უკვე გააჩნდათ სათანადო ტრადიციები და საჭირო იყო მათი თანამედროვე ტექნიკით შეიარაღება, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, სასუქებისა და შხამქიმიკატების ფართოდ მომარაგება და სხვ. ამ გზით შეიძლება მეხილეობის პროდუქციის წარმოების გადიდება, საერთოდ ამ დარგის როლის ამაღლება მეხილეობის რაიონების ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

Д. Л. ШЕНГЕЛИА

ПЛОДОВОДСТВО И ЕГО ПИТОМНИКОВОЕ ХОЗЯЙСТВО
В ГРУЗИИ В ДОВОЕННЫЕ ПЯТИЛЕТКИ
(1928—1937 гг.)

Резюме

В течение довоенных пятилеток особое внимание было обращено на увеличение площади питомников, ассортимента плодов по микрорайонам, специализацию, правильную организацию заготовок — переработку плодов, усиление агропомощи.

С целью развития плодородческого питомникового хозяйства в совхозах развели много новых питомников, а старые питомники расширили.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

იაკოვ უშტარაძე

დიდი ოქტომბერი და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ლიენიშური პრინციპის დამკვიდრება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიო ისტორიის გარდამტეხი მოვლენაა. მან, როგორც ეს სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაშია აღნიშნული, განსაზღვრა მსოფლიო განვითარების გენერალური მიმართულება და ძირითადი ტენდენციები, დასაბამი მისცა კაპიტალიზმის — კაცობრიობის ისტორიის ამ უკანასკნელი ექსპლუატატორული წყობილების მსხვერვისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით მისი შეცვლის შეუქცევად პროცესს.

ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოეთმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი და სახელოვანი გზა განვლო, ახლებურად წარმართა საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და, კერძოდ, ეროვნული ურთიერთობანი, ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემა. „სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. ოქტომბრის გამარჯვებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ერებისა და ეროვნებების ეროვნულ ჩაგვრასა და არათანასწორუფლებიანობას. უდიდესი როლი შეასრულა ნებაყოფლობის საწყისებზე თავისუფალი, თანასწორუფლებიანი ხალხების გაერთიანებამ ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. სოციალისტური მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილია ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების სწრაფი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი. წარსულს ჩაბარდა ეროვნული შუღლი, ცხოვრების ნორმა გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა, მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება“¹.

ბუნებრივია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სათანადო ყურადღება მიექცა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიისა და მისი დღევანდლობის საკითხებს. მ. ს. გორბაჩოვის იმ მითითების გათვალისწინებით, რომ „დიდად უნდა დავაფასოთ ჩვენი 70-წლიანი საბჭოთა ისტორიის თითოეული წელიწადი“, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესებს მართებულად მიიჩნევენ² დაჩქარების სტრატეგიის აქტუალურ ასპექტებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ სადღეისო პრობლემად.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად დაანგრია რუსეთის იმპერია, რომელიც 100-ზე მეტი ეროვნების ხალხს აერთიანებდა. ასეთი უზარმაზარი

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია (მიღებულია სკკპ XXVII ყრილობის მიერ), თბ., 1986, გვ. 11.

² იხ. Журавлев Вит., Журавлев Вал., Историзм мысли и действия. — «Правда», 5 июня 1987 г., № 156, с. 3.

მრავალეროვანი ქვეყნის სახელმწიფო წესწყობილება უნიტარული იყო. იმპერიის მოსახლეობის უმრავლესობას არარუსები შეადგენდნენ. ერთადერთ ოფიციალურ ენად რუსული იყო გამოცხადებული. არარუსი მოსახლეობა სასტიკ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა. ცარიზმი აშკარად და ცინიკურად ახორციელებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას, რის გამოც იმპერიამ სამართლიანად დაიმკვიდრა „ხალხთა საპყრობილის“ საძრახისი სახელი. ვ. ი. ლენინი 1914 წლის აპრილში მიუთითებდა, რომ შავრაზმელების პოლიტიკა სხვადასხვა ერის ინტერესთა დაპირისპირებაზე იყო აგებული: „აიღეთ რომელიც გნებავთ შავრაზმელი გაზეთი და თქვენ დაინახავთ, რომ „უცხოტომელთა“ დევნა, რუს გლეხსა, რუს მეშჩანსა, რუს ხელოსანსა და ებრაელ, ფინელ, პოლონელ, ქართველ. უკრაინელ გლეხსა, მეშჩანსა, ხელოსანს შორის ურთიერთუნდობლობის გაღვივება — აი ის პური, რომლითაც მთელი შავრაზმელი ბანდა იკვებება“³.

იმპერიის არარუსი მოსახლეობის უფლებების სერიოზული შეზღუდვის უპირველეს გამოხატულებას საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის უქონლობა წარმოადგენდა. ლენინური ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს სწორედ ეს პრობლემა, საკუთრივ რუსეთისა და მთელს იმპერიაში მყოფი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი შეადგენდა. საერთოდ, რევოლუციამდელ რუსეთში მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ისეთი პროგრამა, რომელიც იმპერიაში გაერთიანებულ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამებოდა. ასეთი პროგრამა არც ერთ ბურჟუაზიულ და წერილობურქუაზიულ პარტიას არ ჰქონდა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის კომუნისტური პროგრამა ლენინის ხელმძღვანელობით, მისი თეორიული ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამ პროგრამის ამოსავალი დებულება ისაა, რომ ეროვნული თანასწორუფლებიანობის ცნება ნიშნავს თანასწორობას „ყველაფერში, მათ შორის სახელმწიფოს მშენებლობაშიც, „საკუთარი“ სახელმწიფოს აგების ცდაშიც“⁴.

ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში ლენინი ცარიზმის დამხობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რევოლუციური ბრძოლის წარმატებისათვის ახალ პირობებში საჭიროა რუსეთის ხალხებს მიეცეთ უფლება და შესაძლებლობა შექმნან თავიანთი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები.

ვ. ი. ლენინი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალიზმის პრინციპებზე შექმნილი ეროვნული რესპუბლიკები თვითონ, ნებაყოფლობით დაამყარებდნენ რუსეთის სოციალისტურ სახელმწიფოსთან ფედერაციულ ურთიერთობას.

ამგვარად, ვ. ი. ლენინმა დასახა ეროვნული სოციალისტური რესპუბლიკების შექმნისა და მათი გაერთიანების საფუძველზე ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ფედერაციის სუბიექტები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ სოციალიზმის საწყისებზე შექმნილი სახელმწიფოები. „ჩვენ, — ამბობდა ლენინი, — გვსურს რევოლუციური შეერთება, ამიტომ არ ვაყენებთ საერთოდ ყველა და

³ ლენინი ვ. ი. თხ., ტ. 20, გვ. 282-283.

⁴ ლენინი ვ. ი., თხ., ტ. 22, გვ. 431.

ყოველგვარი სახელმწიფოს გაერთიანების ლოზუნგს, რადგან სოციალური რევოლუცია დღის წესრიგში აყენებს მხოლოდ იმ სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომლებიც გადავიდნენ და გადადიან სოციალიზმზე⁵,

ვ. ი. ლენინის მოსაზრებები და დებულებები ეროვნული საკითხის, რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ აისახებოდა პარტიის პროგრამასა და სხვა სათანადო პარტიულ დოკუმენტებში. მათი განხორციელების წინაპირობას, საფუძველს სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენდა.

ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ლენინური პრინციპის ხორცშესხმარუსეთში ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო. მას საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად და უწყვეტად ატარებდა ცხოვრებაში.

პირველი სახელმწიფოებრივი აქტი, რომელშიც ოფიციალურად აისახა საბჭოთა ხელისუფლების პოზიცია რუსეთის იმპერიაში მყოფი ხალხების მიმართ, იყო საბჭოების II ყრილობის მიმართვა მშრომელებისადმი⁶ იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღესვე, 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) არის მიღებული, როცა ზამთრის სასახლეში ჯერ კიდევ დროებითი მთავრობა იმყოფებოდა და აჯანყებულთა რაზმები მის ასაღებად იბრძოდნენ ყრილობის ამ მიმართვაში მუშებისადმი, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი გამოცხადებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება სხვა საჭირობორტო საკითხების გადაწყვეტასთან ერთად უზრუნველყოფს რუსეთში მოსახლე ყველა ერისათვის თვითგამორკვევის ნამდვილ უფლებას.

ასევე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოების ყრილობის მუშაობის მეორე დღეს მიღებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს აქტშიც, როგორც არის დეკრეტი ზავის შესახებ, აღიარებულია დიდი თუ ძლიერი სახელმწიფოების საზღვრებში იძულებითი მყოფი პატარა ან სუსტი ხალხებისა და ერების უფლება, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გადაეწყვიტათ საკითხი თავიანთი არსებობის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ. საწინააღმდეგო ერთარებას დეკრეტი ანექსიად, ე. ი. დაპყრობად და ძალმომრეობად განიხილავდა.

საბჭოების ყრილობის ამ ფუძემდებლური აქტების ბაზაზე საბჭოთა მთავრობამ გამოსცა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ და დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებანიც განახორციელა.

„რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“⁷ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კონსტიტუციურ აქტსა და ამავე დროს საპროგრამო დოკუმენტსაც წარმოადგენდა. იგი 1917 წლის 2 (15) ნოემბერს გამოსცა სახალხო კომისართა საბჭომ. მასში დეკლარირებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო და გადაჭრით გატარებულიყო რუსეთის ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება. რუსეთის ხალხთა ერთმანეთისადმი წასისიანება-წყაიდებისა და ურთიერთუნდობლობის გავლევების ცარიზმისეული და ბურჟუაზიული მთავრობის დროინდელი პოლიტიკა მისგან გამომდინარე სხვადასხვაგვარი უარყოფითი შედეგებით ამიერიდან რუსეთის ხალხთა ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავ-

⁵ ლენინი ვ. ი., თხზ., ტ. 26, გვ. 199.

⁶ Образование СССР (сб. док.), М., 1972, с. 17—18.

⁷ Декреты Советской власти, т. I, М., 1957, с. 39—41.

შირის, სრულ ურთიერთდობაზე დამყარებული პოლიტიკით უნდა შეცვლილიყო.

სახალხო კომისართა საბჭომ, — ნათქვამია დეკლარაციაში, — გადაწყვიტა თავის საქმიანობას რუსეთის ერებთან მიმართების საკითხში საფუძვლად დაედოს შემდეგი საწყისები: 1) რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენულობა; 2) რუსეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლება გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით; 3) ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიებისა და შეზღუდვების გაუქმება; 4) რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება.

ეს პრინციპები მომდევნო პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ თანამიმდევრულად განახორციელა და კონკრეტული აქტებით დაადასტურა.

ხალხთა პოლიტიკური ბედის თავისუფლად განსაზღვრისა და საკუთარი ეროვნული ცხოვრების დაუბრკოლებლად მოწყობის უფლება გამოცხადებულია სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 20 ნოემბრის (3 დეკემბრის) სხდომაზე მიღებულ მიმართებაში „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი“. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 29 დეკემბრის (11 იანვრის) დეკრეტი „თურქეთის სომხეთის“ შესახებ, რომლის განხორციელებას ხელი შეუშალა იმ დროს შექმნილმა ვითარებამ. ამ დეკრეტით სახკომსაბჭომ გამოუცხადა სომეხ ხალხს, რომ იგი მხარა უჭერს რუსეთის მიერ ოკუპირებული „თურქეთის სომხეთის“ სომეხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრული დამოუკიდებლობის ჩათვლით⁸.

ამგვარად, „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“ და საბჭოთა ხელისუფლების სხვა სათანადო აქტებში საკანონმდებლო წესით განამტკიცეს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საყოველთაო უფლება. საბჭოთა მთავრობა პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ამ უფლების განხორციელებას.

ასეთ ვითარებაში რუსეთის სხვადასხვა ეროვნულ რაიონებში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა არარუს ეროვნებას მათი საკუთარი რესპუბლიკები ან ავტონომიური ოლქები მისცა. ეს გარემოება, ერთი მხრივ, მოასწავებდა რუსეთის ძველი ერთიანობის („ერთიანისა და განუყოფელის“) მსხრევას და, ცხადია, შესაბამის ტერიტორიულ ცვლილებებს (რუსეთის ტერიტორიის შემცირებას); მეორე მხრივ კი იგი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ახალ ერთიანობას, საბჭოთა საწყისებზე მოწყობილ რესპუბლიკებს შორის მჭიდრო სახელმწიფოებრივი კავშირ—ურთიერთობის დამყარებას.

გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შინაარსით გავებული თვითგამორკვევის უფლების განხორციელების შედეგად ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალმა ხალხებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ახალშექმნილი სახელმწიფოები სამ ჯგუფად განიყოფებოდნენ. ესენია — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები (უკრაინა და სხვ.), ბურჟუაზიული

⁸ Декреты Советской власти, т. I, М., 1957, с. 113—115, 298—299.

რესპუბლიკები (მაგ., ფინეთი) და საბჭოთა ტიპის სახალხო რესპუბლიკები (სახელდობრ, ტუვის, ხორეზმისა და ბუხარის).

ამათგან ბურჟუაზიული რესპუბლიკები საცვებით გამოეყვნენ საბჭოთა რუსეთს, გაწყვიტეს მასთან ყოველგვარი სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი და დაამყარეს მართოდენ საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა.

ასევე საერთაშორისო-სამართლებრივ, მაგრამ უფრო ახლო, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საბჭოთა რუსეთთან სახალხო რესპუბლიკები. სახალხო რესპუბლიკა, მართალია, არ იყო საზოგადოების სოციალისტური პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ იგი მით უფრო არ წარმოადგენდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. საბჭოთა სახალხო რესპუბლიკა იყო საზოგადოების ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაზრდის ტენდენციას იჩენდა.

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთთან დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, აქ საერთაშორისო-სამართლებრივს უდავოდ სჭარბობდა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა. ეს რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთთან ფედერაციულ ურთიერთობას ამყავდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო პერიოდში, 1917-1919 წლების განმავლობაში, დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნა ასეთი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ცნო რუსეთის საბჭოთა მთავრობამ: 1917 წლის 4 (17) დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ ცნო უკრაინის, იმავე წლის 18(31) დეკემბერს კი — ფინეთის დამოუკიდებლობა; 1918 წლის 7 (20) დეკემბერს — ესტონეთის, ხოლო იმავე წლის 22 დეკემბერს — ლატვიის და ლიტვის დამოუკიდებლობა. 1919 წლის 4 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ბელორუსიას სსრ-ის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნას საკანონმდებლო წესით განამტკიცებდა შესაბამისი სახელმწიფოების ძირითადი კანონები — კონსტიტუციებია. ფინეთის: 1919 წლის კონსტიტუციის პირველ კარში („ძირითადი დებულებანი“) დადგენილია (§ 1), რომ ფინეთი არის სუვერენული რესპუბლიკა⁹. ბელორუსიას სსრ კონსტიტუციაში (მიღებულია 1919 წლის 3 თებერვალს) ჩაწერილია: ბელორუსია ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების რესპუბლიკად (მუხ. 1)¹⁰.

რუსეთის იმპერიის ნაგრევებზე წარმოქმნილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ცნობას საბჭოთა რუსეთი მისი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სახით სხვადასხვაგვარი აქტის მეშვეობით ახორციელებდა.

რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ახალი რესპუბლიკების შექმნას დერეგტების გამოცემის გზით ცნობდა, ხოლო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს დადგენილების სახით ღებულობდა. კერძოდ, 1918 წლის 23 დეკემბერს ცაქმა მიიღო დადგენილება ესტლანდიის, ლიტვისა და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, რი-

⁹ Конституция буржуазных государств Европы, М., 1957, с. 881.

¹⁰ Образование и развитие Союза ССР (в документах), М., 1973, с. 114.

თაც დადასტურა სახკომსაბჭოს შესაბამისი აქტი, აგრეთვე ის, რომ იმპერიო-სადმო ამ ქვეყნების წინანდელი კუთვნილების ფაქტი მათ არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს. ამასთან ცაქმა გამოთქვა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერის მშრომელთა ნებაყოფლობითი და ურღვევი კავშირის შექმნის მტკიცე რწმენა, აღუთქვა ხსენებულ რესპუბლიკებს რსფსრ-ის მხრივ საჭირო დახმარების გაწევისა და მხარის დაჭერის მზადყოფნა.

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს ლატვიის დამოუკიდებლობის შესახებ სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერდა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი, ხოლო ლიტვის შესახებ — აგრეთვე სახკომსაბჭოს მდივანიც. რაც შეეხება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას ესტლანდიის, ლიტვისა და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, იგი ცაკის თავმჯდომარის, სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და ცაკის მდივნის ხელმოწერით გამოვიდა. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებას ბელორუსიის სსრ-ის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ კი არ ერთეულ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერა.

ამგვარად, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ესტლანდიის, ლიტვისა და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ აქ მოხსენიებული სხვა აქტებისაგან გამოირჩევა იმ მხრივ, რომ მას ხელს აწერს არა მარტო ამ სამხელმწიფო ორგანოს სათანადო წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი). ასეთი ვითარება და თვით ის გარემოებაც, რომ ხსენებული აქტი რსფსრ-ის უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის გამწევი ორგანოს — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გამოვიდა, ეტყობა, აიხსნება საკითხის ორმხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობით: საქმე შეეხება, ერთი მხრივ, ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოს ერთობლივად; მეორე მხრივ გათვალისწინებული იყო ამ რეგიონის ისტორიული წარსული და მისი ადგილი საერთაშორისო-პოლიტიკურ ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის აქტიც სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადასტურა.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას საბჭოთა მთავრობა სპეციალური დეპუტატთა ცნობდა და ადასტურებდა. სახელდობრ, 1920 წლის 5 მაისს ასეცნო რუსეთის საბჭოთა მთავრობამ აზერბაიჯანის სსრ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა ყოფილი იმპერიის ფარგლებში შექმნილ რესპუბლიკებთან აფორმებდა ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებშიც ცნობდა შესაბამისი სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას. ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს საბჭოთა მთავრობა დებდა როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულსა და აგრეთვე სახალხო რესპუბლიკებთან. ასეთი გაფორმება 1920 წელს დაიწყო.

ამგვარი ხელშეკრულება საქართველოსთან საბჭოთა რუსეთმა ორჯერ დადო¹¹.

11 იხ.: Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами, вып. I, Петроград, 1921, с. 27—33; История Советской Конституции (в документах), М., 1957, с. 299—300.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და საშრობის სერია, 1987, № 4

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრებლად გატარების თვალსაჩინო დადასტურებაა. საკმარისია იმის თქმა, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა რუსეთის ყოველგვარ წინანდელ უფლებაზე ქართული მიწა-წყლის მიმართ, უსიტყვოდ, უღათქოდ ცნო საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ვალდებულება იკისრა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში.

1921 წლის 21 მაისს საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოებს შორის გაფორმდა მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური საქართველოს სუვერენულობის საერთაშორისო აღიარებისთვის. მანაც, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, კვლავაც ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიისადმი ქართული მიწა-წყლის წინანდელი ფაქტობრივი კუთვნილების გამო საქართველოს არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა.

უფრო ადრე, სახელდობრ კი 1920 წლის 16 იანვარს მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება დაიდო რსფსრ-სა და ბელორუსიის სსრ შორის. იმავე წლის 28 დეკემბერს ასეთი ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთმა უკრაინის სსრ-თან გააფორმა. ორივე აქტში ერთნაირად იყო აღნიშნული, რომ ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების მთავრობები, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე, ცნობენ ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობდა საგარეო ურთიერთობის ორგანოები. მათში შექმნილი იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები. რესპუბლიკებს შორის ზღვებოდა დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა გაცვლა და ა. შ. რსფსრ-თან ერთად სხვა რესპუბლიკებიც მხარეების სახით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებში¹².

ამასთან, დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები მისწრაფობდნენ რსფსრ-თან ფედერაციული კავშირ-ურთიერთობის დამყარებასაც. რკპ(ბ) VIII ყრილობა (1919 წლის 18-23 მარტი) ეროვნულ ურთიერთობათა დარგში მოითხოვდა „საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილი სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას“¹³. ყოველივე ამის გათვალისწინებით სრულიად რუსეთის ცაკმა 1919 წლის 1 ივლისს მიიღო დეკრეტი მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლისათვის რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ. იგი ითვალისწინებდა ხსენებული რესპუბლიკების არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკურ (სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა დარგების) ერთიანობას.

ასეთი ურთიერთობის ფონზე ზემოხსენებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებანი მეტად საყურადღებო აქტებად წარმოგვიდგება.

როგორც უკვე ითქვა, რსფსრ-სა და სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის დადებულ ასეთ აქტს „მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება“

¹² История Советского государства и права, кн. I, М., 1968, с. 481.

¹³ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 580.

ერქვა. ამ სახელწოდებაში ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: ჯერ ერთი, მასში გამოხატულია ხელშეკრულების კლასობრივი ბუნება და დანიშნულება — მხარეთა შორის დადებული აქტი მუშურ-გლეხურია, ამ კლასების ინტერესების შესაბამისია; მეორეც, მასში ასახულია ხელშეკრულებით დამყარებული და განმტკიცებული იურიდიული ურთიერთობის რაობა — მხარეთა ურთიერთმიმართება კავშირის ხასიათისაა. — ახლო, მჭიდრო ურთიერთობის, სიახლოვის, ერთიანობის ნიადაგზეა დაფუძნებული. ორივე ეს მომენტი გაპირობებული იყო იმით, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთი და იმავე ტიპის სახელმწიფოებს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს წარმოადგენენ. მეორე მომენტის — კავშირის — შინაარსი პირველი ნიშან-თვისების — კლასობრიობის — პრინციპით განისაზღვრებოდა.

რამდენადმე განსხვავებული ბუნებისა იყო რსფსრ-სა და საბჭოთა სახალხო რესპუბლიკებს შორის დადებული ხელშეკრულება.

ასეთი ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთმა ჯერ (1920 წელს) გააფორმა ხორეზმის, ხოლო შემდეგ (1921 წელს) ბუხარის სახალხო რესპუბლიკებთან. ჩვენთვის საინტერესო საკითხები ორივე ხელშეკრულებაში ანალოგიურად იყო წარმოდგენილი. ქვემოთ, ნიმუშად, ქრონოლოგიურად პირველი (ე. ი. რუსეთსა და ხორეზმს შორის დადებული) ხელშეკრულება განიხილება.

1920 წლის 13 სექტემბერს მოსკოვში დაიდო „საკავშირო ხელშეკრულება რსფსრ-სა და ხორეზმის საბჭოთა სახალხო რესპუბლიკას შორის“ (შედგენილი იყო ორ ავთენტიკურ ეგზემპლარად რუსულ და უზბეკურ ენებზე; რატიფიკაციის სიგელები ვაიცვალა მოსკოვში 1921 წლის 9 მარტს)¹⁴.

ამგვარად, ამ აქტს „საკავშირო ხელშეკრულება“ ეწოდებოდა. მართალია, პრეამბულაში გამოცხადებულია მხარეთა გადაწყვეტილება — ერთმანეთს შორის „დაამყარონ მტკიცე კავშირი“, მაგრამ მაინც ეს არ იყო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება და, ცხადია, ასეთად არც იწოდებოდა. ხელშეკრულების სახელწოდებიდან „მუშურ-გლეხურის“ გამოთიშვა იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა სახალხო რესპუბლიკა თავისი კლასობრივი არსით განსხვავდებოდა რსფსრ-გან, იგი არ იყო სოციალისტური სახელმწიფო.

საკავშირო ხელშეკრულებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახები დებულებაც სხვანაირად იყო ჩამოყალიბებული, ვიდრე მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებაში. საკავშირო ხელშეკრულებით განმტკიცებული იყო, ასე ვთქვათ, არა ორმხრივი, არამედ მხოლოდ ცალმხრივი ცნობის აქტი — ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის დამოუკიდებლობის ცნობა რსფსრ-ის მხრივ. მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულების მიხედვით კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე მხარე — რსფსრ და ხელშეკრულების დამდები მეორე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ცნობდა თითოეული ხელშეკრევი მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას.

ამასთან, დებულება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ საკავშირო ხელშეკრულებაში უფრო ვრცლად, დამატებითი მომენტებით იყო წარმოდგენილი, ვიდრე მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებაში. ამ უკანასკნელში ლაპარაკი იყო თითოეული ხელშეკრევი მხარის „და-

¹⁴ ხელშეკრულების ტექსტი იხ. გამოცემაში: Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами, вып. I, Петроград, 1921, с. 23-26.

მოუცილებლობისა და სუვერენულობის ცნობის“ შესახებ. ამის შესატყვისად საკავშირო ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო „სრული თვითმყოფლობისა და დამოუცილებლობის უსიტყვოდ ცნობა“. ამავე დროს დამატებით იყო მითითებული: 1) რუსეთის ყოფილი მთავრობის კოლონიურ პოლიტიკაზე აწ ხელშეწყობილი სახალხო რესპუბლიკის მიმართ; 2) დამოუცილებლობის უსიტყვოდ აღიარებიდან გამომდინარე შედეგების ცნობაზე; 3) აწ ხელშეწყობილი სახალხო რესპუბლიკის მიმართ რუსეთის წინანდელი მთავრობების მიერ დადგენილ ყველა უფლებაზე ხელის აღების შესახებ.

სადირებელია, რომ ასეთი სხვადასხვაობა, ერთი მხრივ, რსფსრ-სა და ბელორუსიის და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის დადებულ მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებებსა და, მეორე მხრივ, რსფსრ-სა და ზორეზმის და ბუხარის საბჭოთა სახალხო რესპუბლიკებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში, — ზემოხსენებული დამატებითი გარემოებების აღნიშვნა ზორეზმისა და ბუხარის სახელმწიფოებრივი დამოუცილებლობის ცნობასთან დაკავშირებით წარმოადგენდა რუსეთთან, ერთი მხრივ, მათი და, მეორე მხრივ, უკრაინისა და ბელორუსიის სხვადასხვა დონისა და ხასიათის ისტორიული კავშირ-ურთიერთობის გამობატულებას. უდავოდ მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებდა ლენინი აღმოსავლეთის ხალხების მიმართ საბჭოთა პოლიტიკის შემუშავება-გატარებასა და ფართო პროპაგანდას.

მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარება იყო ასახული რსფსრ-სა და ყოფილი იმპერიის ფარგლებში შექმნილ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს შორის დადებულ სამშვიდობო თუ საზავო ხელშეკრულებებში. ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცანით რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ასეთ ხელშეკრულებას. ამ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ზემოთ განხილული მსგავსი აქტებისაგან განსხვავებით, აღინიშნებოდა ის მეტად მნიშვნელოვანი დებულება, რომ რსფსრ-თან ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკის ხალხისა და მიწა-წყლის რუსეთისადმი წინანდელი მიკუთვნება და მისგან დამოკიდებულება ხელშეწყობილ სახელმწიფოს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა.

ასეთი შინაარსისა იყო, მაგალითად, რსფსრ-სა და ბალტიისპირეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს შორის 1920 წელს დადებული საზავო ხელშეკრულებები კავშირ-ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ხსენებულ საზავო ხელშეკრულებებში აისახა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი კონცეფცია. მათში აღიარებული იყო ხალხთა თავისუფალი ერთეული თვითგამორკვევის უფლება გამოყოფის ჩათვლით, სახელმწიფოთა შორის საზღვრების სამართლიანად განსაზღვრა, ხელშეკრულების ხელის მოწერი სახელმწიფოს განთავისუფლება რევოლუციამდელი რუსეთის ვალების გადახდისაგან, ერთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მეორის ჭარბელობის პრინციპის დაცვა¹⁵.

რუსეთის იმპერიის დამსხვრევა და „ხალხთა საპრობილის“ ნანგრევებზე ერთეული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი წარუვალი მნიშვნელობის შედეგია. იგი კომუნისტური პარტიის ლენინ-

¹⁵ Коровин Е., Советские договоры и международное право (1917—1927 гг.), «Советское право», 1927, № 6(30), с. 97.

ნური ეროვნული პროგრამის თანამიმდევრულად და ურყევად განხორციელების სანიმუშო დადასტურებაა, ხალხთა მეგობრული ურთიერთობის გეზის მიმცემი ფაქტორია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „რევოლუციამ საფუძვლები ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქმით დადასტურდა ხალხთა თანასწორობა, მათი ძმური თანამშრომლობა. განვითარდა ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა“. საბჭოეთში გაჩაღებული ვარდაქმნის პირობებში „ეროვნული ურთიერთობის სრულყოფა, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი საქმე, ახალ პრობლემებს სვამს. ისინი წყდება და კვლავაც გადაწყდება ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებზე, პოლიტიკისა, რომელიც გულსჩმიერია ყოველივე იმისადმი, რაც ეხება ეროვნულ ინტერესებს, შეუირიგებელია ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინებებისადმი“¹⁶.

Я. В. ПУТКАРДЗЕ

ВЕЛИКИЙ ОКТЯБРЬ И УТВЕРЖДЕНИЕ ЛЕНИНСКОГО ПРИНЦИПА СОЗДАНИЯ НАЦИОНАЛЬНОГО ГОСУДАРСТВА

Резюме

В статье рассматривается вопрос о создании в послеоктябрьский период ранее угнетенными царизмом народами собственной государственности, прослеживается закрепление ленинского принципа национально-государственного строительства в первых законодательных актах Советской власти; выделяются три группы новообразованных государств — советские социалистические республики, буржуазные республики и советские народные республики, затрагиваются отдельные стороны их взаимоотношений с РСФСР; анализируются способы признания Советской Россией независимости новообразованных государств и договоры, заключенные РСФСР с этими государствами.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილებამ

¹⁶ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით. — „კომუნისტი“, 14. III. 1987, № 62, გვ. 1.

თენგიზ ლილუაშვილი, ჯონი ხეშარიანი

ეკონომიკის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი
სატანკონომიკო ასპექტი

საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1987 წლის 30 ივნისს მიიღო სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1988 წლის პირველი იანვრიდან. ეს კანონი, როგორც აღნიშნულია პრეამბულაში, განსაზღვრავს სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, განამტკიცებს წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებას მრეწველობაში, მშენებლობაში, აგრო-სამრეწველო კომპლექსში და სხვა დარგებში, აფართოებს ამ საკუთრების ეფექტიან გამოყენებაში და, საერთოდ, საწარმოთა და გაერთიანებათა მართვაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის შესაძლებლობას, ითვალისწინებს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, თვითმმართველობის განვითარებას, განსაზღვრავს საწარმოებისა და გაერთიანებების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია თუ რატომ ენიჭება ამ კანონს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარებაში, რაზეც არაერთგვარადაა მიუთითა ანხ. მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე¹.

იბადება სავსებით კანონზომიერი კითხვა: მაინც რა სიახლეს შეიცავს ეს კანონი? როგორია საწარმო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და საწარმოთა მართვის ის ახალი პრინციპები და დებულებები, რომლებიც ამ კანონითაა განმტკიცებული?

კანონი შეიცავს მრავალ ისეთ დებულებას, რომელიც ახლებურად წყვეტს მეურნეობის წარმართვის საკითხს. ერთ სტატიაში ყველა ამ დებულების განხილვა-გაანალიზება შეუძლებელია. ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ ისეთ დებულებაზე, რომელიც ჩვენი აზრით, შედარებით უფრო მნიშვნელოვანია და ამიტომ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

1. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კანონი ერთგვაროვნად განსაზღვრავს ყველა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) სამართლებრივ მდგო-

¹ მ. ს. გორბაჩოვი, პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში. სკკპ ც-ის გენერალური მდივნის ანხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ც-ის 1987 წ. ივნისის პლენუმზე. გაზეთი „კომუნისტი“, 1987 წ. 26 ივნისი.

მარობას, მიუხედავად იმისა, მატერიალური წარმოების რომელ სფეროში ფუნქციონირებს იგი. კანონის მიღებამდე არსებული მდგომარეობით კი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში (მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში) საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეჟიმს არაერთგვაროვნად განსაზღვრავდა სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ამასთანავე, აღნიშნულ აქტებს შორის განსხვავება ვიწრო უწყებრივი „ინტერესებით“ უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის სპეციფიკით.

ამჟამად კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ საწარმოო ახორციელებს თავის საქმიანობას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მეცნიერებასა და სპეციალურ მომსახურებაში, ვაჭრობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში (პირველი მუხლის მე-2 პუნქტი).

მაშასადამე, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონი ფაქტობრივად ერთიან სამართლებრივ რეჟიმს ადგენს სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლისათვის მატერიალური წარმოების ყველა სფეროში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო საწარმოს საქმიანობა, მიუხედავად მისა დარგობრივი კუთვნილებისა და სახეობისა, უნდა ემყარებოდეს მოცემული კანონით დადგენილ პრინციპებსა და წესებს.

ზემოაღნიშნული, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კანონი საერთოდ არ იძლეოდეს სახალხო მეურნეობის დარგების სპეციფიკის გათვალისწინების შესაძლებლობას და ერთიანი საზომითა და მასშტაბით უდგებოდეს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობას ყოველივე გამონაკლისის გარეშე. კანონის 25-ე მუხლში, ამასთან დაკავშირებით კერძოდ, ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს განსაზღვროს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და ცალკეულ სახეობათა საწარმოების მიმართ ამ კანონის გამოყენების თავისებურებები.

2. საყურადღებო სიახლენია სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის სახეობების, მათი სტრუქტურისა და უფლებათუნარიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციაში, უწინარესად საწარმოს (გაერთიანების) უფლებათუნარიანობის შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, როგორც ცნობილია, საწარმოს (გაერთიანებას), როგორც იურიდიულ პირს, აქვს სამოქალაქო უფლება-უნარიანობა მისი საქმიანობის დადგენილი მიზნების შესაბამისად. იურიდიული პირის საქმიანობის მიზნები და შესაბამისად მისი უფლებათუნარიანობის ფარგლები მკაცრად არის განსაზღვრული მის წესდებაში (დებულებაში). იურიდიული პირის უფლებათუნარიანობის სამართლებრივი რეგლამენტაციის ასეთი მექანიზმის პირობებში საწარმოს (გაერთიანების) სამეურნეო საქმიანობის დიაპაზონი ჩვენი აზრით გაუმართლებლად არის შეზღუდული. მაგალითად, საწარმოს არ შეუძლია დადოს ისეთი გარიგება, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, მართალია, აშკარად სასარგებლოა, მაგრამ ამასთანავე არ არის გათვალისწინებული მისი წესდებით.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის თანახმად საწარმოს უფლებათუნარიანობის ასეთი რეგლამენტაცია უარყოფილია და შესაბამისად არსებითად არის გაფართოებული მისი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებ-

ლობანი. კერძოდ, საწარმოს შეუძლია ერთდროულად ეწეოდეს რამდენიმე სახეობის საქმიანობას: აგრარულ-სამრეწველო, სავაჭრო-სამრეწველო, სამრეწველო-სამშენებლო, სამეცნიერო-საწარმოო და სხვ. ხოლო რაც შეეხება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობის ფასიან მომსახურებას, საწარმო თავის პროფილის მიუხედავად ახორციელებს მათ.

ჩვენი აზრით, საწარმოთა (გაერთიანებათა) უფლებაუნარიანობის ასეთი სამართლებრივი რეგლამენტაცია უდავოდ შეუწყობს ხელს მათი დამოუკიდებლობის საზღვრების მკვეთრ გაფართოებას, გაზრდის მათ დაინტერესებას უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევაში.

კანონის თანახმად სახალხო მეურნეობის დარგებში სამეურნეო საქმიანობის მიხნებისა და ამოცანების, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციის თავისებურებათა შესაბამისად მოქმედებენ სხვადასხვა სახეობის გაერთიანებანი და დამოუკიდებელი საწარმოები. გაერთიანებები შეიძლება იყოს საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო.

საწარმოო გაერთიანება შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც ეწევიან სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა საქმიანობას. მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში წამყვან როლს ასრულებს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული. იგი იქმნება სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ან საწარმოების ბაზაზე, რომლებსაც განვითარებული საკონსტრუქტორო და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზა აქვთ, და ფუნქციონირებს როგორც ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი.

საწარმო შედგება შინაგანი სამეურნეო ანგარიშის ან კოლექტიური იჯარის საწყისებზე მოქმედი ქვეგანყოფილებისაგან: წარმოებების, სამჭროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, ბრიგადების, რგოლების, ლაბორატორიებისაგან და ა. შ.

კანონის მილებამდე მოქმედი ნორმატიული აქტების თანახმად საწარმოო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულები არ სარგებლობდნენ იურიდიული პირის უფლებებით. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონმა ეს საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტა. ჯერ ერთი, გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება გააჩნდეს უფლებათა გარკვეული კომპლექსი, რომელიც თავისი მოცულობით უახლოვდება იურიდიული პირის უფლებამოსილებას ფარგლებს, კერძოდ, მას შეიძლება ჰქონდეს ცალკე ბალანსი და ანგარიში ბანკის დაწესებულებაში, მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების. წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდები, გაერთიანებას შეუძლია სტრუქტურულ ერთეულს მინიჭოს აგრეთვე უფლება დადოს სამეურნეო ხელშეკრულება თავისი სახელით და აგოს ამ ხელშეკრულებათა მიხედვით პასუხისმგებლობა მიმდარებული ქონებით.

მეორე, გაერთიანებაში შეიძლება შედიოდნენ დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ უფლებებით ამ კანონის შესაბამისად, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაერთიანების სტრუქტურული ერთეული ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სარგებლობდეს იურიდიული პირის უფლებებით.

3. ისე როგორც ყოველთვის, საწარმოს საქმიანობა ემყარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას, როგორც პარტიისა

და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ამავე დროს ახლებურად წყდება გეგმების შემუშავების პროცესი: საწარმო დამოუკიდებლად შეიძლება და ამტკიცებს თავის გეგმებს, დებს ხელშეკრულებებს. ამ გეგმების შემუშავებისას საწარმო ხელმძღვანელობს საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებით, გრძელვადიანი მცენიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთებით. საკონტროლო ციფრები, როგორც ეს მითითებულია კანონში, არ ატარებენ დირექტიულ ხასიათს, არ უნდა ბოჭავდნენ შრომით კოლექტივს გეგმის შემუშავებისას, უნდა უტოვებდნენ მას ფართო ასპარეზს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და პარტნიორების შერჩევაში.

აქ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თუ წინათ ხელშეკრულება გვემდინებოდა გეგმების დაკონკრეტებისა და ამ გეგმებში კორექტირების შეტანის საშუალებად, ამჟამად იგი გეგმის შემუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიცაა, რადგან ეს გეგმები მომხმარებელთა შეკვეთების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს.

4. საწარმო (გაერთიანება) მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით. მისი წარმოებრივი, სოციალური საქმიანობა და შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე.

საწარმოთა (გაერთიანებათა) სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა კანონის 23-ე მუხლში ჩამოყალიბებული დებულება იმის შესახებ, რომ „თუ საწარმო ხანგრძლივად ზარალიანია და გადახდისუუნაროა, არ არის მოთხოვნა მის პროდუქციაზე და იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოსა და ზემდგომ ორგანოს მიერ მუშაობის რენტაბელობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებანი შედეგს არ იძლევა“ — ასეთი საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეწყდეს.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსება, რა თქმა უნდა, თვითიზანი არაა. ამ პრინციპის განუხრელად გატარებამ არ შეიძლება არ უზრუნველყოს შრომითი კოლექტივების ინიციატივის გააქტიურება, შრომის მწარმოებლურობის განუხრელად ზრდა, ახალი ტექნიკის დანერგვა, გამომუშავებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ა. შ.

5. კანონით განმტკიცებულია საწარმოს მართვის ისეთი პრინციპი, როგორიცაა თ ვ ი თ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა, რომელიც შეზამებული უნდა იყოს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპთან, აგრეთვე, საწარმოს ხელმძღვანელთა არჩევითობა. თვითმართველობა ხორციელდება ფართო საჯაროობის პირობებში, როცა მშრომელთა კოლექტივები უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებრივ-სამეურნეო საქმიანობის სათანადოდ განხორციელებისათვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების შემუშავებაში, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებაში, საწარმოს ხელმძღვანელთა არჩევაში და ა. შ.

არჩევითობა გამოიყენება საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, სამჭროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელების, აგრეთვე ოსტატებისა და ბრიგადირების მიმართ. თუ შრომითი კოლექტივის მიერ არჩეულ კანდიდატურას არ დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო, მოეწყობა ახალი არჩევნები. ამასთან, საწარმოს, გაერთიან-

ნების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შეიძლება თანამდებობიდან გაათავისუფლოს ზემდგომმა ორგანომ შრომითი კოლექტივის საერთო კრების ან მისი დავალებით შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კანონით განსაზღვრულია აგრეთვე ქვეგანაყოფების ხელმძღვანელების, აგრეთვე ოსტატებისა და ბრიგადირების არჩევისა და მათი ვადამდე გათავისუფლების წესები.

6. ახლებურადაა გადაწყვეტილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა საწარმოს (გაერთიანების) ურთიერთობა ზემდგომ ორგანოსთან და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან.

საწარმოს და ზემდგომი ორგანოს (სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის თუ სხვა ორგანოს) ურთიერთობა გეგმიან მართვასთან ერთად ემყარება იმ ახალ პრინციპებს, როგორცაა სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება და თვითმართველობა.

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური მეთოდებით, საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკეთების, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების საფუძველზე. ამ საკონტროლო ციფრების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ზემდგომ ორგანოს უფლება არ აქვს დაუზღავნოს საწარმოებს საკონტროლო ციფრები, ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები ამ დამტკიცებული ნუსხის დამატებით.

ისე როგორც ადრე მოქმედი ნორმატიული აქტებით, ამ კანონის თანახმადაც ზემდგომი ორგანო მოვალეა უზრუნველყოს საწარმოს ეფექტიანი მუშაობის პირობები, მტკიცედ და განუხრელად დაიცვას საწარმოს უფლებები, არ ჩაერიოს საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასეთი აკრძალვისა, ზემდგომი ორგანო ხშირად არ ასრულებდა ამ მოვალეობას და არღვევდა საწარმოსათვის მინიჭებულ უფლებას. ასეთი ვითარება გამოწვეული იყო იმით, რომ ზემდგომი ორგანოს მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა და მის მიერ საწარმოს უფლების დარღვევა არ იყო უზრუნველყოფილი კონკრეტული სანქციით. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს და მე-9 მუხლის მე-3 ქვეპუნქტში წარმოადგინა შემდეგი წესი: „ზარალი, რომელიც საწარმოს მიადგება საწარმოს უფლების დარღვევა ზემდგომი ორგანოს მითითების შესრულების შედეგად, აგრეთვე საწარმოს მიმართ ზემდგომი ორგანოს მოვალეობების უნიათო განხორციელების შედეგად უნდა ანაზღაუროს ამ ორგანომ. ზარალის ანაზღაურების საკითხზე წამოჭრილ დავას წყვეტს სახელმწიფო არბიტრაჟი“.

ზედმიწვენით კარგად, საკმაოდ დეტალურად და ნათლად არის მოწესრიგებული საწარმოსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, რომელიც შეეხება ტერიტორიის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკუ დაკმაყოფილებისა და დადგენილი ნორმატივების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებას (მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები).

7. სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ხელფასი. წარმოების ეფექტიანობის

გაზრდით მუშაკთა დანტერესების მიზნით შრომის ანაზღაურების გადიდების სახსრების გამოიმუშავება თვით შრომით კოლექტივებს აქვთ დაკისრებული. ამასთან, გაუქმდება შრომის ანაზღაურების ოდენობის შეზღუდვები: „თითოეული მუშაკის ხელფასი — აღნიშნულია კანონში, — განისაზღვრება მუშაობის საბოლოო შედეგებით, მუშაკის პირადი შრომითი წვლილით და არ იზღუდება მაქსიმალური ოდენობით“.

8. მუშაობის შედეგებისათვის კოლექტიური დანტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საწარმოს ევალება ფართოდ გამოიყენოს ბრიგადული სამეურნეოანგარიშობა და იჯარა როგორც შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურების ძირითადი ფორმა. საიჯარო ფორმაზე უნდა გადაიყვანონ უბნები, საამქროები და სხვა ქვეგანაყოფები. ასეთი ქვეგანაყოფების მუშაობა ფორმდება კოლექტივისა და ადმინისტრაციის ხელშეკრულებით, ამასთან საჭირო ქონება ეძლევა შესაბამის ქვეგანაყოფს და შრომა ანაზღაურდება გრძელვადიანი ნორმატივებით; საჭიროების შემთხვევაში იყენებენ ოჯახურ იჯარას (მუხლი 14, პ. 3).

9. მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა განმტკიცებული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში. საწარმო — აღნიშნულია აქ, — მოქმედებს „სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მას ენიჭება ფართო უფლებები, რომელთა და ცვა-გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც დასახულია საწარმოს (გაერთიანების) მიმართ, მას შეუძლია საკუთარი ინიციატივით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება, თუ კი ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. სხვანიარად რომ ვთქვათ, საწარმოს ენიჭება კანონით აუკრძალავი ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობის უფლება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ ითვალისწინებს „მისი წარმატებული მუშაობისათვის ყველა საჭირო უფლებას. მაგრამ როცა უფლებები ენიჭება, საწარმომ უნდა იკისროს ვალდებულებებიც, პასუხისმგებლობა მინდობილი საკუთრებისათვის, ვალდებულებათა შესრულებისათვის, მშრომელების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის“². მართლაც, აღნიშნული კანონი უფლებებთან ერთად, საწარმოებს (გაერთიანებებს) აკისრებს სრულიად გარკვეულ მოვალეობებს, რომელთა მტკიცედ და განუხრელად შესრულებაზე მთლიანად იქნება დამოკიდებული იმ ამოცანების წარმატებულად განხორციელება, რომლებიც დღეს დგას სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის წინაშე.

10. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ.) პლენუმმა, როგორც ცნობილია, დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი“. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, — აღნიშნულია მასში, — მიაჩნია, რომ სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნის ამოსავალი პუნქტია ეკონომიკის ძირითადი რგოლი — საწარმო (გაერთიანება). ამიტომ საჭიროა მას შეექმნას განსაკუთრებით ხელშემწყობი ეკონომიკური გარემო, დაუმ-

2 ნ. ი. რიჟოკოვი, სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მოხსენება სსრ კავშირის მეურნეობებზე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე 1987 წლის 29 ივნისს. გაზ. „კომუნისტი“, 1987 წ. 30 ივნისი.

კვიდრდეს უფლებები, მოემატოს პასუხისმგებლობა, და ამ საფუძველზე გარდაიქმნას სამეურნეო მმართველობის მთელი სისტემა.

ძირითადი დებულებებით გათვალისწინებულია, რომ 1987 წლის დამლევამდე საგულდაგულოდ იქნეს მომზადებული ძალაში შესვლისათვის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და 1988-1989 წლებში მისი მოქმედება გავრცელდეს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ მატერიალური წარმოების სფეროს ყველა საწარმოზე, გაერთიანებასა და ორგანიზაციაზე.

ამ ამოცანის გასაზორციელებლად კი, თავის მხრივ, აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის განახლება, იმ ნორმატიული აქტების, მათ შორის სამეურნეო მმართველობის ცენტრალური ორგანოების ინსტრუქციების, გადასინჯვა და გაუქმება, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონს, ახალ დებულებებს დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ფინანსებისა და კრედიტის, მატერიალურ — ტექნიკური უზრუნველყოფის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის დარგში; უნდა განზორციელდეს სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია, დაჩქარდეს უწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ საერთო-საკავშირო აქტების მომზადება. ერთი სიტყვით, საჭიროა განმტკიცდეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის გარდაქმნის სამართლებრივი საფუძველები.

Т. А. ЛИЛУАШВИЛИ, Дж. Г. ХЕЦУРИАНИ

ВАЖНЕЙШИЙ ЗАКОНОДАТЕЛЬНЫЙ АКТ /ПЕРЕСТРОЙКИ ЭКОНОМИКИ

Резюме

В статье рассматриваются основные положения Закона СССР о государственных предприятиях (объединениях), определяется их значение в деле перестройки хозяйственного механизма и управления экономикой страны.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილებამ

Г. Г. ТОДРИЯ

К КРИТИКЕ «ДИАЛЕКТИКИ КРИМИНОГЕННОЙ СИТУАЦИИ»¹

1. Постановка вопроса. Непосредственно общественный характер социалистического производства, как выявляет исторический опыт, позволяет установить норму социальной жизни (меру труда и потребления) не стихийно за спиной производителей, а непосредственно планомерно. При этом создается объективная возможность своевременного измерения процессов накопления негативных явлений. Вот почему именно в социалистической литературе особенно остро стоит вопрос точного уяснения нормы и негативного отклонения.

Наиболее глобальными подходами оказываются: а) экономический, признающий в качестве нормы тенденцию самой реальности, ее собственные законы развития и б) юридический, акцентирующий внимание на управленческое (надстроечное) определение нормы. Соответственно различие наблюдается и в путях определения и объяснения негативного отклонения. При определении негативного отклонения экономический подход восходит от абстрактного к конкретному, а юридический в основном тяготеет к эмпирико-номиналистическому обобщению. В плане же объяснения в первом случае доминирует монизм, а во втором — плюрализм.

Таким образом, применительно к пониманию негативного отклонения возникает вопрос: отчего происходит расхождение в методологических подходах? Обусловлено ли оно самой сферой приложения науки, характером практической деятельности людей или же особенностями самого познания? Надо отметить, что своеобразной загадкой пока остается факт: применение законов диалектики при анализе негативного отклонения не только ограничено в науках, исследующих надстроечные области, но более того, непонятным образом искажено. Странно, но очевидно, что во многих исследованиях ученые не могут вырваться из этого заколдованного круга. И стоит возникнуть какой-либо отрасли знания в правовой науке (теории социальных отклонений, учения об общественном мнении и т. п.), как сразу же она втягивается именно в эту орбиту, а не в орбиту диалектического мышления. Эта ситуация особенно четко наблюдается в криминологии, изучающей кульминацию негативных явлений — преступность.

Преступность, ее причины, предупреждение преступности в теории криминологии воспроизводятся как ходячие формы мышления. Подобное воспроизведение реальности осуществляется на всем пути познания. И всякая попытка последовательного диалектического обсуждения криминологической проблемы приводит к тому, что эмпиризм начинает затемнять диалектику. Раскрыть это превратное пре-

¹ См. обсужд. кн.: Е. Бафия. Проблемы криминологии. Диалектика криминогенной ситуации. М., 1983.



вращение мы пытаемся путем анализа взглядов польского криминолога Е. Бафия.

Понимая, что существующая криминологическая концепция² не может вырваться из эмпиризма, польский ученый предлагает правильный в научном плане метод осмысления криминологии — метод проверки ее положений на соответствие диалектике. И в этой связи все постановочные вопросы в его взглядах носят диалектический характер. С другой стороны, он исходит из эталонов нормативного мышления, принятого в юридической практике. Тем самым он вынужден сохранить тот криминологический материал, который дан на поверхности. В результате между диалектическим мышлением, стимулирующим выявление реального общего (всеобщего), и нормативным мышлением, тяготеющим к индуктивному общему (абстрактному), намечается противоречие. Все это приводит Е. Бафия к противоречивой теории, обнажающей тот звено рассуждения, где прерывается диалектический принцип осмысления реальности, намечаются более четко те условия, в которых происходит отход от диалектики в форме ее отрицания — эмпиризма.

Анализ взглядов Е. Бафия излагается в следующей последовательности: а) эмпирико-номиналистическое видение сущности, б) роль нормы права (нормативного мышления) в процессе такого видения, и в) субъективизм и эмпиризм как единственные последствия эмпирико-номиналистического видения и г) история критики.

2. **Эмпирико-номиналистическое видение сущности преступности**³. «Марксистская философия считает, — пишет Е. Бафия, — что каждое понятие содержит три элемента: общий, особенный и единичный. Каждое понятие конкретно... представляет собой единство общего, особенного и единичного»⁴. Здесь автор размышляет как диалектический логик: общее, особенное и единичное составляют «единство» и вместе с тем «конкретность», т. е. реальность. Иначе говоря, общее не есть абстрактность, как считает большинство криминологов, а существует реально наряду с особенным и единичным. Например, если выразиться популярно, генетической основой «сыновей» выступает «отец». Последний как реальность, очевидно, единичное, неповторимое, т. е. особенность. Но именно в силу того, что в цепи развития «отец» выполняет роль генетической основы, он выступает вместе с тем общим. Правда, отец как всеобщее существует через сыновей (единичное), но не как абстракция, которая схватила у сыновей сходные признаки, а как реальность. Обратное положение абсурдно, так как сами люди как «сыновья» не могут давать сходства, если у них нет общей основы. Если же она существует, то во всяком случае не в виде сходства признаков».

Далее же утверждается прямо противоположный вывод. «Нет преступности без преступления... Понятие преступности есть отражение того, что существенно и обще в преступлениях как единичных социальных фактах»⁵, — отмечает Е. Бафия. Таким образом, общего нет без

² Заметим, что Е. Бафия в основном адресует свои мысли советской криминологии, которую пока захватил эмпиризм и проник во все поры «теоретического» мышления.

³ Здесь термин «преступность» фигурирует в широком смысле слова, включая и причины.

⁴ См. указ. труд Е. Бафия... с. 25.

⁵ См. там же, с. 25.

единичного. А так как общее выступает здесь как сущность, данная в единичном — преступлении, то значит она не существует без единичного — чувственного. Ведь преступление — это чувственно доступный наблюдателю факт, лежащий на поверхности. Отсюда следует, что понятие преступности отражает чувственную сущность. В таком случае общее — сущность не дана отдельно от «единичных и социальных фактов», а дана именно в них. Что же получается в такой интерпретации?

Исторический опыт указывает на изменения преступлений в зависимости от природы того или иного этапа развития общества и таким образом еще раз подчеркивает справедливость диалектики, что общее (точнее: всеобщее) для преступлений существует независимо от них, до них, существует как реальность, как социальный феномен, который и объединяет их в род, делая таким путем общими.

Эмпирично-номиналистический подход смешивает ходячую форму мышления с научной и в результате дает иррациональную категорию «сущность преступности» подобную той, которая известна экономистам как «стоимость труда». Этот подход не видит того простого факта, что все человеческие акты как преступления, говоря философским языком, «обладают одним и тем же признаком... в силу единства генезиса, в силу того, что все они имеют общего предка, или, выражаясь точнее, возникли в качестве многообразных модификаций одной и той же субстанции, имеющей вполне материальный (т. е. независимый от мысли и слова) характер»⁶. Вместо того, чтобы исходить из развития субстанции, номиналистический подход исходит из чувственного мира, т. е. из формы проявления субстанции. По идее номиналистического подхода, «если... искать существенно общее в явлении преступности, то лучше всего его выразить (контекст: исходить — Г. Г.) так: преступное поведение — это вид отчуждения, обособления человека от процесса социализации»⁷. Далее: «объединяя исходные положения (контекст: образуя индуктивно общее — Г. Т.) о преступлении и преступности в одно целое (контекст: полный процесс индуктивного рассуждения — Г. Т.) мы можем сказать, что преступность — это общественное явление, выступающее в реальной действительности в виде единичных актов преступного поведения, заключающихся в отчуждении человека от процесса социализации»⁸.

Итак, номинализм предлагает схему: единичное — чувственный акт (преступное поведение), а общее — это то, что повторяется в этих актах, как нечто сходное, повторяющееся, типичное и т. п. (преступность). Надо отметить, что диалектика сразу же изменила бы эту схему: всеобщее (субстанция) — единичное (преступления). В первой схеме сущность дана в преступности, во второй же — в ее причинах, субстанции. В рамках первого подхода практик должен дожидаться преступности как формы выражения причин и устанавливать причину через форму проявления. В рамках же второго подхода он обязан измерить субстанцию независимо от формы ее проявления.

